# საერთო გაზეთი

№35 (627)
ოთხშაბათი
29 სექტემბერი,
2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## ვახტანგ ხარჩილავა: „ნაცმოძრაობა“ მტერია, რომელიც 2 ოქტომბერს კიდევ ერთხელ უნდა დავამარცხოთ – სხვა გზა, არ არის!



### ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი კოზირი

## არა, ნაცებს! არა, ნაცებს!

არა, ნაცებს – არაკაცებს!
ქვეყანა რომ სისხლით მორწყეს,
ქვეყანა რომ ჯვარზე აცვეს.
ერი ამათ ავკაცობას,
გაიხსენებს კიდევ ას წელს.
არა, ქვეყნის გამყიდველებს,
მტრის მოყვარეს,
მოყვრის – გამცემს,
შერცხვენა და თავზე ლაფი,
ნაცის ქომაგს, ნაცის დამცველს,
ნაცი-გნაცი საქართველოს
ვერასოდეს დამარცხებს!
არა, ნაცებს! არა, ნაცებს!

## არა, ნაცებს – არაკაცებს!



### თხუთმეტი უსახსო „ყარაჩოხელი“ ერთის წინააღმდეგ



**ელიზბარ ჯაველიძე:** ვაფრთხილებ ნაცებს: ნუ გამოიყვანთ ქართველ ხალხს წონასწორობიდან, თორემ თქვენგან ბუნდღა არ დარჩება!



**რამაზ საყვარელიძე:** ვინც მკვლელებს მხარს უჭერს, ისიც მკვლელია! ვინც მეცოცხეებს ექომაგება, ისიც მეცოცხეა!



**კობა არაბული:** სვლა მხედრით, ანუ ნაცისტი ლიბერასტები უნდა გაქრნენ ქართული პოლიტიკის არენიდან...

**კოკა მორგოშია:** რაც უნდა წყენა და გულისტკივილი გვქონდეს „ქართული ოცნების“ მიმართ, მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში



**ალი ბაბაევი:** დარწმუნებული ვარ, საქართველოს აზერბაიჯანელები საკადრის პასუხს გასცემენ პროვოკატორებს

## ჩ ა გ უ ნ ა

### ჩაგუ მურცუ, მოსოფუნც



## უარყოფილი

ანუ ნამდვილად არის ეს კაცი მეგის ქარდავა?!

### ვინ ავრცელებს კორონავირუსზე ყალბ ინფორმაციებს და რატომ დაუპირისპირდა ბაიდენი „ფეისბუქს“

### არასერიოზული პარტიები, რომლებმაც სერიოზული როლი ითამაშეს პოლიტიკაში

# ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი კოზირი



**გელა ზედელაშვილი:**

26 სექტემბერს „იმედის“ ეთერში გავიდა გადაცემა („ნოესთან“), რომელიც მთლიანად მიეძღვნა ირაკლი ღარიბაშვილს.

გადაცემა მომეწონა... ირაკლი ღარიბაშვილმა გულისტკივილით ისაუბრა იმ პერიოდზე, როცა პირველად, 31 წლის ასაკში გახდა პრემიერ-მინისტრი. აკი აღნიშნა კიდეც, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და შეცდომები დავუშვიო.



რა იყო ირაკლი ღარიბაშვილის უპირველესი შეცდომა?

ეს იყო ნდობა ყველას მიმართ!

ამაზე, როცა ის პრემიერობიდან გადადგა შინაურულ წრეში ხშირად გვისაუბრია, ყველამ ვიცოდით, რას და როგორ ემსხვერპლა მისი პირველი პრემიერობა – ეს იყო ნდობა და შემდეგ ღალატი ე.წ. ერთგულთა მხრიდან. აბა, წარმოიდგინეთ, ამხელა თანამდებობაზე ნიშნავენ 31 წლის ბიჭს, რომელსაც გარშემო ახვევია უამრავი მტერი... მან არ იცის, რომ შეიძლება ადამიანი, რომელიც უახლოეს მეგობრად მიაჩნია, დაუძინებელი მტერი იყოს და ზურგს უკან ხანჯალს ლესავდეს, უბრალოდ ვერ წარმოედგინა.

მე არ მიყვარს, როცა ყველაფერს სხვას აბრალებენო, მე საკუთარ თავს მოვთხოვე პასუხი და დავიწყე გაანალიზება, სად დავუშვი შეცდომებიო, – ამბობს ირაკლი ღარიბაშვილი. ჩაიკეტა რა, ათონის მთაზე ავიდა, ბერებთან, ერთი ხანობა თურმე გადაწყვიტა, პოლიტიკას აღარ გავეკარებიო. თუმცა, როდესაც ერთ-ერთ ბერს უკითხავს, მართლა აღარ გინდა პოლიტიკაო? არ (ვერ) უთქვამს, არ მინდაო, როგორც ღმერთი ინებებს, ისე იქნებაო. ღმერთს თავი დაანებე, შენ ჩამოყალიბდი, როგორც გადაწყვეტ, ისე იქნებაო. გადაწყვიტა, დაბრუნდა, ძალიან კარგად დაინახა (გაანალიზა), ვინ უღალატა, ვინ უერთგულა, ვინ გვერდით დაუდგა, ვინ უგანა.

„ყველაზე დიდი ცდუნება, რაც შეიძლება ადამიანმა გამოსცადო, არის ძალაუფლება“, – თქვა ირაკლიმ გულწრფელად. მით უფრო, როცა ძალზედ ახალგაზრდა ხარ, ეს ცდუნება უფრო ძლიერია, გამოუცდელობა მაინც თავისას შვრება. ათონის მთაზე (ათონის ივერთა მონასტერი. მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილზე) ერთი კვირზე მეტ ხანს დაჰყო ყოფილმა პრემიერმა, 2015 წლის შობა იქ გაატარა. როგორც თავადვე ამბობს, ცხოვრებაში მთავარია ერთგულება, მადლიერება, სიმართლე. სამი წელიწადი არ გაჰკარებია არც პოლიტიკას და არც რომელიმე თანამდებობას. სამივე მცნება ბოლომდე დაიცვა, არც ერთისთვის არ უღალატნია. აჰა, ბატონებო, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაწინაურებული და კაცად ქცეული ბევრი გვინახავს, მაგრამ კაცად დარჩენილი თითქმის არავინ. კაცი-მეთქი, ამ შემთხვევაში ქალიც იგულისხმება. ვისაც პარლამენტში ყავლი გაუვიდა, ვისაც კი თითო ან ორი ვადა ამოეწურა, ყველა მიტრიალდა და გინება დაიწყო, უფრო ბიძინა ივანიშვილის გინება. მახსოვს, როდესაც ივანიშვილმა (2012-ში) „ქართული ოცნების“ საპარლამენტო კანდიდატები წარმოგვიდგინა, იქვე მიმართა, ახლა კი დაგეხმარებით, მაგრამ შემდგომში საქმე ისე უნდა დაიყენოთ, მოსახლეობამ თვითონ აგირჩიოთო, თქვენ თვითონ უნდა მოინდომოთო. მოინდომეს, ოღონდ მხართეძოზე წოლა. მაგალითად, მატრაბაზმა გუბაზ სანიკიძემ 2012-ში რომ ჩასთვლიმა, 2016 გაიღვიძა და კიდე მინდაო. კარისკენ მიუთითეს, გეყოფა ძილიო. ეგრევე გაბოროტდა... თუმცა ადამიანები არ ბოროტდებიან, ისინი ბოროტები იბადებიან. როგორც ხედავთ, ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მიხეილ სააკაშვილს ეწვია კიევში და მუხლები აულოკა. სააკაშვილს, ხალხო, სააკაშვილს, რომელსაც (ვითომ) ებრძოდა. თურმე არ ებრძოდა, თურმე ჩემოთესლილ ჩამონერგილი ყოფილა. აბა, ახლა ადექით და შეადარეთ ირაკლი ღარიბაშვილისა და ამისი კაცობა, ვერ შეადარებთ, არ გამოვა! რომელი ერთი ჩამოვთვალო? ზოგიერთმა 8 წელიწადი მოილია პარლამენტში, რამდენიმე სკამი გაცვითა და მაინც გინებით წამოვიდა, შეხედავ, მოუსმენ, ზოგი ისე იქცევა, ადამიანის მოდგმას შეგაძულებს. აგერ არიან ჭიჭინაძეები, ბესელიები და სხვები, ნახეთ, რას დაემსგავსნენ.

ირაკლი ღარიბაშვილი ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) აღმოჩნდა, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა თავისი სახე – ასევე, სინდისი, ნამუსი, კაცობა, ერთგულება, მადლიერება და ყველაფერი ის, რაც აუცილებელია ნებისმიერისთვის. ის განმარტოვდა, საკუთარ თავთან დაიწყო ჭიდილი... თვითონვე ამბობს, ბრძოლა გამოვუცხადე საკუთარ თავსო. წარმოიდგინეთ, პირველი პირი ხარ, ყველა შენს ბრძანებას ასრულებს, ქვეყანა შენს გარშემო ტრიალებს, ამ დროს ძალიან დიდია ცდუნება, რომ თავბრუ დაგეხვეს. კი, იყო პერიოდი, თავბრუ დამეხვაო... ძალიან გულწრფელია ირაკლი ღარიბაშვილი, ასეთი გულწრფელი აღიარება მე პირადად 30 წლის განმავლობაში არ მომისმენია, არც მანამდე მომისმენია, ჩვენში მყარად ჩამოყალიბდა სტერეოტიპი – თუ სახელმწიფო სამსახურში ხარ, შენი ნამდვილი სახე უნდა დამალო. ირაკლი ღარიბაშვილს არაფერი დაუმალავს, სხვებმა დამალეს, მის გარშემო ნიღბები აიფარეს. რა იყო და როგორ იყო, ვნახეთ, 2015 წლის დეკემბერი იყო, პრემიერის ხელმოწერილი საახალწლო მისალოცები დაარიგეს. ამ დროს გადადგა. რა თქმა უნდა, ყველა მიხვდა, რომ რაღაც ისე არ იყო.

სამი წელიწადი გავიდა, მესამე წელიწადს კერძო სექტორში გამოჩნდა, რომელიღაც ჩინურ კომპანიაში. მე პირადად ეს მოთელვად ჩავთვალე,



ყოფილი პრემიერ-მინისტრი კიდევ ერთი ნახტომისთვის ემზადებოდა. ასეც მოხდა – რამდენიმე თვეში „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი გახდა. ესეც მოთელვას ჰგავდა, ასეთი ენერგიული ადამიანი მხოლოდ პარტიულ სამუშაოზე ვერ გაჩერდებოდა. მთავრობაში ცვლილებების დრო დადგა, „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ერთი არჩევნები მოიგო (2020 წელს). ხმა გავარდა, ირაკლი ღარიბაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრად ინიშნებაო. მშვენიერი გადაწყვეტილება იყო, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი მიხვდა, ირაკლის ყველაფერი თავიდან უნდა დაეწყო და სწორედ იმავე გზაზე. სამწუხაროდ, როგორც ამბობენ (დარწმუნებული ვარ, ასეც იქნებოდა), ვიღაცები გადაეღობნენ, ისევ ფეხის დადება სცადეს, მაგრამ ბოლომდე მაინც არ გამოუვიდათ, კოვზი სანახევროდ ნაცარში ჩაუვარდათ. მერე, ეს ე.წ. ძალა, რომელსაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ოპოზიციაში წავიდა და საქართველოში ახალი ტიპის სისულელეებს ჩაუყარა საფუძველი. რამდენიმე დღის წინ მაგათმა „უმფროსმა“ ისიც კი თქვა, ბიძინა ივანიშვილმა ჩემი ნდობა ვერ გაამართლაო. ჩემი ნდობაო, ივანიშვილმაო, იმანო, კაცო, რომელმაც ეს არარაობა შექმნა და რაღაცად აქცია. დიახ, ეს ტიპი უკვე რაღაცაა. აი, რა განსხვავებაა ირაკლი ღარიბაშვილსა და გიორგი გახარიას შორის, ირაკლი ღარიბაშვილსა და სხვებს შორის... ჭიჭინაძეებს შორის, ბესელიებს შორის, ჩარკვიანებს შორის, რომელი ერთი ჩამოვთვალო? სამწუხაროდ, ვირეშმაკებით გაივსო ქვეყანა.

გადაცემა, რომელიც ზემოთ ვახსენე, უფრო იმიტომ მომეწონა (ყველა ნორმალურს მოეწონა), რომ გულახდილი იყო... ღარიბაშვილი იყო ის, რაც არის.

ჰოდა, იმას ვამბობდი... ირაკლი თავდაცვის მინისტრად გაამწესეს, ალბათ ზოგიერთს ეგონა, ეს ისეთი სფეროა, თავს მაინც და მაინც ვერ გამოიჩენს და დარჩება ერთ რიგით მინისტრადო. ვერ დარჩა რიგით მინისტრად, თავდაცვაში გაკეთებულ საქმეებზე ახლაც ლეგენდებს ყვებიან, თვითონ ჯარისკაცები და ოფიცრები ალაპარაკდნენ, ფაქტები ვეღარ დამალეს, ნათესავებს ვეღარაფერი გადააბრალეს. მართალია, ყოველ შაბათ საღამოს ერთ-ერთ არხზე ბევრ სისულელეს ყვებიან, ერთხელ უვიცნი სოფლის სახლშიც „მიუხტნენ“ (დედოფლისწყარო), ბავშვებიც შეაშინეს, მაგრამ მწყობრიდან მაინც ვერ გამოიყვანეს. აშკარად ჩანს, ირაკლის ნერვებიც გაუმყარდა. ასეც უნდა იყოს... აბა, ამდენ ნაძირალას მოგერიება არ უნდა?

ლამაზი ოჯახი!

დიახ, ოჯახი ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი კოზირია. სათნო, კეთილშობილი, მზრუნველი, ერთგული მეუღლე, რომელსაც გამოჩენა არ უყვარს. ოთხი შვილი, ოთხი ულამაზესი მომავალი.

კიდევ რის თქმა შეიძლება?

ძალიან ბევრის... ასეთ ადამიანებზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება.

სხვათა შორის, საქართველოში მომრავლდნენ ადამიანები (ფაქტობრივად ადამიანებსაც ვერ იტყვი), რომლებსაც ერთგულება მონობა ჰგონიათ და ეს „მონობაც“ თავიანთებურად ესმით. საოცარი ხალხი ცხოვრობს საქართველოში, თუ ყურადღებით არ იქნები, იქიდან დაგიდებენ ფეხს, საიდანაც არ ელოდები. რასაკვირველია, ამ დალოცვილ მიწაზე ნორმალურები უფრო მეტნი არიან, მაგრამ ბოლო მესამე ათწლეულია (1990-იანი წლებიდან მოყოლებული), რაღაცნაირი კასტა ჩამოყალიბდა, ქვეყნის ინტერესებით მოვაჭრე და ყველაფრის გადამყიდველი. აი, ამ გადამყიდველებს ებრძვის ირაკლი ღარიბაშვილი და ტრაბახით არ ვიტყვით, ასეთებს ვებრძვით ჩვენც.

ნახეთ? საამისოდ საუკეთესო მაგალითი იყო გარეჯის საქმე. პრემიერმა თქვა, გარეჯი საქართველოაო და უმალვე გაიშიფრნენ მოღალატეები, ჩამოსხდნენ ტელევიზორში და ერთმანეთს ტაში დაუკრეს, გმირები გახლავართო. ვინმე მიწისმზომელი ივერი მელაშვილი დიდი მამულიშვილიაო, ლამის დაუჩოქა ვინმე ინგა გრიგოლიამ. არადა, ქართველი ხალხი კარგად არჩევს, ვინ არის მოღალატე და ვინ არის საქმის მკეთებელი კაცი.



წარმატებებს ვუსურვებთ ირაკლი ღარიბაშვილს, ბევრი რამ გამოგვრჩა (ან არ გამოგვრჩა და უბრალოდ გაზეთი ვერ იტევს) ამ ადამიანის ცხოვრებიდან, გუშინდელიდან და დღევანდელიდან. თუმცა ამას მომავალში შევავსებთ, წარმატებული არჩევნების შემდეგ.



# თხუთმეტი უშანსო „ყარაჩოხელი“ ერთის, კახა კალაძის, წინააღმდეგ

## შედეგი: 15:0 კახა კალაძის სასარგებლოდ




წინა კვირის ერთ-ერთ საღამოს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში თბილისის მერობის კანდიდატები (სულ 16 სული) სადებატოდ შეიყარნენ თუ შეჰყარეს. არ აქვს ამას პრინციპული მნიშვნელობა. სანამ კონკრეტულად იმ საცოდაობას შევეხები, რაც ტელევიზორში ვნახე, ერთი შედარება უნდა „მოვახდინო“: ადრე, რამდენიმე წლის წინათ დავით აქუბარდიას თავისი ტელესტუდია („კავკასია“) ჰქონდა სოლოლაკში, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის სარდაფში. ვინაიდან ამ სარდაფის გვერდით სასადილოსავით ობიექტიც იყო, შორი-ახლოს უამრავი მაწანწალა ძაღლი და კატა ტრიალებდა. ბატონი აქუ საღამოს გადაცემას რომ დაიწყებდა, სარდაფის კარი ღია იყო, ჰაერი სხვა არსაიდან შემოდიოდა, მოადგებოდნენ ძაღლები და კატები, მიაჩერდებოდნენ მოსაუბრეებს, ზოგი სტუდიაშიც ჩამოდიოდა. იყო ხოლმე ერთი ამბავი, ოპერატორები ჯოხებით დარბოდნენ კადრს მიღმა. ჰოდა, ეს ამბავი გამახსენდა, როცა დებატები ვნახე... როგორც ჩანს, ვინც კი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კარი ღია დაინახა, ყველა იქ შეეხეტა პრეტენზიებით, მერობას რა უნდა, ცივ „ბორჯომს„ მე კი ვერ დავლევო? მდივნის მოტ...ვნაზე აღარაფერს ვამბობ, ეგეთი რაღაცები აღარ ხდება, მაგ მხრივ შიშიანობაა ჩამოვარდნილი მთელ მსოფლიოში. შეიძლება ქალთან ახლოს ჩავლილიც არ იყო, ხელი დაგადოს, 20 წლის წინათ ტრაკზე ხელი მომითათუნაო და ეგრევე გაგაციმბირონ.

მე არ ვამბობ, თბილისის მერობის სურვილი არავის უნდა გაუჩნდეს, არა, მაგრამ სანამ სურვილი გაგიჩნდება, ჯერ სარკეში უნდა ჩაიხედო და შენი შესაძლებლობები შეაფასო.

შოუზე ყველა ე. წ. კანდიდატი მისული იყო კახა კალაძესთან საჩხუბრად და „ქართული ოცნების“ დასაწყევლად. თუ გადაახვევთ და ამ გადაცემას ხელახლა უყურებთ, აშკარად დარწმუნდებით, რომ წყევლა მართლაც მაწყევარისაა!

ყველამ ჩამოთვალა თავისი თითო დამსახურება, რის გამოც დედაქალაქის მერად უნდა ავირჩიოთ: ერთმა თქვა, ჩემმა პარტიამ რამდენიმე წლის წინ პარლამენტში ინიციატივა შეიტანაო, თუ ამირჩევთ, უფრო მეტს შევიტანთო. არც პარტია მეცნო, არც კანდიდატი, სად იყო, რას აკეთებდა, საიდან მოვიდა, მერობის სურვილი რანაირად გაუჩნდა, ვერ გეტყვით.

ბოლო ფოტოზე როა წვეროსანი ახალგაზრდა, შალვა ნათელაშვილის მოწაფე გახლავთ, პირს გააღებს თუ არა, ეგრევე ეტყობა. ამ ჭუჭულიკას ღირსება (დამსახურება) ის გახლავთ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში დაიბადა. ჰო, სხვათა შორის, თქვენგან განსხვავებით, დამოუკიდებელ საქართველოში დავიბადე და ეს მაძლევს საშუალებას, თქვენზე უკეთესად ვმართო დედაქალაქიო. ასე „ჩამოწერა“ ჯერ ყველა კანდიდატი და შემდეგ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც საბჭოთა პერიოდშია დაბადებული. ეს ბიჭი პატარა პავლიკაა, მოროზოვი, შინაც საშიშია და გარეთაც, მას ჰყოფნის თავხედობა, ისეთებს წაეჭიმოს, როგორიც კახა კალაძეა. დარწმუნებული ვარ, „თხა და გიგოც“ არ აქვს წაკითხული, აღარაფერს ვამბობ ჩვენი ქვეყნის ძველ და უახლეს ისტორიაზე. უბედურება ის არის, თავი გამარჯვებული ჰგონია და კალაძეს „ზემოდან“ ელაპარაკება. ესეც შალიკოსგან აქვს ნასწავლი!

დანარჩენებზე რა გითხრათ, რა მოგახსენოთ?

თითქმის ყველა კანდიდატმა ჰკითხა კალაძეს, რას აპირებთო? ვერც კი მიხვდნენ (შეიძლება მიხვდნენ კიდევაც), ასეთი უბენლიე შეკითხვებით მოქმედი მერის უპირობო გამარჯვებას ადასტურებენ.

ალბათ ასეც უნდა იყოს!

ესენი არ არიან კანდიდატები!

ასეთი დუპლეტობა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში არ მინახავს. ქართული პოლიტიკა თითქმის ყოველთვის იყო აქოთებული, მაგრამ ასეთი ფარჩაკი ოპოზიცია არავის ახსოვს, რომლის „გვირგვინიც“ გახლავთ ნიკანორ მელია. ეს კომიკური ფიგურაა მამამისთან ერთად, დადის და ყველას ლანძღავს, მით უფრო კალაძეს აყენებს შეურაცხყოფას. ტიპი შარზეა. თან ესეც გამარჯვებულ პოზაშია, ესეც ზემოდან ელაპარაკება მოქმედ მერს. სინამდვილეში ერთი ბოღმაში ჩამხრჩვალი და პოლიტიკურად განწირული არსებაა, ე. წ. დებატებიდან ღნავილით გაიპარა.

არავითარი დებატები აღარ არის საჭირო, თუ კახა კალაძესთან სურათების გადაღება ვინმეს უნდა, ისედაც შეუძლია, ამდენი დროის დაკარგვა უკვე ნამეტანია!

წარმატებები თბილისის მოქმედ და მომავალ მერს!

სხვათა შორის, ყველაზე რაციონალური და „დალაგებული“ მაინც არინზე რიჩარდ ოგბუნუჯუ აღმოჩნდა, რომელმაც კალაძეს ჰკითხა, ქალაქში გარეული ცხოველები რომ დადიან, მაგათ რას უპირებო?

ახლა კი ბარემ იმათზეც ვთქვათ, ვინ არიან კახა კალაძის უშუალო ე. წ. კონკურენტები? დიახ, ისინი არიან ე. წ. -ები, რადგან არანაირი შანსი არ გააჩნიათ. მოდით, მე გვარ-სახელებს ჩამოგითვლით, თუ რამდენიმე გამონაკლისის გარდა რომელიმე რამეს გეუბნებათ, მაშინ შემატყობინეთ:

თამარ კეკენაძე – „მესამე ძალა – სტრატეგია აღმაშენებელი“;

ნიკანორ მელია – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;

გიორგი ლომია – „პატრიოტთა ალიანსი“;

ანა ბიბილაშვილი – „ლელო“;

მიხეილ ქუმსიშვილი – „ლეიბორისტული პარტია“;

გიორგი ქუთათელაძე – „საქართველო“;

თეიმურაზ ბობოხიძე – „მამული“;

გიორგი ლაღიძე – „მომავალი საქართველო“;

არინზე რიჩარდ ოგბუნუჯუ – „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“;

ქეთევან ნაკაშიძე – „მამუკა ტუსკაძე – სოციალური სამართლიანობისათვის“;

ევგენი ღვინიაშვილი – „მშრომელთა სოციალისტური პარტია“;

ზაზა ხატიაშვილი – „თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიაშვილი, კახა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)“;

ანა დოლიძე – „ხალხისთვის“;

გიორგი გაჩეჩილაძე – „მწვანეთა პარტია“.

აბა, კიდევ ერთხელ გადახედეთ პატივცემულ კანდიდატთა სიას, რომელს აქვს შანსი და შესაძლებლობა, მოუგოს კახა კალაძეს და გახდეს ქალაქის თავი? იქნებ ასეთი თამარ კეკენაძე გახლავთ, ე. წ. „მესამე ძალოსანი“ და „სტრატეგოს აღმაშენებლის“ მიმდევარი, რომელიც ჭიჭე ვაშაძეს „თავისუფალი დემოკრატებიდან“ გამოუნათხოვრებია? მე არ ვიცოდი, ახლა გავიგე.

იქნებ ბატონ გიორგი ლომიას აქვს რაიმე შანსი, „პატრიოტთა ალიანსმა“ რომ წარმოგვიდგინა? ერთი ესენი არიან კიდე, იმდენი იხტუნეს, პარლამენტში ყველა შევიდა ამათ გარდა. ამოუჩემებიათ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მხარს ჩვენ გვიჭერს, მაგრამ ვინაიდან „ოცნება“ არჩევნებს აყალბებს, 3%-ს ვერ ავცდითო.

უი, იქნებ „ლელოელმა“ ანა ბიბილაშვილმა აჯობოს კახა კალაძეს? ამ გოგოს მაგარი პროგრამა აქვს... პროგრამა რა, კი არ ჩამოუწერია, უბრალოდ გონებაში აქვს განთავსებული... ისაო, თბილისში რაც მეტ გზებს, ესტაკადებსა და ხიდებს ავაშენებთ, მით მეტი ავტომობილი იქნება, ეს კი ძალიან ცუდიაო.

რა ვქნა ახლა, ყველას ღირსებას შევეხო და ყველას დამსახურება ჩამოვთვალო? აქ ზოგი ისეთია, ყოველ არჩევნებში რომ იღებს მონაწილეობას და ეს პროცესი უკვე პროფესიად გადაიქცია. ახლა სამი წელიწადი არჩევნები რომ აღარ იქნება, მამუკა ტუსკაძის პარტიას, გიორგი ლაღიძეს, ანა დოლიძეს და ეგეთებს რა ეშველებათ? ალბათ ყველაზე მეტად მათ აწყობთ რიგგარეშე არჩევნები 2024 წლამდე. სხვათა შორის, იყო დრო, როცა ანა დოლიძე უფრო „დასტოინი“ ადამიანი მეგონა, არ ყოფილა ასე, უკვე კაბიან მიხეილ-გელა სალუაშვილად გადაიქცა (ღმერთმა გაანათლოს მისი სული, იყო ასეთი პიროვნება, დამოუკიდებელ საქართველოში არც ერთი არჩევნები არ გაუმაზავს). თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ცხონებული სალუაშვილი ამდენ სისულელეს არ ლაპარაკობდა.

მიკვირს, ამ ზაზა ხატიაშვილს და „მწვანე გიას“ რაღა დაემართათ, ხომ იციან, რომ მათი ფაფხური ამაოა? ალბათ იციან და მეც ეგ მაინტერესებს, რა რჯით, რას ცდილობენ?

დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, თბილისის მოქმედი მერი კვლავ გააგრძელებს მუშაობას მომდევნო 4 წლის განმავლობაში (არ გამოვრიცხავ, შემდგომი 4 წელიწადიც იყოს) და ბევრ სიკეთესაც ჩაუყრის საფუძველს. წარმატებები კახა კალაძეს!

იმ ადამიანებსაც ვუსურვებ წარმატებებს, თბილისის მერობა რომ მოეპრიანათ და შანსი არ აქვთ, წარმატებები თავიანთ საქმიანობაში – ზოგს ბოსტანში, ზოგს ვენახში, ზოგს ბაღში, ზოგს იმაში, ზოგს ამაში, სამშობლო რომ გიყვარდეს და მისი პრობლემები გაწუხებდეს, თბილისის მერობა სულაც არ არის საჭირო. მთავარია, ცხოვრებაში გზააბნეულმა არ იბოდიალო და ის არ მოინდომო, რისი შანსიც არ გაქვს.

გასაგებია?!

**P. S.** ვინც კალაძის წინააღმდეგ „იბრძვის“, ყველა გახლავთ უშანსო ყარაჩოხელი!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# „ნაცმოძრაობა" მტერია, რომელიც 2 ოქტომბერს კიდევ ერთხელ უნდა დავამარცხოთ – სხვა გზა, სხვა საშველი არ არის!

## შარლ მიშელის დოკუმენტი — ეს არის გეგმა, პროგრამა იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზებით უნდა დაბრუნდეს სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა" ხელისუფლებაში



**ვახტანგ ხარჩილავა:**

არჩევნებამდე სამი დღე დარჩა.

ხელისუფლება არჩევნებისთვის ემზადება, ოპოზიცია — რევოლუციისთვის.

გამოუვათ რევოლუცია თუ არა, ეს სხვა ამბავია, მაგრამ მზადებით რევოლუციისთვის რომ ემზადებიან, ფაქტია.

რევოლუცია თუ არა, არეულობის და დაპირისპირების მცდელობა, სხვადასხვა მოთხოვნებით ქუჩა-ქუჩა სირბილი, მივარდნები და შევარდნები რომ იქნება, ესეც ვიცით.

ისიც წინასწარ არის ცნობილი, რომ ოპოზიცია აუცილებლად იტყვის, არჩევნები გაყალბდაო, თუნდაც ეს არჩევნები ზედმიწევნით ობიექტურად და სამართლიანად ჩატარდეს.

ოპოზიციაო, კი ვამბობთ, მაგრამ, სინამდვილეში, „ნაცმოძრაობა" და მისი პოლიტიკური ნაბიჭვრებია ეს ე. წ. ოპოზიციური ერთობა, რომელსაც ერთობა კი არა, უფრო უპრიანია, ოპოზიციური „შანტრაპა" ერქვას.

„შანტრაპა" იმიტომ, რომ, როგორც ესენი იქცევიან, ასე იქცევა „შანტრაპა" და არა პოლიტიკური ორგანიზაციები და პოლიტიკოსები.

მოკლედ რომ ვთქვათ, ზუსტად ვიცით, რას მოიმოქმედებს ეს „შანტრაპა" 3 ოქტომბერს და რა სცენარით განვითარდება პროცესები.

წესით და რიგით, რამდენიმე დღით ადრე საიდან უნდა ვიცოდეთ, ან რატომ უნდა ვიცოდეთ, რას იზამენ ესენი, მაგრამ ვიცით, რადგან მეცხრე წელი მიდის, „ნაცმოძრაობა" აბსოლუტურად ერთი და იგივე სცენარით, ერთი და იგივე ხელწერით მოქმედებს ყველა არჩევნებში.

თუ კარგად დავაკვირდებით „ნაცმოძრაობის" მიერ ამ შვიდ არჩევნებში გამოყენებული პოლიტპიარტექნოლოგიების სიუჟეტურ ქარგას, შვიდივე შემთხვევაში „ნაცმოძრაობა" ცდილობდა, რაღაც ფორმით გაემეორებინა „ვარდების რევოლუციის" სცენარი.

ახლა „ნაცმოძრაობა" რიგით მერვე „ვარდების რევოლუციისთვის" ემზადება.

მიუხედავად იმისა, რომ 18 წელი გავიდა, 2003 წელს მოპოვებული გამარჯვების ხიბლისგან ვერა და ვერ გათავისუფლდა „ნაცმოძრაობა", ვერა და ვერ გამოფხიზლდა იმ დროს მოპოვებული წარმატების მათრობელა ბანგისგან.

არადა, ისე, როგორც ორჯერ ვერ შეხვალ ერთსა და იმავე მდინარეში, შეუძლებელია, ერთი და იგივე მეთოდებით გადაცურო ნიადაგ ცვალებადი პოლიტიკური მდინარე და გამარჯვებული გახვიდე მეორე ნაპირზე.

ესენი კი ყმაწვილკაცობისას ნასწავლი მხარულით თუ ბაყაყურით მიაპობენ ქართული პოლიტიკის მღვრიე ტალღებს და ჰგონიათ, გაღმა ნაპირზე კვლავ შევარდნაძე დახვდებათ, რომელიც ამათ დანახვაზე ხელს ჩაიქნევს და ძველებურად იტყვის: წავედი მე, სახლში.

წლები გავიდა, თმაში ჭაღარა მოემატათ, შუბლზე ღარები, მაგრამ ამათ სიბრძნე და სიდინჯე არ მომატებიათ — ძველებურად აღრჭიალებენ აწ უკვე „დაპლომბილ" კბილებს, ძველებურად სწყურიათ სისხლი და კვლავ შურისძიებისა და ანგარიშწორებისკენ მიუწევთ გული.




არ იქნება ამათი შეცვლა, ამათი გარდაქმნა, ამათი გამოსწორება — ისინი ან თვითონ უნდა დამთავრდნენ და პოლიტიკური ასპარეზიდან უნდა გაირეკონ, ან ქართულ სახელმწიფოს და ქართველ ხალხს შეიწირავენ.

●

**არ მჯერა მათი მეგობრობის**, მათი სტრატეგიული პარტნიორობის, მათი გულწრფელი თანაგრძნობისა და თანადგომის, ვინც „ნაცმოძრაობას", ამ ბოროტ, სასტიკ ფაშისტურ-კრიმინალურ ძალას, პირდაპირ თუ ირიბად, მხარს უჭერს, პოლიტიკურ ასპარეზზე საარსებო სივრცის შენარჩუნებაში ეხმარება და ამას დემოკრატიის განვითარების, დემოკრატიული ღირებულებების, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების და დამკვიდრების კეთილშობილური მიზნებით ხსნის.




**არ მჯერა და არ მწამს** ისეთი დემოკრატიის, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვეულებრივ კრიმინალებს, მკვლელებსა და ბანდიტებს, თავიანთ ბანდას პოლიტიკური ორგანიზაცია დაარქვან სახელად, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ, ქვეყანა რვა წლის განმავლობაში ძარცვონ და ყვლიფონ, ხოლო მათ, ვინც მთელ მსოფლიოში დემოკრატიის მებაირახტრეებად, დემოკრატიის მისიონერებად წარმოაჩენენ საკუთარ თავს, ამ უბედურებასა და უმსგავსობაზე თვალები დახუჭონ და მათ შემაძრწუნებელ საქმეებს სათანადო შეფასება არ მისცენ.

**არ მჯერა და არ მწამს** საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ მათი კეთილგანწყობის, ვინც ისევ და ისევ დემოკრატიის სახელით, ადამიანის უფლებების სახელით, გამოხატვის თავისუფლების სახელით ოპოზიციაში გადასულ ამ კრიმინალურ ძალას მთავარ ოპოზიციურ ძალას უწოდებს და ხან აშშ-ის კონგრესში, ხან ევროპარლამენტში ღიად და ხმამაღლა ექომაგება, რომ ვინმემ ზედმეტი სიტყვა არ უთხრას და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების გამო პასუხის მოთხოვნა არ გაუბედოს.

ძვირფასო მეგობრებო დასავლეთიდან, „ნაცმოძრაობა", მისი შეშლილი ლიდერის, სააკაშვილის, მეთაურობით, რვა წლის განმავლობაში აუპატიურებდა, ძარცვავდა და აყაჩაღებდა ამ ქვეყანას, თქვენ კი ვერ ხედავდით და ვერ ამჩნევდით. „ნაცმოძრაობა" რვა წლის განმავლობაში ქუჩაში ხვრეტდა, ციხეებში ყრიდა უდანაშაულო ადამიანებს, თქვენ კი არც მათი და არც მათი ჭირისუფლების სასოწარკვეთილი გმინვა არ გესმოდათ.

„ნაცმოძრაობამ" 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციული ომის შედეგად რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20% უფეშქაშა, ომამდე და ომის შემდეგ კი უამრავი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი რუსებს გადაულოცა, თქვენ კი მათ ისევ დემოკრატიისთვის მებრძოლ პროდასავლურ ძალად მიიჩნევთ, ხოლო „ქართულ ოცნებას", რომელსაც არაფერი გაუსხვისებია, არაფერი დაუკარგავს და რუსებისთვის არაფერი დაუთმია, პრორუსულობაში სდებთ ბრალს.

ესაა თქვენი სამართლიანობა და ობიექტურობა?

რა უნდა იფიქროს ყოველივე ამის შემდეგ ქართველმა ხალხმა, რომელსაც განსჯის და შავის თეთრისგან გარჩევის უნარი ჯერჯერობით არ დაუკარგავს.

როგორ უნდა გენდოთ, როგორ უნდა ირწმუნოს თქვენი ქართველმა ხალხმა, როცა სისხლიანი რეჟიმის მთავარ შემოქმედს, სააკაშვილს და ბიძინა ივანიშვილს, კაცს, რომელსაც 3 მილიარდამდე დოლარი აქვს გაღებული ხალხისა და ქვეყნის დასახმარებლად, ერთმანეთს ადარებთ, ერთმანეთის საპირწონედ თვლით და უფრო მეტიც — ივანიშვილს სანქციებით ემუქრებით და პოლიტიკიდან დისტანცირებას სთხოვთ, სააკაშვილს კი პოლიტიკაში ტოვებთ და კვლავ ხელისუფლებაში დაბრუნების იმედს უტოვებთ.

●

„ნაცმოძრაობას" იმედი არ აქვს, რომ ამ არჩევნებს მოიგებს, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ „ქართული ოცნება" 43%-იან ზღვარს ვერ გადალახავს, რაც იმის საბაბს აჩენს, რომ „ნაცმოძრაობამ" რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა მოითხოვოს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ეს ავადსახსენებელი 43% იმ დოკუმენტში წერია, რომელსაც შარლ მიშელის დოკუმენტი ჰქვია.



მართალია, „ქართულმა ოცნებამ" ამ დოკუმენტის ანულირება მოახდინა და მკაფიოდ განაცხადა, რომ 43 კი არა, თუნდაც 1%-ზე მეტი ვერ აიღოს, რიგგარეშე არჩევნები მაინც არ დაინიშნება, მაგრამ „ნაცმოძრაობისთვის" ეს მყარი არგუმენტი სულაც არ არის — ისინი თვლიან, რომ შარლ მიშელის დოკუმენტი ძალაშია და რაც იქ წერია, უნდა აღსრულდეს.

— ჩვენ ამ არჩევნებს მოვიგებთ, მერე კი წავალთ წინ, რიგგარეშე არჩევნებისკენ, შევქმნით კოალიციურ მთავრობას და ერთად შევუდგებით ქვეყნის აღმშენებლობას, — აცხადებს „ნაცმოძრაობის" თავმჯდომარე ნიკანორ მელია და ავად აბრიალებს თვალებს.

ნიკანორ მელია პოლიტიკოსი

არ არის, ნიკანორი ძველი ბიჭია, უფრო ზუსტად, შეჭრისა და შევარდნის სპეციალისტია და სწორედ ამისთვის ჰყავს დაქირავებული „ნაცმოძრაობის“ ბოსს, სააკაშვილს.

ნიკანორი იგივე როლს ასრულებს დღეს, რა როლსაც თავის დროზე ასრულებდა კეზერაშვილი.



კეზერაშვილი შორს წავიდა, მაგრამ, ეჭვი გვაქვს, რომ ნიკანორი მამამისთან ერთად ცუდად დაასრულებს — ერთიც და მეორეც ამ არჩევნებში ჩაფლავდება და მამა-შვილს პანღურით გამოაგდებენ „ნაცმოძრაობიდან“, თუმცა, სანამ ეს მოხდება, მანამდე მელიებს განსაცდელების რამდენიმე საფეხური აქვთ ასავლელი.

რიგგარეშე არჩევნები და კოალიციური მთავრობა — ეს არის „ნაცმოძრაობის“ მიერ დაანონსებული მთავარი ოცნება.

ოცნების უფლება ყველას აქვს, მათ შორის „ნაცმოძრაობასაც“, მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ ამ ოცნების აღსრულების მექანიზმები ვიღაცამ პირდაპირ, გამზადებული სახით ჩადო დოკუმენტში, რომელიც ევროპარლამენტმა სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტად დაგვიდო მაგიდაზე.

შარლ მიშელის დოკუმენტი — ეს არის გეგმა, პროგრამა იმის შესახებ, თუ როგორ და რა გზებით უნდა დაბრუნდეს სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში.

ცოტა მიხვეულ-მოხვეული და ოღროჩოღრო გზა კი არის, მაგრამ მთავარია, რომ გზის ბოლოს ის ნანინანატრი მიზანი იკვეთება, რისკენაც „ნაცმოძრაობა“ რვა წელია ავადმყოფური აკვიატებით მიისწრაფვის — ძალაუფლება!

სასამართლო რეფორმის დაჟინებული მოთხოვნა, სამართლებრივად აბსოლუტურად აბსურდული და ალოგიკური ჩანაწერი 43%-იანი ბარიერის შესახებ, რაზეც პირდაპირ არის მიბმული რიგგარეშე არჩევნები — რა არის ეს, თუ არა ერთმანეთზე მიჯრილი ბარიკადები „ქართული ოცნების“ დასაბრკოლებლად და „ნაცმოძრაობისთვის“ ახალი შანსის მისაცემად?

— რა შუაშია „ნაცმოძრაობა“, ჩვენ რიგგარეშე არჩევნები იმისთვის გვჭირდება, რომ დავასრულოთ ოლიგარქიული მმართველობა და შევქმნათ კოალიციური მთავრობა, სადაც სხვა პარტიებთან ერთად „ნაცმოძრაობაც“ იქნება წარმოდგენილი, — დაზეპირებულებივით იმეორებენ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, აგერ უკვე მესამე წელია.

სრული იდიოტიზმია, აბსოლუტურად გაუაზრებელი და დემაგოგიური ბოდვაა ეს ყველაფერი.



როგორ ცუდად უნდა იცნობდე საქართველოს და ქართულ ხასიათს, რომ დაიჯერო, შეიკრიბებიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, გაინაწილებენ პორტფელებს, გაინაწილებენ ფუნქციებს და მშვიდობიანად, მაღალი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით შეუდგებიან ქვეყნის მშენებლობას.

კოალიციური მთავრობების არსებობა საქართველოში კი არა, ეკონომიკურად მდიდარ, პოლიტიკური ცხოვრების, პოლიტიკური კულტურის უდიდესი გამოცდილების მქონე სახელმწიფოებშიც კი ვერ ამართლებს და გამუდმებით ისეთ ახალ-ახალ პრობლემებს ქმნის, რომელთა დაძლევა ამ სახელმწიფოებსაც კი უჭირს. საქართველოში ნებისმიერი კოალიციური მთავრობა 3–4 თვეზე მეტს ვერ გაძლებს, რაც ავტომატურად ნიშნავს ახალ-ახალ საპარლამენტო არჩევნებს, მუდმივ რყევებს, მუდმივად უწონადობის მდგომარეობაში ყოფნას.

კოალიციური მთავრობის იდეა თავის დროზე „ნაცმოძრაობამ“ შემოაგდო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და მის კონტროლს დაქვემდებარებული ტელევიზიების საშუალებით ამ იდეის აქტიური პროპაგანდა და რეკლამირება დაიწყო.

მკითხველს ემახსოვრება, რა ფართომასშტაბიან კამპანიას ატარებდა „მთავარი“ ამ მიმართულებით და როგორ აფიცებდა თავის „ხატზე“ ურჯულო გვარამია პოლიტიკოსებს და როგორ აწერინებდა ხელს ერთგულების ფირმანზე, რომ არავითარ შემთხვევაში კოალიციას არ შექმნიდნენ „ქართულ ოცნებასთან“, რა იმაც ნიშნავდა, რომ მომავალი კოალიციის მთავარი ღერძი „ნაცმოძრაობა“ იქნებოდა და პროცესები მის გარშემო იტრიალებდა.

**მთავარი მზაკვრობა, მთავარი ნაღმი, რაც კოალიციური მთავრობის შექმნის იდეაში იმალება, სწორედ აქ დევს — „ნაცმოძრაობა“, რომელიც კოალიციის პოლიტიკური ცენტრი იქნება, სულ მცირე ხანში ჭილყვავებივით დაიფრენს კოალიციაში დროებით შემოხიზნულ პოლიტიკურ პარტიებს და ძალაუფლების სრულ უზურპაციას მოახდენს.**

სააკაშვილს მეტი საქმე არ აქვს, ძალაუფლება ხაზარაძეს, ნათელაშვილს, გირჩი-ჯაფარიძეს, ან სამნიძე-კორძაიას გაუყოს.

ის იგივეს გააკეთებს, რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გააკეთა — ყველა თანამებრძოლს ჩამოიშორებს და მართვის სადავეებს ერთპიროვნულად აიღებს ხელში.

სააკაშვილი თავისი ბუნებით შუასაუკუნეების სასტიკი და სისხლისმოყვარე ფეოდალის პროტოტიპია, რომლისთვისაც დემოკრატია ისეთივე უცხო ხილია, როგორც ვირისთვის ხურმა.

დასკვნის სახით რომ ვთქვათ, მთელი ეს აბრაკადაბრა, თავის შარლ მიშელის დოკუმენტიანად, თავისი 43%-იანი ბარიერით და კოალიციური მთავრობის შექმნის უტოპიური იდეით, როგორც ვთქვით, სხვა არაფერია, თუ არა მიხეილ სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების გეგმა.

კი, მაგრამ, მაშინ რას მივაწეროთ ის აჟიოტაჟი, რაც შარლ მიშელის ამ დოკუმენტის გარშემო შეიქმნა, რა იყო ის გაუთავებელი ვოიაჟები, ის ინტენსიური ვიზიტები ევროპარლამენტის წარმომადგენელთა მხრიდან და ის დაჟინებული მოთხოვნები, რომ, თუ გინდათ, საქართველო გადარჩეს, ამ დოკუმენტის ყველა პუნქტი ზედმიწევნით ზუსტად უნდა შესრულდესო.

საქართველოს გადარჩენა იმაზეა დამოკიდებული, საქართველოში ხელმეორედ დამყარდება თუ არა „ნაცმოძრაობის“ ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმი და სადისტი, ნახევრადშეშლილი სააკაშვილი ხელმეორედ დააჯდება თუ არა ქართველ ხალხს კისერზე?

ეს არის ის ნათელი და დიადი მიზანი, რისკენაც ქართველი ხალხი უნდა ისწრაფვოდეს და საითკენაც ევროპარლამენტი გვიბიძგებს?

ზოგჯერ არსებობს მომენტი, როცა ფაქტების ობიექტური, ლოგიკას დაქვემდებარებული ანალიზი, შენდაუნებურად, ისეთ მოულოდნელ დასკვნამდე მიგიყვანს, შენ თვითონვე გაოგნდები.

ზუსტად ამ მდგომარეობაში ვარ ახლა მე — გაოგნებული, შეძრწუნებული და, ამავე დროს, ცოტათი შემკრთალი და შეშინებულიც საკუთარი „აღმოჩენით“.

მოდი და ნუ შეშინდები, როცა მიხვდები, რომ ისიც კი, ვინც შენი მეგობარი და კეთილისმყოფელი გეგონა, ზურგს უკან სამარეს გითხრის, სამარეს, რომელსაც რიგგარეშე არჩევნები და კოალიციური მთავრობა ჰქვია.

არ არის გამორიცხული, ამ სამარეზე სააკაშვილის მონუმენტური ძეგლი დაიდგას წარწერით: დედამოტ...ლო ერო, ხომ დაგაფსი თავზე!

●

რა ეშველება ამ სიტუაციას?

სად არის გამოსავალი?

სად არის გამოსავალი და ისევ იქ არის, სადაც ყოველთვის იყო — ქართველ ხალხში, ქართველ ერში, რომელიც დიდი კრიზისისა და გაჭირვების ჟამს ყოველთვის პოულობდა შინაგან ენერგიას სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

— კი, მაგრამ, ამ ცხრა წლის განმავლობაში რამდენჯერ უნდა მივიღოთ ეს სწორი გადაწყვეტილება და რამდენჯერ უნდა ვიხსნათ საქართველო შლეგი სააკაშვილისა და მისი ბანდის ხელისუფლებაში დაბრუნებისგან? არჩევნების დროს რომ გვიხმობენ საშველად, არჩევნების შემდეგ მომავალ არჩევნებამდე რატომ ვავიწყდებით და რატომ არავის ახსოვს ჩვენი მოთხოვნა: „ნაცმოძრაობა“ უნდა გასამართლდეს! „ნაცმოძრაობა“, როგორც ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ძალა, გაძევებული უნდა იქნას პოლიტიკური ასპარეზიდან! — ალბათ, ძალიან ბევრი ადამიანი იკითხავს გულისტკივილით და საყვედურით და, სამწუხაროდ, მართლებიც იქნებიან, მაგრამ ეს არავის არ აძლევს იმის უფლებას, რომ ხელი ჩავიქნიოთ და ეს ქვეყანა ნაცებს გადავაბაროთ.

**ეს ქვეყანა არც „ნაცმოძრაობისაა“, არც „ლელოსი“, არც „გირჩის“, არც „ევროპელი დემოკრატების“, არც „ევროპელი სოციალისტების“ და არც სხვა პოლიტიკური პარტიების, ეს ქვეყანა ქართველი ხალხისაა, ეს ქვეყანა ჩვენია და ის იმდენჯერ უნდა ვიხსნათ, რამდენჯერაც საჭირო იქნება — ხუთჯერ, ათჯერ, ოცჯერ, ასჯერ.**

ქართველი ერი არჩევნებზე მეტ-ნაკლებად სწორ და გონივრულ არჩევანს აკეთებს, მაგრამ მან არ იცის, როგორ იმოქმედოს არჩევნების შემდეგ და როგორ დაიცვას ის მონაპოვარი, რომელსაც არჩევნებზე მიაღწია.

არადა, სწორედ ეს არის მთავარი და ამ მთავარი პრობლემის გადაწყვეტა რომ შეძლოს, ერი სამოქალაქო საზოგადოებად უნდა ჩამოყალიბდეს, რომელმაც ყველაფერზე ოპერატიულად და პრინციპულად უნდა მოახდინოს რეაგირება, ყველაფერი უნდა აკონტროლოს.



„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პერსპექტივები ნამდვილად არსებობს, რასაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის სტილი აბსოლუტურად გამორიცხავს.

„ნაცმოძრაობა“ ნეობოლშევიკური, ნეოფაშისტური ძალაა, სრულიად მიუღებელი და ანომალიური მოვლენაა, რომელიც შუა საუკუნეების ინკვიზიციური მეთოდებით ცდილობს, მართოს 21-ე საუკუნის საქართველო, რასაც ქართველი ერი ვერასოდეს შეეგუება.

●

სხვა გზა არ არის — კიდევ ერთი ომი უნდა მოვუგოთ „ნაცებს“!

ეს არ არის ომი „ქართული ოცნების“ გასამარჯვებლად — ეს არის ომი საქართველოსთვის, ომი საქართველოს გადასარჩენად.

არაფერი პათეტიკური და გაზვიადებული ჩემს ნათქვამში არ არის — ეს მკაცრი რეალობაა, რომელსაც აუცილებლად დაინახავ მთელი სიცხადით, თუ გულის ხმას გონების ხმასაც მიაშველებ და იმ საშიშროებას გაიაზრებ, რაც ჩვენს ქვეყანას ამ ომის წაგების შემთხვევაში ელოდება.

ის, რაც დღეს ხდება, პოლიტიკური პარტიების დაპირისპირების ფარგლებს სცდება.

**მტერია „ნაცმოძრაობა“**, ოღონდ ერთი მტერი კი არა, ისეთი მტერია, რომელშიც ჩვენი სამშობლოს ბევრი მტერი და მათი საერთო ინტერესებია ერთად თავმოყრილი.

**მტერია „ნაცმოძრაობა“** — ის სადამსჯელო-საეგზეკუციო დესანტია და მათ დავალებებს ასრულებს, ვინც თავის დროზე ისინი ხელისუფლებაში მოიყვანა.

რატომ გახდა ეს ძნელად გასაგები იმ ადამიანებისთვის, „ნაცმოძრაობას“ რომ უჭწერენ მხარს და იმას კი ვერ ხვდებიან, რომ, როგორც წინა წერილში ვწერდი, „ნაცმოძრაობის“ მხარდაჭერა იგივეა, თემურ-ლენგის, შაჰ-აბასის, მურან-ყრუს ლაშქარს დაუჭირო მხარი.

სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ ოცნებაა — საქართველო იყოს ქვეყანა ყველასი და არავისი, მათ შორის — არც ქართველების.

აი, ამას აძლევთ ხმას 2 ოქტომბერს, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერო ქართველებო?

დიახ, მტერია „ნაცმოძრაობა“, რომელიც 18 წელია, ებრძვის საქართველოს.

ეს მტერი 2 ოქტომბერს კიდევ ერთხელ უნდა დავამარცხოთ — სხვა გზა, სხვა საშველი არ არის!

# ვაფრთხილებ ნაცებს: ნუ გამოიყვანთ ქართველ ხალხს წონასწორობიდან, თორემ თქვენგან ბუნდღა არ დარჩება!

*გვესაუბრება*
*მწერალი, აკადემიკოსი*
*ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, საარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შედის. 2003 წლიდან მოყოლებული ხალხმა „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკური ველიდან ვერ გაიყვანა. ამჟერად, რა მოლოდინები გაქვთ?**

— 2012 წელს ბიძინა ივანიშვილის წყლობით ნაძირალა სააკაშვილის — ამ მკვლელი, მძარცველი და ყველა უბედურების ჩამდენი ხელისუფალისა და მისი დამქაშებისგან განვთავისუფლდით. ამ პერიოდში ნაცები სოროში იყვნენ შემძვრალნი და ხმას ვერ იღებდნენ. მაგრამ ამ დროს, დასავლეთმა კოაბიტაციის თემა შემოგვიგდო. კოაბიტაცია ნიშნავს, როცა ერთ ოჯახში ცხოვრობს ცოლ-ქმარი, რომლებიც ერთმანეთთან საერთო ენას ვეღარ პოულობენ, მაგრამ სხვაგან წასვლის საშუალება არ აქვთ და თანაარსებობენ. საქართველოში კოაბიტაცია პოლიტიკურ ლოზუნგად გადააქციეს. შედეგად, სოროში შემძვრალი სოროსელები მზეზე გამოეფინენ.



მმართველი ძალა ნაძირალა ნაცების თავდასხმებს ითმენს და მუდმივად, თავის მართლების რეჟიმშია. დღესაც, ასეა. აქეთ, დასავლეთი მოგვიწოდებს: ნაცებს ხმა არ გასცეთო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ეს ხულიგანი მელია ციხიდან გამოგვაშვებინეს, ისიც, პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობს და მერე თითს „ქართული ოცნებისკენ“ იშვერს. რაც მელიამ ევროკავშირის ოფისთან ჩაიდინა, ეს გახლავთ ხულიგნობა და მეტი არაფერი. თბილისში გაზრდილი ვარ, ხულიგნების მეტს რას ვიცნობ, მაგრამ ასეთი დონის პროვოკატორის მომსწრე, არასდროს ვყოფილვარ. მოდით, ვთქვათ: ვინ არის მელია? — კაცი, რომელსაც ერთი წიგნიც არ წაუკითხავს, წესიერად ვერ მეტყველებს, დამთავრებული აქვს კაგებეს სკოლა. იგი, ვაჟკაცი პიროვნება არ გახლავთ. ამას, ტყუილად როდი გეუბნებით: ნიკანორი ჩემს უბანში ცხოვრობდა და როგორც სააკაშვილი, იგიც, შიშით გარეთ ცხვირს ვერ ჰყოფდა. უცებ, გახდა ძველი ბიჭი, ბუნტისთავი. ეს ვისი ბრალია? — იგივე, შარლ მიშელის, რომელმაც ერთ-ერთ მთავარ პირობად მელიას ციხიდან გათავისუფლება წამოგვიყენა.

განა ვინ არის ასეთი მელია, რომ მთელი სახელმწიფოს კონცეფცია მასზე აიგო?! მელია, აქეთ, გვემუქრებოდა: არ დავტოვებ ციხესო და მერე, სულ ტაშ-ფანდურით, ცეკვით გამოვიდა. ახლა, ისევ, დემარშს აგრძელებს. მისი ქცევები, ხულიგნური ნაბიჯები ქართული სახელმწიფოს, ცნობიერების, ერის წინააღმდეგ არის მიმართული. ძალიან მიკვირს იმ ადამიანების, ვინც მელიას მხარს უჭერს. ვფიქრობ, ეს ხალხი, ფსიქოლოგებმა უნდა შეისწავლონ. ნამდვილ თბილისელებს საკმაოდ კარგად ვიცნობ. მელიას მხარდამჭერები თბილისელები არ არიან. მეტსაც გეტყვით: ისინი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანები არ არიან. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ სამშობლოზე მოფიქრალი ხალხი, რომელმაც სააკაშვილის ყველა მზაკვრული ნაბიჯი იცის, მას მხარს დაუჭერს. გნებავთ, ჩამოვთვალოთ სააკაშვილის ნამოქმედარი: მოვიდა თუ არა ხელისუფლებაში, პირდაპირ, სახლებში შევარდა და ნახევრად შიშველი ცოლ-ქმარი საწოლიდან წამოყარა, თან ამას ტელევიზიის საშუალებით გვაყურებინებდა. ვითომ, ამით, წესრიგი დაამყარა. მერე, ბორდელებში შევარდა და ბოზები დააპატიმრა. შემდგომ მიადგა ბიზნესმენებს და მათი დაყაჩაღება დაიწყო. ნოტარიუსებს შუაღამეზე იბარებდნენ და ქონებების გადაფორმება ხდებოდა. ახლო მეგობარი მყავს, რომელიც დეპუტატი გახლდათ. ელექტროსადგური — ჭითახევი ჰქონდა, რომელიც ენერგიას ბორჯომს აწმარდა. დეპუტატობის ვადა რომ გაუვიდა, ნაძირალა ადეიშვილმა დაიბარა და უთხრა: თუ ჭითახევს არ გადმოგვცემ, ციხეში გაგიშვებთო. იცით, ვინ იმყოფებოდნენ ამ ბატონის კაბინეტში? ხაზარაძე და ჯაფარიძე. ისინი აძლევდნენ ცნობებს: ვინ, რას აკეთებს. ნაცებმა ბიზნესები მოსპეს და მიითვისეს. მერე, თანხებს უცხოეთში აგზავნიდნენ. მთელი საქართველოს მოსახლეობა გარეთ დატოვეს, ქუჩაში გამოყარეს, დაბეგრეს. ახლა, გამოდიან და ხალხს ეუბნებიან: ჩვენ, დაგიცავთ, გადაგარჩენთო. სამწუხაროდ, დღეს, საქართველო თავდაყირა დგას. დღევანდელი ოპოზიციიდან ერთი ადამიანიც არ მოიძებნება ვისაც ქართველი კაცი შეიძლება ენდოს და ვინც ქვეყნის სასიკეთოდ იაზროვნებს. პოლიტიკოსები ქართველ ხალხზე და სახელმწიფოზე როდი ფიქრობენ. სააკაშვილი უკრაინიდან ტლიკინებს: სამშობლო მიყვარს, ამერიკაში კარგად ვცხოვრობდი, მაგრამ მშიერ საქართველოში მის გადასარჩენად ჩამოვედიო. კატეგორიულად ვაცხადებ: ჩვენს ისტორიას კარგად ვიცნობ. ქვეყნის ასეთი დამანგრეველი როგორიც სააკაშვილია, თემურ-ლენგიც კი არ ყოფილა, რომელმაც საქართველოს შვიდჯერ შემოუტია. მიშა ბუნებით კურდღელია — გარეთ გამოსვლის ეშინოდა, დღეს, ვაჟკაცი გახდა. სირცხვილია! დავაკვირდეთ მის საუბარს: ნორმალური კაცი განა ასე იმეტყველებს. კიდევ, ვიმეორებ: სააკაშვილის მომხრეები კერპთაყვანისმცემლები არიან. ეს რა არის? — როცა ქვაში, ხეში, ნახატში საკუთარ ღმერთს პოულობ. სააკაშვილი არც ხეა, არც ნახატი, არაფერი არ არის. სააკაშვილი არის ბოლი. მისი რწმენა არ შეიძლევა. მისი ვის წამს? — ყველაზე ჩამორჩენილ, ჩლუნგ ხალხს. ანუ, პირებს რომლებიც ვერ აზროვნებენ. მათ არ აქვთ აზროვნების ნიჭი და უნარი. ასევე, სააკაშვილის მომხრეები არიან ისინი, ვინც 10–20 ლარზე იყიდებიან.

**— სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებაზე რას იტყვით: რისთვის სურს აქ, ჩამოსვლა?**

— გაიძახის: საქართველოს შავი ზღვიდან უნდა მოვადგეო. შეკრიბა ახალგაზრდები, რომლებიც ათას სისულელეს ბრუტუნებენ. მიშას ჰგონია: როგორც უკრაინაში შეიჭრა ძალით, აქაც, იმავეს მოახერხებს. არაფერი გამოუვა იმიტომ, რომ ქართველი ხალხი მოთმინების ზღვარზეა. ითმენს, ითმენს და თუ იფეთქა, მერე, ნახეთ რაც მოხდება. ნაცებს ეზიზღებათ საქართველო, ქართული სახელმწიფოს დანგრევა უნდათ. როგორ შეიძლება შენი ქვეყნის მტერს ელაპარაკო და თავზე ხელი უსვა.



**— „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატზე — კახი კალაძეზე რას იტყვით? „ნაციონალები“ ყველა ღონეს ხმარობენ, რათა მას წინასაარჩევნოდ ჩირქი მოსცხონ.**

— კახი კალაძეს დიდ პატივს ვცემ და ბუნებრივია, ხმასაც მას ვაძლევ. ოღონდ, ერთ რამეში ვერ დავეთანხმები: იგი მელიას ეუბნება: შენი მერიც ვიქნები და მთლიანად ოპოზიციისაც. ყველაფერს გავაკეთებ, რაც თბილისს წარმატებას მოუტანს, მას მეტ სიცოცხლეს შევძენ და ეს თქვენც გაგიხარდებათო. არა, ბატონო კახი, მელიას, ნაცებს ეს საერთოდ არ გაუხარდებათ. მათ უნდათ ქართველი ხალხის მოკვლა, ამოჟუჟვა, სახელმწიფოს დანგრევა და თქვენი გაკეთებული სიკეთეები როგორ გაუხარდებათ?! მე, არ ვარ პოლიტიკოსი, 84 წლის გახლავართ და მზად ვარ ხელში ავიღო თოხი, კომბალი, თოფი და მათ შევუტიო. იმიტომ, რომ არ შეიძლება მათ მიმართ ლოიალობის გამოჩენა. ესენი არიან მატლები, ჭაობის ბაყაყები — ყიყინებენ და ყიყინებენ. მატლებივით გამოძვრნენ სოროებიდან და უნდათ ჩვენი უკვდავების ხე მოსპონ, გამოხრან. აქეთკენ მიდის ყველაფერი. ხელისუფლებას, „ქართულ ოცნებას“ ვაფრთხილებ: ნუ თმობთ! ასე, აღარ შეიძლება. მელიასაც და ყველა სხვა დამნაშავეს, პასუხი ვაგებინოთ. ნიკანორმა რაც ჩაიდინა, ეს არის ხულიგნობა. მე, ერთი სიტყვა წამომცდა და შევარდნაძემ მაშინვე დამიჭირა. დამნაშავე დაისაჯოს! ქართველ მოსახლეობას, რომელსაც თავის სამშობლო უყვარს, მას, ნუ შეაჯავრებ თ. დიდ პატივს ვცემ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც თქვა: ჩემი უფროსი არ არის ევროპის პარლამენტი, არამედ ქართველი ხალხიო. დიახ, ქართველი ხალხის ნება-სურვილი უნდა ასრულდეს. ასევე, დიდი პატივისცემით ვარ გამსჭვალული თეა წულუკიანის მიმართ, რომელიც ეროვნული პრობლემების მოგვარებაზე ფიქრობს. პატივსაცემი ადამიანია ირაკლი კობახიძე — წესიერი ყმაწვილი, რომელიც ყველაფერს პირდაპირ არქმევს თავის სახელს, რაც ზოგიერთ დეპუტატს უჭირს. მამუკა მდინარაძესაც პატივს მივაგებ. ანუ, იმ ხალხს, ვინც სამართლიანობისთვის იღწვის. სამწუხაროდ, დღეს ყველა სფეროში ნაცები არიან გაბნეულნი, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან: როდის დაინგრევა ეს ქვეყანა. ეს არის მთელი უბედურება. ვის უნდა ვენდოთ ოპოზიციიდან? ავიღოთ, თუნდაც, ქალბატონები. შეიძლება გარეგნულად ქალებს ჰგავანან, მაგრამ პირს რომ გააღებენ, შხამი ამოსდით.

**— ბატონო ელიზბარ, დღეს, ოპოზიციის საარჩევნო კამპანიაზე თავად, ოპოზიციონერებზე მეტად, ტელევიზიები ზრუნავენ.**




— დიახ, ეს საშინელებაა. სამი ტელევიზია — „მთავარი“, „ფორმულა“ და „ტვ პირველი“ ქართულ რეალობას მიწასთან ასწორებენ. ხალხის დაპყრობის ძალიან ცნობილი მეთოდია, როცა მას ცნობიერებას უცვლიან. ადამიანები, თეატრს რომ უცქერ ისე უყურებენ რაღაც სცენებს და ჰგონიათ, რომ ამ სპექტაკლში თვითონ იღებენ მონაწილეობას. ამ დროს, ეს გახლავთ ქვეყნის დანგრევა. ვინც ამ ტელევიზიებს უყურებს, ჰგონიათ, რომ ნაცები ქვეყანას გადაარჩენენ. გვარამია რომ ვაჟკაცობს და ხუთი შეიარაღებული დაცვით დადის, თან, პირდაპირ ეთერში ვინც მასსავით არ აზროვნებს ყველას დედ-მამას აგინებს, ეს როდემდე უნდა უთმინოს ქართველმა ხალხმა?! ვინ არის გვარამია? — კაცი, რომელმაც სია-

8 გვ. →

# ნაცმოძრაობის მხარდამჭერებმა მინდა იცოდნენ: ვინც მკვლელებს მხარს უჭერს, ისიც მკვლელია! ვინც მეცოცხეებს ექომაგება, ისიც მეცოცხეა!

## ამ არჩევნებში „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, „ნაცმოძრაობამ“ კი შეიძლება მესამე ადგილზე გადაინაცვლოს



*გვესაუბრება*
*პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი*
*რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, ელჩები, ოპოზიცია საუბრობენ, რომ „ქართული ოცნება“ ძალადობრივ წინასაარჩევნო კამპანიას ახორციელებს. რეალურად, რა პროცესების მომსწრენი ვართ?**

— ძალადობაზე ბრალდება, ნაცებს, დროშად რომ აქვთ, აი, ეს არის სწორედ ღიმილის მომგვრელი. მათთვის, ძალადობა, ხელისუფლებაში ყოფნის დროს დადებითი მოვლენა იყო. არც ოპოზიციაში ყოფნისას უშვებენ შანს ხელიდან, რათა იძალადონ. პროვოკაცია, შეურაცხყოფა, აგრესია — ეს მათი ამპლუაა და ამას აღარაფერი ეშველება. უფრო მძაფრი ძალადობრივი მეთოდები ვიდრე იყო 2012 წელს, რასაც ნაცების მხრიდან ჰქონდა ადგილი, ძნელი წარმოსადგენია. ბიძინა ივანიშვილს ანგარიშები დაუყადაღეს, ბანკიდან მომავალი ავტომანქანა იარაღით გააჩერეს, „თეფშები“ დაუპატიმრეს, აღარაფერს ვამბობ, ადამიანების მიმართ გამოვლენილ სისასტიკეზე. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან ძალადობის მიუხედავად, რომლის სათავეში მაშინ ნაცები იყვნენ, მათ წააგეს და ივანიშვილმა გაიმარჯვა. ამ მაგალითით, ერთი რამ ითქმის: ძალადობა მოსახლეობის ნებას ვერ აჩერებს. თუ ეს ნება მკაფიოდ არის გამოხატული, ძლიერია, მეტ-ნაკლებად საყოველთაოა, მაშინ შედეგი მაინც ის დადგება, რაც მოსახლეობას სურს. თუ არჩევნების შედეგზე ვსაუბრობთ, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ჩივილს, თითქოს, მათ დაემუქრნენ ან პოლიტიკურად შეავიწროვეს, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მოსახლეობას თუ მოუნდება სხვა ძალა და „ქართული ოცნება“ მიუღებელი იქნება, ხელისუფლება ხალხის ამ მისწრაფებას ვერანაირი აგრესიით, დამუქრებით ვერ გააჩერებს. საარჩევნო ყუთთან ხალხი იმას გააკეთებს, რაც სწორად მიაჩნია. რაც შეეხება ზოგად შეფასებას, ყველაფერი რაც ადრე თქმულა, ფაქტობრივად, ახლაც, ითქმება — აი, ქართულ ოცნებას“ რუსეთისკენ მივყავართო და ა. შ. თუმცა, გაუგებარია, თუ ხელისუფლების მცდელობა მართლაც ეს არის, 9 წლის მანძილზე რით ვეღარ მივაღწეით რუსეთამდე. ისიც გაუგებარია, თუ ოპოზიცია, რეალურად, პრო-დასავლელია მაშინ თავად, დასავლეთი რატომ ეუბნება: ნუ აკეთებთ რუსეთის საქმესო. ეს არჩევნები საინტერესო პროცესია. ბევრი რამ იგივე ითქმის, ისევ ის სიტუაციები ტივტივდება, რაც ადრე იყო და უკვე ნანახი კინოს ვარიანტია. თუმცა, არის ბევრი სიახლეც, რაც არჩევნებს დიდ აზარტს ჰმატებს.

**— მოძალადეების გამარჯვებაზე, თავად ნაცებზე მეტად, გვარამია იბრძვის. ფაქტობრივად, მათ საარჩევნო კამპანიას უძღვება და მერობის კანდიდატების გატყავებითაც იმუქრება.**

— რა თქმა უნდა. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის როცა გვარამია, ამ საქმეში, ცენტრალური ფიგურაა. მას მიჰყავს წინასაარჩევნო კამპანია და როგორც ჩანს, თვითონ „ნაცმოძრაობას“, ლიდერის თამადობით, მისთვის ამის უფლება მიცემული აქვს. მათგან არავინ ამბობს უარს, რომ გვარამია ამ კამპანიის დირიჟორი იყოს. ზოგადად, საარჩევნო პროცეს თვალს თუ გადავავლებთ, გვარამიას დირიჟორობა დიდად შედეგიანი არ არის. იმიტომ, რომ პრინციპულად მცდარი სტრატეგია აქვს როგორც გვარამიას, ისე ნაცებს. მთავარი შეცდომა შემდეგია: რამდენადაც ახლოს იდგება დღევანდელი ნაცები ძველთან, თუნდაც ხასიათით, სახეებით და ლოზუნგებით — გადავატრიალოთ, დავამარცხოთ და ა. შ. , მით ნაკლები შანსია,, რომ გაიმარჯვონ მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნება საარჩევნო კამპანიის დირიჟორი. საქმე არსებით საკითხშია — ხალხს ნაცები არ უნდა! ანუ, ის პარტია, რომელიც ყველაფრით ახსენებს თავს თუ როგორი იყო „ნაცმოძრაობის“ სისხლიანი 9 წელიწადი. ამიტომ ან სხვა პარტია უნდა დადგეს მათ ადგილას, რისკენაც გადადგმულია ნაბიჯი მიშას შვილის პოლიტიკაში შემოყვანით, ან მიხვდნენ, რომ ეს წამგებიანია, ან სახეები და რიტორიკა უნდა შეიცვალონ. არც ერთს აკეთებს გვარამია და არც მეორეს, ამიტომ, სულ წაგებული იქნება.

**— გვარამია გაჰყვირის: სუსის აგენტების არჩევა მოგიწევთ, თუ „ქართულ ოცნებას“ მხარს დაუჭერთო. მმართველი პარტია თავის გასამართლებლად არაფერს ამბობს და ჩვენ ვუთხრათ ხალხს: ვინ არიან ნაცები?**

— გეთანხმებით, მაგრამ კრიტიკულად განწყობილი ადამიანისთვის გამოდგება ეს ხერხი, რათა დაგვეთანხმოს, რომ ნაცები მუშაობენ სუსზე, ოღონდ, რუსულ სუსზე, ამაშია განსხვავება. ვინ, რომელ სუსზე ლაპარაკობს ესაა საკითხავი. გვარამია, თუ არ ვცდები, ქართულ სუს გულისხმობდა. „ნაციონალები“ რუსეთზე — უცხო ქვეყანაზე მუშაობენ. უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობა, საკუთარი ქვეყნისაზე გაცილებით უარესია. სად არის დოკუმენტაცია, რომ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატები სუსთან თანამშრომლობდნენ ან ამით ქვეყანას რამე დაუშავდა?! სად არის ეს არგუმენტაცია? მე, მსგავსი ვერსად ვნახე.

**— საპარლამენტო არჩევნების დროს ამბობდით, რომ ნაცები 3 ოქტომბრისთვის ემზადებიანო. ახლაც, ასეა?**

— ნაცები კალენდარს რომ გამოუშვებენ, იქ, 3 ოქტომბერი განსაკუთრებულ დღედ იქნება მიჩნეული იმიტომ, რომ მთელი პოლიტიკური ცხოვრება ამ დღისთვის ემზადებიან. ასეთი თავდაჯერებით, იშვიათად, ვამბობ: დიახ, ნაცები 3 ოქტომბრისთვის, რევოლუციისთვის ემზადებიან. ამას ის მაფიქრებინებს, რომ ნაცებმა მიშელის დოკუმენტს ხელი მოაწერეს, რათა მერე, პრეტენზიის გამოთქმის უფლება ჰქონდეთ: რატომ არ სრულდება შეთანხმებაო. ხელმოწერის გარეშე, ამ პრეტენზიის უფლება არ ექნებოდათ. როგორც ვიცით, „ქართული ოცნება“ ამ ხელშეკრულებიდან გავიდა, რაც სავსებით სწორი ნაბიჯი იყო. მმართველი პარტია 43%-ს ან უფრო მეტს თუ მიიღებს, ეს თემა დაიხურება. მაგრამ მერე, აყვირდებიან: არჩევნები გაყალბდაო, გავლენ ქუჩაში და რევოლუციაზე ზრუნვას დაიწყებენ. მათი რევოლუციაზე ორიენტაციას მაფიქრებინებს ისიც, რომ მიშას სერიოზული განზრახვა ჰქონდა საქართველოში ჩამოსულიყო. მან უცხოელებსაც ჰკითხა: წამომყვებით თუ არაო. ანუ, უნდოდა უცხოელების თანხლებით ჩამოსულიყო და თავი დაპატიმრებისგან დაეცვა. ეს ხერხი არ გამოუვიდა, უარი უთხრეს და ურჩიეს: ნუ გაამწვავებ სიტუაციასო. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მიშას და მისი პარტიის გეზი რევოლუციისკენ არის მიმართული. ნაცები შეცდომებს ყოველთვის უშვებენ. აქაც, ერთი, მინიმალური შეცდომაა — რევოლუცია რომ მოახდინო ამისთვის სხვა პირობები უნდა გქონდეს, ვიდრე 2003 წელს იყო. მაშინ მიშას ხალხის დიდი რაოდენობა ემხრობოდა, დღეს — მის მხარეს მხოლოდ ფანატიკოსები არიან. 2003-ში, მას, მხარს უჭერდა დასავლეთი, დღეს — დასავლეთს საქართველოში რევოლუცია არ უნდა, არამედ სტაბილურობა. დესტაბილიზაცია უნდა რუსეთს. და მესამე ფაქტორი — დასავლეთის განწყობიდან გამომდინარე, 2003 წელს შევარდნაძეს მთავრობის, თითქმის, ყველა წევრმა უღალატა. ახლა, ასეთი ღალატი გამორიცხულია.

დასავლეთს სტაბილური საქართველო სჭირდება. ასე, რომ ახლა, აბსოლუტურად სხვა პირობებია, სხვა მექანიზმები მუშაობს. რევოლუციის ის ელემენტები რაც ზემოთ ჩამოვთვალე, ახლა, აღარ მუშაობს, გარდა მცირე მომხრეთა ფანატიკურად განწყობილი ჯგუფებისა. ამას, კიდევ ერთი ფაქტორი ემატება, რაც მაშინ არ იყო — სააკაშვილის მოწინააღმდეგე გაცილებით მეტია. მაშინ არ იცოდნენ მიშა რა ხილი იყო. დღეს თუ რევოლუციის მაგვარი პროცესი დაიწყება, სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა ქუჩაში გამოსვლა არანაკლებ რეალურია, ვიდრე მიშას მომხრეთა გამოსვლა. ეს უკვე ძალიან ძლიერი ფაქტორია იმისა, რომ ნაცები რევოლუციას ვერ მოახდენენ.




**— აქვე, გარე ფაქტორებზეც ვისაუბროთ. მიშელის დოკუმენტი ქართული მხარის მხრიდან ანულირებულია, თუმცა, ევროპისთვის — ისევ ძალაშია. ევროპას, აქ, სჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც მათ დაემორჩილება და პრაიდს გამართავს?**

— სწორი შეკითხვაა. რა თქმა უნდა, გეთანხმებით, რომ ევროპა თავისი ინტერესით მოქმედებს და არა, რაღაც, აბსტრაქტული მოტივებით. ის ეცდება ის ხაზი გატარდეს, რაც სურს. მოდით, გავარკვიოთ: რა არის ევროპული ხაზი? პრაიდები არის ევროპული პოლიტიკის ხაზი? ჩვენთან არის გავრცელებული შემდეგი მოდელი — ჰომოსექსუალების პრაიდი არის ევროპა და ეს უკანასკნელიც ამისკენ მიისწრაფვის. მათდამი დამოკიდებულება გამომდინარეობს მათი დაცვის უფლებებიდან, რაც სათავეს განმანათლებლებიდან იღებს. დღეს ევროპას მიაჩნია, რომ განმანათლებელთა იდეების მემკვიდრეა. ამიტომ, მხარს უჭერს. ლგბტ თემს ევროპაში მოწინააღმდეგეები არ ჰყავს? ევროპის დიდ ქალაქებში საპროტესტო აქციები არ გვინახავს? ამერიკაშიც იგივე ხდება. თავის დროზე, ტრამპმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ ამ ღირებულებებისგან თავი ძალიან შორს ეჭირა. სწორედ მისი სიმპათია ტრადიციული ორიენტაციის მიმართ გახდა ამ ხალხისთვის მიმზიდველი. ტრამპი არ დამარცხდა იმიტომ, რომ ეს იდეალები ხალხს აღარ უნდა. ამერიკის მოსახლეობა არის პრაიდების მოყვარული — ეს ხომ ღიმილის მომგვრელია. პრაიდის ტიპის თემები კოზირს აძლევს სწორედ რუსეთს, ჩინეთს და ისლამს. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც კონსერვატორულ ღირებულებებზე არიან ორიენტირებულნი და მოსახლეობას-

8 გვ. →

# ვაფრთხილებ ნაცებს: ნუ გამოიყვანთ ქართველ ხალხს წონასწორობიდან, თორემ თქვენგან ბუნდღა არ დარჩება!

6 გვ.

მაყით განაცხადა: ტოლსტოი არ წამიკითხავსო. საწყალი ტოლსტოი გადაბრუნდა მიწაში, გვარამიას რა დავუშავეო. გვარამია! — რა გაქვს წაკითხული, შე, ნაგავო, შენა. შენ ხარ ვაჟკაცი? — ტყლარწვის მეტი არაფერი იცი. გინება ხომ გეხერხება, ეგ, გგონია ვაჟკაცობა? გინება როგორი უნდა, მე კი ვიცი, მაგრამ ჩემს თავს და საზოგადოებას არ ვიკადრებ, თორემ, შენ, ხეზე ხარ ჩამოსაკიდი. ყველა, ვინც ამ სამ ტელევიზიაში: „მთავარში", „ფორმულასა" და „ტვ პირველში" მუშაობს, ფულით ნაყიდი, სულნამცეცა ადამიანია. მათ არ იციან წერა-კითხვა, ლაპარაკი, ელემენტარულად, საუბრის კულტურა არ აქვთ. გამოდიან და მიკროფონს ცხვირში გტენიან. მათ, პირდაპირ ვეუბნები: მობრძანდნენ ჩემთან და იმ მიკროფონებს ვის, სად, როგორ შევტენი, მერე გამოჩნდება. სულ პანღურის კრით გამოვყრი გარეთ. თუ უნდათ,



მისამართსაც დავასახელებ, სადაც ვცხოვრობ. აქ, ვარ, უკვე, 84 წელია. რასაც ეს ტელევიზიები კადრულობენ, ამას ქვია დემოკრატია? მაშინ ნამდვილი დემოკრატია რაღაა? ესენი არიან ფალსიფიკატორები, რომლებიც სიცრუეს, სიძულვილს თესენ. არცერთი მათ მიერ გაშუქებული ფაქტი, სიმართლესთან ახლოსაც არ არის, არამედ გაყალბებულია, რითაც საზოგადოებას შეურაცხყოფას აყენებენ. გადახედეთ საფრანგეთს, ნებისმიერ სხვა, ევროპულ ქვეყანას, გნებავთ, ამერიკას, ყველგან არსებობს მკაცრად დადგენილი კანონი, რომლის დარღვევის შემთხვევაში ჯერ აჯარიმებენ ცილისმწამებლებს და მერე, დანაშაულზე პასუხს აგებინებენ. ქართულმა ხელისუფლებამ, პარლამენტმა დროულად უნდა მიიღოს ასეთი კანონი, რათა ამ ნაძირლებს, რომლებიც ამბობენ, რომ თავისუფლებისთვის იბრძვიან, სათანადო პასუხი გასცეს. რეალურად, ისინი ქვეყნის დასანგრევად იბრძვიან. ამიტომ, იმ სიცრუისთვის, სიყალბისთვის, რასაც ავრცელებენ, უნდა დაისაჯონ. ხელისუფლება ასე თუ არ მოიქცევა, ამას ხალხი გააკეთებს. გახსოვთ, „რუსთავი-2"-ის ლოზუნგი — ხალხის ტელევიზია. მაშინ უამრავი ადამიანი შეიკრიბა მის ეზოში, მაგრამ დააშოშმინეს. დღეს თუ გამოვიდა ქართველი ხალხი, აღარ მოგითმენთ.

კი, გარედან გვკარნახობენ: უნდა დაუთმოთო, მაგრამ კმარა! როდემდე უნდა დავუთმოთ ამ ნაძირლებს ქვეყანა — სანამ სულ არ გამოხრავენ?! გვარამიას მინდა დავუბრუნდე, დგას და იძახის: ჩემი ოპერატორი კიბიდან გადმოაგდეს და მერობის კანდიდატს გავატყავებო. ვისი ბრალია ამდენს რომ ბედავს? გვარამია რა ნაძირალაცაა, ყველამ იცის. პროკურორი რომ იყო, ქართველ ხალხს ჯაშუშებად აცხადებდა, ეს ცნობილია. განათლების მინისტრად დანიშნეს, კომპეტენცია არ ეყო და სასწავლებლად უცხოეთში გაგზავნეს. გვარამიას ბიოგრაფიას კარგად ვიცნობ. მამამისსაც ვიცნობდი, წესიერი კაცი იყო. ეს არის ნაძირალა. ვინ აძლევს ამდენის უფლებას, რა დღეში იყო ოპერატორის სანახავად რომ ჩავიდა, ქალებს აგინებდა. გვარამია! — ის ხუთი კაცი რომ დაგსდევს, თუ ვაჟკაცი ხარ, მათ გარეშე გაიარე თბილისის ქუჩებში. მალე, ის ხუთი კაციც ვეღარ უშველის. იგი, ქართველი ხალხის გამოკვეთილი მტერია. ის გახლავთ, ბოდიში მომითხოვია და მიშა სააკაშვილის საჯდომის მლოკავი. წაეთრნენ სადაც უნდათ და იქ, იყიყინონ ამ ბაყაყებმა და ჭიაღუებმა. ქართველ საზოგადოებას თავი დაანებონ.

**— მელიამ ევროკავშირის ოფისთან მოწყობილი პროვოკაციის მერე განაცხადა: „ქართული ოცნება" მოძალადე და კრიმინალიაო. ეს იმის ბრალი ხომ არ არის, რომ თავის დროზე მათ ქმედებებს შეფასება არ მივეცით?**

— მელია ქართველ ხალხთან გამოვიდეს და ვნახოთ, ვინ არის კრიმინალი. ეს არის შედეგი იმისი, რომ მუდმივად, ერთსადაიმავეს გვიმეორებენ: ხმა არ ამოიღოთო. რა თქმა უნდა, იმის შედეგიცაა, რომ დამნაშავეები დასჯის ნაცვლად, სოროდან მზეზე გამოვიყვანეთ. აშკარაა, ახლა, 3 ოქტომბრისთვის ემზადებიან. ვერაფერს გახდებიან იმიტომ, რომ ქართველი ხალხიც ემზადება. იმდენს იზამენ, მოხდება ის, რომ სისხლი დაიღვრება. თან, არა ერთი და ორი კაცის, არამედ საკმაოდ დიდი სისხლი დაიღვრება. ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს. ბოლოსდაბოლოს ქართველი ერი ამ კრიმინალებისგან უნდა გაიწმინდოს. ნაცებს ქართულ მიწაზე სიარულის უფლება არ აქვთ. მორჩა! — ჟურნალისტი იქნება ეს თუ სხვა, დამნაშავე უნდა დაისაჯოს. ესენი არიან ჟურნალისტები? — ერთი წიგნი არ აქვთ წაკითხული. შვიდი გაზეთის რედაქტორი ვიყავი და ასეთი უწიგნური ადამიანები არასდროს შემხვედრია. გამოდის გრიგოლია და იძახის: ღარიბაშვილი გადადგესო. ვინ ეკითხება ინგა გრიგოლიას, ხელისუფლება ვის დანიშნავს და ვის გადააყენებს! ერთი კაცის პატივისცემით, გრიგოლიაზე უარესს აღარ ვიტყვი. მორჩა! — დამთავრდა სამადლოვების, უღუმოვების და სხვათა ზეიმი. იცით, კიდევ რა არის მთელი უბედურება: „პოსტ-ტვ"-ზე და „იმედში" ნაცები გამოდიან და დიდი ამბით ლაპარაკობენ. მაგათ რატომ ალაპარაკებთ? სამი ტელევიზია აქვთ და საკმარისი არ არის?

**თამარ შველიძე**
555 23 28 24













# ნაცმოძრაობის მხარდამჭერებმა მინდა იცოდნენ: ვინც მკვლელებს მხარს უჭერს, ისიც მკვლელია! ვინც მეცოცხეებს ექომაგება, ისიც მეცოცხეა!

7 გვ.

თან კარგად იყენებენ შემდეგი ტიპის მაგალითებს: სად მიდიხართ, რად გინდათ ევროპა, იგი ხელს უწყობს ჰომოსექსუალებსო. პრაიდებზე პედალირება ევროპული პოლიტიკის შეცდომა უფროა, ვიდრე მათი პოლიტიკის ღერძი.

დასავლეთი პოლიტიკურ შეცდომებს უშვებს. იგი, უშეცდომო არ არის. 20 წელი ავღანეთში იყო, იქ, ყოფნაში ტრილიონები ჩადო და ახლა, ისე გამოვიდა, მომხრეებიც გააკვირვა და მოწინააღმდეგეებიც. მთელი მსოფლიო აღნიშნავს: ეს მარცხია არა იმიტომ რომ გამოიქცა, არამედ იმიტომ, რომ 20 წლიანი ტრილიონებით გაძეძგილი პოლიტიკა არ აღმოჩნდა სწორად ჩაფიქრებული. მცდარი პოლიტიკა იყო. ამიტომ, ნუ დავიჟინებთ: დასავლეთი შეცდომებს არ უშვებსო. საკაოდ მნიშვნელოვან შეცდომებს უშვებენ. ვისწავლოთ ისიც, რომ რაღაც გავატაროთ, რაღაც შევინარჩუნოთ. ანუ, ვიყოთ დამთმობები, სადაც შეგვიძლია, გავაცნობიეროთ რა გვაქვს ხელთ, რა არის ჩვენი კოზირები და ა. შ. ოღონდ, გავაცნობიეროთ: თუ რაიმე არ გინდა, ვერავინ შეძლებს თავს მოგვახვიოს. ხომ ვნახეთ, ევროპული მხარე, მიშელის დოკუმენტს ვგულისხმობ, გაჩუმდა იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ" ამ დოკუმენტს ზურგი შეაქცია. მიშელსაც აღარაფერი უთქვამს. თუ მართალი ხარ და ამ სიმართლეს დაიცავ, ვერავინ გაგიწყალებს გულს, შენც შენი ფასი გაქვს, ოღონდ, ეს უნდა იცოდე. ნაცებს აქვთ ტენდენცია: ევროპელობის გარეგნული მხარე დაიცვან, იგივე, პრაიდის ტიპის მოვლენებში ევროპელები იყვნენ და ამ დროს, პოლიტიკური მხარე, დავუშვათ, გავლენები ვისი, სად იქნება, ისე დააწყონ, როგორც რუსეთს უნდა. ამის მაგალითი იყო 2008 წლის ომი. პრაიდს ემხრობიან და 2008 წლის ომს აჩაღებენ, უთმობენ ტერიტორიის 20%-ს და მთელ ამერიკულ შეიარაღებას. ამიტომაა, რომ საუბარში ევროპელობის კრიტიკაც ისეთ საკითხებზე მიდის, რაც გადამწყვეტი არ არის. ევროპელებსაც, რომელთაც ბევრი რამ ეშლებათ, ხშირად, ისეთი ნაბიჯებისკენ უბიძგებენ, რამაც შეიძლება ევროპასა და საქართველოს შორის ხიდი ჩატეხოს და ამით რუსეთი გაახაროს. ჩვენი ამოცანაა დასავლეთს დავეხმაროთ, რათა შეცდომა არ დაუშვას და ანტიდასავლური პროტესტით რუსეთის და ნაცების გამარჯვებას ხელი არ შეუწყოს.

**— საუბარში მითხარით: მელიას რას ვერჩით, მის მომხრეებს უნდა მოვთხოვოთ პასუხი, მხარს მას რომ უჭერენო. ანუ, საზოგადოება ვერ გაიზარდა?**

— არა. უბრალოდ, ანალოგიური ტიპის მოვლენა, თითქმის, ყველგან გვაქვს. შეიძლება საკითხი ასე შემოვატრიალოთ: ამას დიდ რიცხვთა კანონი ჰქვია. კერძოდ, ერთი ცალი კამათელი 600 ჯერ რომ ავაგდოთ, ასჯერ გამოვა ერთიანი, მეორე ასჯერ ორიანი და ა. შ. ანუ, რა შესაძლებლობებიც არის, თითოეული, იმ რაოდენობით გამოვა. საზოგადოებას თუ გადავხედავთ, არიან ჭკვიანი, სულელი და საშუალო აზროვნების ადამიანები. რომელია მეტი? — საშუალო, ხომ. გენიოსები და უჭკუოები მცირე რაოდენობისაა. ანალოგიურად, საზოგადოებაში არის იმის შანსი, ნაციონალებიც იყვნენ და იქნებიან კიდეც. დავაკვირდეთ, ერთ რამეს: რუსეთში ისლამური რესპუბლიკა აკრძალულია. მისი მომხრეები იქ, მაინც არიან და ჩუმათ გადადიან და მათ მხარესაც იბრძვიან. აკრძალულია, მაგრამ შანსი ხომ არის რომ იყვნენ? ამიტომ, თუ შანსი არის, რაოდენობაც იქნება. „ნაცმოძრაობის" მომხრე საქართველოში იქნება. სტალინი აკრძალული იყო. სტალინისტები იყვნენ? — დიახ, იყვნენ. უბრალოდ, ყველგან, მერე, რაღაც ფაქტორებით ემატება ან აკლდება. ნაცებიც იქნებიან. რაოდენობაზე და პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი. თუ გაძლიერდება იმის სულისკვეთება, რომ ადამიანი ვინც მხარს დაუჭერს „ნაცმოძრაობას", ის, გარკვეული თვალსაზრისით, პასუხისმგებელი უნდა იყოს ნაცების დანაშაულზე და რეალურად, ცოცხების ავტორი არის ყველა ის, ვინც ამ ცოცხების ავტორს მხარს უჭერს, შესაბამისად, ამას რაღაც შედეგები მოჰყვება. ადრე, როცა მარტივი ცხოვრება და ფეოდალური ტიპის ყოფა გვქონდა, სოფელი ზრდიდა ადამიანს რომელიც ისე ცხოვრობდა, როგორც სოფელს სურდა. მაგალითად, ალუდა ქეთელაური. ადამიანები რომლებიც ეთიკურ წესებს არ იცავენ, თუ მათ სხვებისგან შესაბამისი შეფასება ექნებათ, ეს მათ რაოდენობაზე იმოქმედებს. „ნაციონალები" იმიტომ არსებობენ, რომ მათ არავინ აფასებს ისე როგორც ნაცების მომხრეების საქციელს. დიახ, „ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერებს არ რცხვენიათ იმის, რომ ამ პარტიას ემხრობიან. დიახ, ემხრობიან იმას, რაც ჩაიდინა მეგის ქარდავამ, მიხეილ სააკაშვილმა, რაც მოხდა 2008 წელს და ა. შ. აი, ეს უნდა იყოს ცხადი. ანუ, ბრალდება მიმართული უნდა იყოს არამარტო მათზე, ვინც ეს დანაშაულობები ჩაიდინა, არამედ მათზეც ვინც ნაცებს მხარს უჭერს.

**— ბატონო რამაზ, არჩევნების შედეგებზე, თქვენი პროგნოზიც გვითხარით.**

— „ქართული ოცნება" გაიმარჯვებს. ველოდები, რომ უკეთეს შედეგს აჩვენებს გახარია, ვიდრე ეს გამოკვლევებით ჩანს. იმედი მაქვს, უფრო ძლიერ შედეგს დადებს და ნაცები მესამე ადგილზე გადავლენ. ვვარაუდობ, რომ ნაცებმა, ამ არჩევნებში, შეიძლება მესამე ადგილზე გადაინაცვლონ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# სვლა მხედრით, ანუ ნაცისტი ლიბერასტებისა და არასამთავრობოების საჭადრაკო ფიგურები უნდა გაქრნენ ქართული პოლიტიკის არენიდან...

ფშავში ამბობენ: „თუ კაციჭამიები დაბრუნდნენ, დედა შვილს არ აიყვანს და ძაღლი პატრონს ვერ იცნობსო, მაგრამ მელია მელიას აიყვანს ხელში და მელია მელიას იცნობსო...“

არის მწარე სარკაზმი ამ იუმორში. თუ ეს სისხლისმსმელი სადისტები დაბრუნდნენ, მართლაც „დედა შვილს არ აიყვანს ხელში“, უბრალოდ, ამ ქვეყანაზე არც დედა დარჩება და არც — შვილი, ისინი აყრიან და განდევნიან ყველას, ან საპყრობილეთა დილეგებში ჩამარხავენ.

ეტყობა, ნაცების დამნაშავეთა ბნელ კასტასაც ჰყავს თავისი პატრონი. ეტყობა, ესენი დააბრუნებენ ლიბერასტულ-ნაცისტურ ხელისუფლებას, თუ ერი, ქართველი საზოგადოება ფხიზლად და ყოჩაღად არ მოიქცა!

დააბრუნებენ და დააწყებინებენ სამოქალაქო ომს და რუსეთთან ომსაც...

ეტყობა, მათ აქ, კავკასიის გულში და ევრაზიის გზაჯვარედინზე არ სჭირდებათ (არ აწყობთ) მყარი სიმშვიდე და მართვადი კონფლიქტები ურჩევნიათ. ამდენად, სააკაშვილი და მისი ცენტურიონების ხროვა ხელსაყრელია ვითარების ესკალაციისთვის.



ღმერთმა ნუ ქნას, ისეთი რამ გამეორდეს, რაც რუსეთთან 2008 წელს მოხდა, საქართველოსგან არაფერი დარჩება...

ამერიკა და ევროპა კი ისევ ისე მოიქცევიან, როგორც მაშინ, 2008 წელს მოიქცა — ჰამპერსები რომ ჩამოუტანა ჩასვრილ სააკაშვილს! ქვეყანას კი გაუგონარი უბედურება დაატყდა... XXI საუკუნეში დაკარგა ის, რაც ათასწლეულების მანძილზე შენარჩუნებული და დღემდე მოტანილი ჰქონდა — მიწა-წყლის ისტორიული წილი თავისი მოსახლეობით!

ეს ომი საქართველოს მართლაც არ დაუწყია, მაგრამ დაიწყო და გამოიწვია სააკაშვილის ავანტურამ, ამ ჯაშუში გარეწარის უპროპორციო, მიზანმიმართულმა ანტიეროვნულმა, სატანურმა პოლიტიკამ.

●

არა მგონია, რომ მათ არ ესმოდეთ (მაგალითად, ევროკავშირის ელჩს), თუ რა ზიანი მიაყენეს ნაცებმა საკუთარ ქვეყანას — მესამე ათასწლეულისთვის ლამის (ფაქტობრივად) უმიწაწყლოდ დაგვტოვეს! XXI საუკუნეზე შენარჩუნებული გეოგრაფიული სივრცე და ისტორია თავზე დაგვაქციეს და ახლა ესენი კვლავ ბედავენ ხელისუფლებაში დაბრუნებას რევანშისტული ავანტურებით, ადგილობრივი არჩევნების წინასწარი ფალსიფიკაციით და არარსებული „რეფერენდუმომანიით“!

ვინ არის ის 25 თუ 27% — საზოგადოების დაყრუებული და დაბრმავებული ნაწილი, რომელიც თურმე ჯერ კიდევ ხმას აძლევს მათ?

შეუძლებელია ქართველთა ისეთი გამოთაყვანება, ბედისწერის შეუცნობლობა, რომელიც, შესაძლოა, ამ სადისტი ჯალათების კასტამ კვლავ მოუვლინოს ქვეყანას, არა რომელიმე პარტიას, არა რომელიმე კულტურულ და საზოგადოებრივ გაერთიანებას, არამედ მთლიანობაში ერს და სამშობლოს — ვულკანური კატასტროფა!

არ არის საუბარი რომელიმე პარტიის მხარდაჭერაზე, საუბარია ამ შავი ცენტურიონების უკან მობრუნების დაუშვებლობაზე!

ხატია დეკანოიძეც კი, მერაბიშვილ-სააკაშვილის ცენტურიონი, ისეთი უტიფარია, რომ „წმიდა ძროხის“ სახეს იღებს და მორალს გვიკითხავს. სიძულვილის ენაზე გვიკიჟინებენ ისინი, ვინც კასრებსა და მორგებში ერი ცოცხლად ჩამარხეს!

ვინ გადაიღო ის ათასობით ფაილი, მაშინ სამეგრელოს ტყეებში რომ ამოთხარეს? — ნაცებმა, სხვას ხომ არავის გადაუღია?

ვინ გადაიღო და ვინ იღებს ახლანდელი საიდუმლო მოსმენის ფაილებს? ან ცრუ-მ, ან სუკის, ან ისევ ნაცების ჯაშუშებმა... რადგან ეს დივერსია მიმართულია „ქართული ოცნების“, ქართული სახელმწიფოს, ეკლესიის წინააღმდეგ და ისინი მტერმა გადაიღო!

თუ სააკაშვილის ხროვამ დაბრუნება შეძლო ხელისუფლებაში და ამ და სხვა ურიცხვ უბედურებას დაატეხს თავზე ქვეყანას, მოხდება ის, რაც ახლო აღმოსავლეთში — სირიაში, ავღანეთში ხდება — ლტოლვილები და მარიონეტული „დემოკრატიული“ ხელისუფლების მოხელენი გაქცევას რომ ვერ ასწრებდნენ და ამერიკული თვითმფრინავების ბორტზე დაკიდებული ლტოლვილები მკვდარი თევზებივით ცვიოდნენ სახლების სახურავებზე!

ამერიკამ თალიბებისგან ვერ დაიცვა ავღანეთი და მათი დომინანტი ლიბერასტულ-დემოკრატიული ხელისუფლება (სისტემა).

ჩვენ რუსეთისგან დაგვიცავს ვინმე?

●

მოდი, ვიკითხოთ, ვინ არიან ეს ევრო-ამერიკელი ემისრები, აშკარად, ჯიუტად რომ მფარველობენ ამ მელიებს, ამ ცხვრისტყავიან მგლებს და ტურა-ცენტურიონებს, სააკაშვილის მკვლელებს, ადამიანებს ყელზე ქვაგამობმულებს რომ ყრიდნენ და ახრჩობდნენ წყალში და მორგებში აუპატიურებდნენ. რას ნიშნავს მათ მიმართ ლოიალური დამოკიდებულება და საკმაოდ ღია, მკვეთრი აგრესია ხელისუფლების მიმართ, ფაქტობრივად, სამართლის აღსრულებასაც კი უზღუდავენ (თუ უკრძალავენ) იმ ბოროტმოქმედი მოძალადეების მიმართ, რომლებიც მათ თვალწინ (ცხვირწინაც) არღვევენ ყოველგვარ სამართალს და ეთიკას და კატეგორიულად ებრძვიან სახელმწიფოს და მისი გადარჩენის შესაძლებლობას...

ზოგიერთი ელჩი თავისი გამოხტომებით, და უადგილო დუმილითაც, ხიფათს უქმნის ხელისუფლებას და ქართულ სახელმწიფოს სტაბილიზაციას და ასხამს წყალს ისეთ წისქვილზე, რომელსაც ქვეყნის დანგრევა შეუძლია, მათ შორის სამოქალაქო ომის და რუსეთთან ომის პროვოცირება.

...ძველები იტყოდნენ, როცა ელჩი ან შუამავალი, ან რჯულისკაცი ბუნდოვან აზრს გამოთქვამდა, „მეორე თავით“ საუბრობსო, სათავისოდ და საარავისოდ ბჭობს, ან არ იცის, რა უნდა თქვასო.

ამ ელჩებმა იციან, სად არის სიმართლე, მაგრამ იქცევიან ისე, როგორც იქცევიან: საუბრობენ „მეორე თავით“, სათავისოდ და საარვისოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ერის ბედი სულ ერთია მისთვის (და სხვისთვისაც), ვის ხელში და როგორ იქნება იგი.

●

მაშ, რა ქნას ჩვენმა პატარა ქვეყანამ, ჩვენმა სახელმწიფომ? ამდენი გარედან მოთვალთვალე (მოძალადე) სფინქსის და ამდენი უსამშობლოო „ორთავიანი“ შავი ხვრელიდან გამოსული კლანების, მოღალატე რესპუბლიკელი კორძაია-სამნიძე-ბერძენიშვილების, გირჩების, ბოკერიების და მათი მომყოლი ქრისტეს ფეხის მკვნეტელ არასამთავრობოთა უმორალო დინასტიების, პარანოიდული ტელევიზიების ხელში?

რა ქნას თუნდაც ირაკლი ღარიბაშვილმა — ერთმა კაცმა.

რა გინდ პატარა კახიც არ უნდა იყოს — თუ ახლა ერი არ ამოუდგა მხარში, თუ ვერ გაიღვიძა და ხიფათი ვერ იგრძნო, ერთმა კაცმა რა უნდა გააწყოს ამდენ მტერთან?



აქ არ არის საუბარი რომელიმე პიროვნებაზე, რომელიმე პარტიაზე და მის გადარჩენაზე. საკითხი ეხება ერის გადარჩენის, მისი ყოფნა-არყოფნის ბედისწერულ პრობლემას. ეს უნდა გააცნობიეროს ერმა და ბერმა!

საჭიროა გონივრული ამორჩევა და გადარჩევა: ქვეყნის გათავისუფლება ფაშიზმისგან ერთხელ და სამუდამოდ.

საქართველოში დადგა სამწერლო მისიისა და ეროვნული ცნობიერების აღდგენის დრო; დადგა ერთიანი კულტურულ-საგანმანათლებლო, სამწერლო-შემოქმედებითი კავშირების ფორუმის მოწვევის ჟამი, ერის კულტურული და ზნეობრივი ცნობიერების დამცავი კონცეფციის (მოდელის) შესაქმნელად.

აქ რეზიუმეს სახით ვიტყვი:

ჩვენი ერი და საზოგადოება ვერ იბრძვის სათანადოდ კარს მომდგარი მტრის და ხიფათის წინააღმდეგ, თუ ვერ ხედავ და ვერ უპირისპირდები ფაშისტურ-ლიბერასტული (ნაციონალ-ფაშისტების) სატანისტურ ძალას, ვერ აირიდებ მას, რაც დაღუპვას ნიშნავს,

გარკვეულ ვითარებაში ერი წონასწორობას კარგავს, მას ეშინია რაღაცის წართმევის, დაკარგვის, დანაელთა ძღვენის წართმევის და ა. შ.

ლიბერალიზმი ფაშიზმის სახესხვაობაა, ლიბერალიზმი ამკვიდრებს უზნეო რეჟიმს, რელიგიის, კულტურის, მშობლის და სამშობლოს სიძულვილსაც კი.

იმდენად გააფუჭეს და დათრგუნეს მწერლობა, რომ ბოროტების წინააღმდეგ ხმის ამოღება სიძულვილის ენად გადანათლეს, პროტესტის ნება წაართვეს.

პოეტი შეიძლება იყოს მეცხვარე, მაგრამ არ უნდა იყოს ცხვარი!

მწერალი უნდა იყოს ერის ზნეობრივი გუშაგი, თუნდაც სამოსელის მახვილში გამცვლელი.

მწერალი, მით უფრო, პოეტი, არ უნდა იყოს უმწეო, ორჭოფი, ამპარტავანი, რომელსაც არც საკუთარი თავის და არც სამშობლოს დაცვა არ შეუძლია.

ილიამ პირადი ამბიცია სამშობლოს ბედისწერაზე გაცვალა და შეეწირა... ასე იქცეოდნენ ბაირონი, მიცკევიჩი, ლერმონტოვი და სხვანი.

რა არის „სიძულვილის ენა“ — ლიბერასტების შემოდგებული მათივე ინტერესების დასაცავად, ყალბი სენტენცია!

სრულიად სამართლიან აფიშას: არა ნაცებს! არა ბოროტებას! არა ღალატს! ნაცებმა და ლიბერასტებმა სიძულვილის ენა დაარქვეს და საყოველთაო განგაში ატეხეს: ისევე, როგორც მწერალმა ლიბერასტებმა მწერალთა აკადემიის წერილზე. ეს ჩამოურეცხავი სირცხვილია!

ლუდინგირა I — შუმერი პოეტია კაცობრიობის ისტორიაში — მან ბრწყინვალე ელეგიები დაწერა შუმერთა დრამატულ ისტორიაზე და შეეწირა კიდევაც მრისხანე ურჩხულს („მთის შხამიან გველს“)...

არსებობს მხოლოდ ერთი გზა: ომი გადარჩენისთვის!

ვითარება მეტად სახიფათოა: ჩამომდგარა ფატალური დრო, კაცობრიობის კოსმიური ცაიტნოტი...

ქართული პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე გამოჩნდა ფიგურა, რომელსაც შეუძლია ამ „ცაიტნოტიდან“ გასვლა, მისი დაძლევა, თუ „გარედან“ არ შეაჩერებენ!

ახლა გმირობის, თავგანწირვის ტოლფასია ერის და სახელმწიფოს მართვა, მისი გადარჩენა:

მოსაფიქრებელია სულ სხვა ტიპის პოლიტიკა სულ სხვა სწავლულთაგან: ფსიქოლოგთაგან, ეზოთერიკოსთაგან, კოსმოლოგთაგან, მეცნიერ-პოლიტოლოგთაგან, მწერალთაგან, მითოლოგთაგან...

საჭიროა სულ სხვა, უცნობი საჭადრაკო სვლის პოვნა ჩვენს საჭადრაკო დაფაზე.

ამ საჭადრაკო დაფაზე უნდა განადგურდეს ნაცების და ლიბერასტების (არასამთავრობოების) ყველა ფიგურა! დიპლომატიაში უნდა ამოქმედდეს მხედრის (ცხენის) ფენომენი — მოულოდნელი სვლები ყველა მიმართულებით, ოთხივე განზომილებისკენ...

**კობა არაბული**

# საქართველოს ლობი

**დროა გამოვხატოთ ჩვენი კანონიერი ნება - გვყავდეს ქართველ ხალხს საყოველთაო ნდობით აღჭურვილი მეოხი, ქომაგი, გულშემატკივარი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში - „საქართველოს ლობი“ ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახით**





ძველ შუმერებში, ათ წელს მეფობდა ლაგაშში ხალხის წიაღიდან გამოსული ხელისუფალი, ურუქაგინა, (იგივე ურუინიმგინა, ძვ. წ. აღ. XXIV ს. II ნახევარი) რომელმაც ბატონკაცს უთანასწორა ობოლი და უპოვარი, დააშრო ცრემლის ღვარები, შიმშილი, ევფრატს და ტიგროსს შეუნაკადა რძე და თაფლი, მაგრამ უმადურმა კლანებმა აიშვეს, მოაშთეს საზოგადოებისთვის თავგადადებული პიროვნება შორეულ მესოპოტამიაში. შუამდინარეთი უკიდურესობამდე ზრდიდა გადასახადებს, კვეცავდა ქვეშევრდომთა უფლებებს. მოხელეები შემოსავლის გაზრდის ნაირ-ნაირ წყაროებს იგონებდნენ, როგორც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები — „ნაციონალები“, მენავეთა ზედამხედველი ნავებს ითვისებდა; საქონლის ზედამხედველი საქონელს — განურჩევლად წვრილფეხას თუ მსხვილფეხას; სათევზაო ადგილების ზედამხედველი — თევზს. სასახლის ხროვა კი განცხრომასა და ფუფუნებას მისცემოდა. ასეთ კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა შუამდინარეთი, როცა მათ ხსნასავით ღვთისმოშიში ხელისუფალი — ურუქაგინა მოევლინა. მან დაუბრუნა გატანჯულ მოქალაქეებს ძველი თავისუფლება, დაითხოვა ყველა ზედამხედველი; მან ბოლო მოუღო ღარიბ-ღატაკთა უსამართლო ჩაგვრას, თუმცა რეფორმატორი ხელისუფალის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა უმადურმა თანამოაზრეებმა თავიათი დოყლაპიობით თუ მოღალატეობრივი ბუნებით ველარ უპატრონეს, ველარ შეინარჩუნეს იგი და თავადაც აღიგავნენ მიწის პირისაგან.

სოციალისტური რევოლუციის პერიოდში გაიძახოდნენ: ავყაროთ კაპიტალისტური რელსები და სოციალისტური დავაგოთო. კი, ბატონო, აყარეს, მაგრამ რა გამოვიდა ამით? საერთოდ გადასაყრელი გაგვიხდა რაღაც სამოცაათიოდე წლის არსებობის განმავლობაში მათივე გაუმაძღრობით, მათივე უმადურობით.

დაახლოებით ასეთია ზუგდიდის ყოფილი მერის პოზიცია. ეს პოსტი „ქართული ოცნების“ მეშვეობით მოიპოვა სამიოდე წლის წინათ. ჩვენ იმ პერიოდში ზუგდიდში კარდაკარ დავიარებოდით ქალაქად, სოფლად ფეხსაცმლის ლანჩების გაცვეთამდე. გვეიმედებოდა, რომ მისივე ხელშეწყობითაც მომზადებულ ეროვნული მნიშვნელობის პროექტის — „იბერიული პოეზიის ანთოლოგიის“ განხორციელებაში დაგვეხმარებოდა. ეს მონუმენტური ორტომეული რამდენიმე წლის განმავლობაში შეიქმნა ავტორთა კოლექტივის მიერ. ამ კრებულში იბეჭდება 170-ზე მეტი ავტორის, როგორც მომცრო ლექსები, ისე 50-მადე პოემა. ქართული პოეზიის კორიფეების გვერდით პირველად ქვეყნდება მეგრულ-ლაზური, სვანური ლექსების ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანები; აქ პირველად წარმოჩინდება იბერიული წარმომავლობის ხალხების თვითმყოფადი შემოქმედება. მივართვით ეს პროექტი ჩვენს მოწონებულ მერს და მის გამოცემაში თანადგომა ვთხოვეთ; პირველ წელს „ბიუჯეტის დეფიციტი“ გამოიძებნა მიზეზად; მეორე წელს პროექტის მომზადება ვინმე „ნაცმოელ“ თმაფუჩეჩა ქალბატონს „დაავალეს“ და ამ ბედნიერმა საერთოდ გააქრო იგი ბიუჯეტის ფორმირების დღეებში; მესამე წელს კი თავად ჩვენს მიერ არჩეული ქალაქის მერი გადადგა თანამდებობიდან, აქაოდა, „ქართული ოცნების“ სამართლიანი რელსები არ მინდა, „ნაციონალების უკუღმართი“ რელსები მირჩევნიაო. ტელეფონზე არ გვეხმიანება. წიგნად მიტანილი ორტომეულის ერთადერთი ეგზემპლარი საერთოდ აორთქლდა, ვერსად ვპოულობთ, ვერც მერიაში, ვერც სამხარეო მუზეუმში. ალბათ, სათავისო რელიკვიად გადაინახა (იქ მისი ფოტოებიცაა განთავსებული პროექტის სხვა მეოხებთან ერთად). ამისთანა უსულგულოდ, დარწმუნებული ვარ დღევანდელი ზუგდიდის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ არაფრით მოიქცეოდა. ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის, ნეტარხსენებული იური წოწერიას ღირსეული მემკვიდრე, **მამუკა წოწერია** მყავს მხედველობაში. ზემოთ ხსენებულის ნაცვლად ის რომ ყოფილიყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი, ჩვენი საშვილიშვილო პროექტი, უეჭველად დღეს ყველა ქართველის სამაგიდო წიგნი იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში უარს გვეტყოდა დახმარებაზე და ამდენ დროს არ დაგვაკარგვინებდა.

საქართველოს ჰყავს მართლმადიდებელი პატრიარქი. ჩვენს მიწაწყალზე განუხრელად მრავლდება განსხვავებული აღმსარებლობის ეკლესია-მონასტრები; ჩვენი გაორებული მრევლის საგრძნობი ნაწილი მიტაცებულია ანტიადამიანური კონფესიების მიერ; პარალელურად ვრცელდება ათასობით ინსპირირებული, „მამხილებელი“ მასალა მართლმადიდებლობის დისკრეტიდაციისათვის.

საქართველოს ჰყავს პრეზიდენტი, მაგრამ მისი ზეგავლენის მაგნიტური არე ქვეყნის აღმშენებლობის გზაზე ძალზე სუსტია მოქმედი კონსტიტუციით, იმდენად უფერული, რომ სათქმელადაც არ ღირს.

საქართველლოს ჰყავს პრემიერ-მინისტრი. მან თანამდებობაზე პირველად ყოფნისას სახელმწიფოს მშენებელ ბერკეტად კაცისა და ქალის ერთობლიობით შექმნილი ოჯახი გამოაცხადა, (რის გამო მაშინ თანამდებობიდან გადადგომამაც მოუწია და ეგრევე ათონის მთას მიაშურა მოსალოცად მთელი კვირით); თანამდებობაზე მეორედ მობრუნების შემდგომ ეს შეუპოვარი პიროვნება მოსახლეობას ჰპირდება ადგილობრივი არჩევნების პარალელურად კანონიერებას აღადგენს, ანუ სრული ლუსტრაციის საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის, მისი მოსახლეობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებისათვის მართლმსაჯულება იზეიმებს ერთ მუჭა დამნაშავეებზე კანონიერების ფარგლებში.

ჩვენი ენდემური ჯიშების სტიმულირების საქმე კვლავაც ბლოკირებულია, სანაცვლოდ პედალირებულია გაურკვეველი წარმომავლობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი; არ არის დაცული შიდა ბაზარი, ჩვენი ხალხის თვალწინ, დღისით, მზისით ფეთქდება ჩვენი სასიქადულო ისტორიული ძეგლები; ქართული ენა კვლავაც იგნორირებულია მიუხედავად მისი საკანონმდებლოდ გამოცხადებული მზრუნველობისა; ვერ თუ არ გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად; ლამის არაფერი კეთდება სამშვიდობო მოლაპარაკებების კუთხით აფხაზებსა და ოსებთან თუნდაც ხალხური დიპლომატიის დონეზე; იგნორირებულია რუსეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკების პრაქტიკა, როცა ევროატლანტიკურ კაპიტალისტურ სივრცეში კუბასავით კუნძულივით ტივტივებს ჩვენი საქართველო ამერიკის პროტექტორობის ქვეშ! გრძელდება „სემეკას“ და მათი ტიპის ჩინოვნიკების სრულიად უსაფუძვლო ძვირადღირებული შენახვა საბიუჯეტო სახსრებით... ვერ ხერხდება ქართველი ხალხისთვის საჩოთირო შინაარსის შემცველი ძეგლების დემონტაჟი ან სათანადო წარწერით ნიველირება (ველოსიპედი, დრაკონის ხიდი მტკვარზე); ვერ ხერხდება დევნილი მოსახლეობისათვის მიწის გამოყოფა დროებით სარგებლობაში, როცა უცხოტომელებს ნივრის ქერქის საფასურად მუდმივ თუ გრძელვადიან სარგებლობაში ეძლევათ იგი; დასასრული არ უჩანს ათასი ჯურის მიგრაციას ჩვენი მოსახლეობის ასაჭრელებლად; არ არის ფიქრი საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თანხმობისკენ თუ დაუხანებელი სამოქალაქო ინტეგრაციის მისაღწევად (პროფ. ნ. ჭითანავა); ძველებურად „ნაცმოელი“ ნატას ხიზნები ვართ 1000-მდე მწერალი იურიდიულად კანონიერ მწერალთა სასახლეში ნაციონალური დრაკონული „სამართალის“ წყალობით; არ წარედგინება ქართველ ხალხს განსასჯელად მისი ნათელი მომავლის გარანტიის მომცემი სტრატეგიული მიმართულებები;

საქართველოს ჰყავს პარლამენტი, თავმჯდომარე: რის ვაი-ვაგლახით მოხერხდა პერიფერიაში დანაშაულებრივად მოსროლილი კანონშემოქმედების დედაქალაქში დაბრუნება; რის ვაი-ვაგლახით მოხერხდა დამამცირებელი კოჰაბიტაციიდან თუ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის 43-პროცენტიანი 43 დისკრიმინაციული ყულფიდან გაბედული გამოსვლა.

ყველაფრის გათვალისწინებით, მოგმართავთ ქვეყნისთვის გულანთებულ ადამიანებს, ქუდზე კაცი დავირაზმოთ ყველა სახელისუფლო შტოს გამაერთიანებელი ფენომენის დასამკვიდრებლად ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც **„საქართველოს ლობი“** ერქმევა სახელად.

საქართველოში განვითარებულმა ბოლო ათწლეულის მოვლენებმა ნათლად დაგვანახა თუ ვინ არის ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, ვის შეუძლია მის კედელში ზურაბივით ჩაშენება და რადგანაც აქა-იქ ოლიგარქის რეგალიებით განქიქებულ ბატონ **ბიძინა ივანიშვილს მავანთაგან** ვითომ მორალური შლაგბაუმები აღემართა ქვეყნის რეალური აღმშენებლობის გზაზე; და რადგანაც იგივე შლაგბაუმს წამოუჭიმავენ ეს მავნენი საზოგადოებრივ სექტორში გადანაცვლებულ ადამიანს, დროა გონს მოვეგოთ ჩემო მრავალტანჯულო ერო და ბერო! დროა ჩვენი თამამი არჩევანი დავაფიქსიროთ უცხო ინტერესების ალაგმვის საწინდრად, მათი არასამთავრობო სექტორის ძირგამომთხრელი პოლიტიკის გასანეიტრალებლად!

დროა გამოვხატოთ ჩვენი კანონიერი ნება - გვყავდეს ქართველ ხალხს საყოველთაო ნდობით აღჭურვილი მეოხი, ქომაგი, გულშემატკივარი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში — „საქართველოს ლობი“ ბატონი **ბიძინა ივანიშვილის** სახით.

ლობს არ ჭირდება კენჭისყრა; ლობს არ სჭირდება ხმების უმრავლესობა გადაწყვეტილების მიღებისას; ლობი იგივე ჩვენი ყოველდღიურობის ჭირისუფალია. ლობის მიზანი ერთია — ქვეყნის რაც შეიძლება სწრაფი ტემპით გამოყვანა კოლაფსური მდგომარეობიდან ამ პანდემიის პირობებში.

დღევანდელ მსოფლიოში ქართული წარმომავლობის ხუთასზე მეტი მულტიმილიონერია დაფიქსირებული სხვადასხვა შკალით, მათ შორის რამდენიმე ათეული მილიარდერი, მაგრამ ერთსაც ვერ დაასახელებ, თავისი ფინანსების თუნდაც ერთი პროცენტი სამშობლოს ეკონომიკის აღორძინებისთვის მოეხმაროს უშურველად. ამ დროს, ლამის უშვერ სიტყვებს ვუძღვნით კაცს, რომელმაც ლამის დაღუპვის, მორალური და ფიზიკური გაჩანაგებისაგან გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა — ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** მოღვაწებას ვგულისხმობ. ნუთუ ბნელა. ნუთუ შუბლის ძარღვი გაგვწყდომია? ნუთუ თავიდან ვერ უნდა გადავიგდოთ რელსებისა და უმადურობის სინდრომები?! ჩვენ ვერავინ გაგვკილავს თუ რატომ ავირჩიეთ „საქართველოს ლობად“ ჩვენი სიდუხჭირის გულშემატკივარი პიროვნება — ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ლობი ჩვენი სულიერი სარკე გახდება უახლოეს მომავალში, რომელშიც ტომოგრამასავით გამოჩნდება ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეები. სწორად დასმული დიაგნოზის შემდეგ მართებული მკურნალობის ჩატარება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

**მაშ, ყველა ერთსულოვნად დავირაზმოთ ბატონ ბიძინა ივანიშვილის — „საქართველოს ლობის“ და მისი დაფუძნებული პარტიის „ქართული ოცნების“ გარშემო.**

**დავდგეთ მისი სიცოცხლისუნარიანი ბირთვის, ჭეშმარიტად წარმატებული ქალაქის მერის, ბატონ კახი კალაძის გვერდით.**

**სხვანაირი არჩევანი დამერწმუნეთ, დამღუპველია!**

**გური ოტობაია**
**მწერალი, საპატიო დოქტორი**

# უარყოფილი

## ანუ ნამდვილად არის ეს კაცი მეგის ქარდავა?!












ამას წინებზე ხმა გავარდა, მეგის ქარდავა ჩამოიყვანესო.

სად იყო, როგორ და რანაირად დააპატიმრეს, საიდან ჩამოიყვანესო? უკრაინაში ცდილობდა ყალბი პასპორტით შეღწევას, იქ დაბინავებას და შემდეგ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნასო. საიმიგრაციო სამსახურმა წაიჭირა, სასამართლოს გადასცა, სასამართლომ კიდევ შინა პატიმრობა მიუსაჯა.

რატომ ცდილობდა მეგის ქარდავა უკრაინაში შეღწევას და არა მანჯურიაში? ამბობენ, უკრაინაში მაგარი საძმო ჰყავს, მათ უნდა მიეხედათ, მაგრამ საქართველოს მთავრობამ ყველაფერი ყირაზე დააყენა, ქარდავას ექსტრადიცია მოითხოვა. ამაზე ჩვენ წინა ნომრებში დაწვრილებით ვწერდით, გამეორებას აზრი აღარ აქვს, ამჯერად იმას მოგიყვებით, რა უცნაურად განვითარდა მოვლენები მეგისის თავზე.




●

უკრაინიდან თვითმფრინავით ჩამოყვანილი მეგისი მუხლებზე დაეცა, ქართულ მიწას ემთხვია. ალბათ გაუკვირდა კიდევაც, აეროპორტში საქართველოს მოსახლეობა რომ არ დახვდა ტრანსპარანტებით, დროშებით, ბუშტებით, პლაკატებით და შეძახილებით: „თავისუფლება მეგის ქარდავას“! „მეგის ქარდავა ბიძინა ივანიშვილის პირადი პატიმარი“! „რუსეთი ოკუპანტია“!

თუმცაო, აქ მოსვლას ვინ გაბედავდა, საქართველოს მოქალაქეების 99% ხომ ივანიშვილის უღლის ქვეშ გმინავსო? – გადაულაპარაკა მეგისმა საკუთარ თავს.

წაიყვანეს გლდანის საპყრობილეში, დააბინავეს. ბანაობას რომელ საათზე ინებებთ, ვახშმად რას მიირთმევთ, ტელევიზორი რომელ არხზე ჩაგირთოთ, ხვალ რა დროს გაგაღვიძოთო? – ჰკითხეს და თან გაუღიმეს. მეგისს თავი სიზმარში ეგონა. ერთი ხანობა იფიქრა, მაღადავებენ, სადაცაა „დუბინკას“ გამიკეთებენ უკანალში, შემდეგ კი სადმე მოფარებულში მიმასიკვდილებენო. დაიბნა, თვალების ცეცება დაიწყო, თავზე ხელები აიფარა, ან ახლა ჩამქოლავენ, ან ახლაო. ქათქათა თეთრეული და გაუთოვებული ტანისამოსი რომ მოუტანეს, სახეზე ფერი დაუბრუნდა, მუხლებში კანკალიც გაუქრა, როგორცა სჩანს, ესენი არ მატყუებენო. სულო ცოდვილო... ისიც კი იფიქრა, შეიძლება რომელიმე ევროპიული ქვეყნის ციხეში გამომკეტეს, ალბათ მიხეილ სააკაშვილმა ჩამიწყოვო. კი განაწყენდა სააკაშვილზე, როცა თქვა, მაგას არ ვიცნობ, აზრზე არა ვარ, ვინ არიო, ტელევიზორიდან გავიგეო. ჰმ... ეხლა აღარ იცნობს, ხო?

თუმცა, მეგობრებო, აქ არის ერთი დიდი „თუმცა“!

საქართველოში ვერ ვნახე ადამიანი, მეგის ქარდავას რომ იცნობდეს!

ეს ფაქტი პირადად მე დიდ ეჭვებში მაგდებს და მაწვალებს. ახლა თვითონ რომ თქვას, არ ვარ მე მეგისი, სხვა დაიჭირეთო, სად მივდივართ, რანაირად ვუმტკიცებთ, რომ ნამდვილად მეგისია?!

ტიპს 7 პასპორტი აღმოაჩნდა და არც ერთში არ უწერია ხსენებული გვარ-სახელი, ერთი პასპორტის თანახმად მიკლუხო მაიკლაი გახლავთ, მეორის თანახმად – ტარტარენ ტარასკონელი, მესამის – ჟეპან პაპანდოპულო, მეოთხის – ჯერონიმო ჩირაკუა და რა ვიცი, ყველას რა ჩამოთვლის?

ჩემი უღრმესი რწმენით, არ შეიძლება, ნამდვილი მეგის ქარდავა ამაყად აცხადებდეს, მე პროდასავლური კურსის გამტარებელი ლიდერი ვარ და ამიტომაც რუსეთი მებრძვის რუსი ოლიგარქის ხელითო. რუს ოლიგარქში, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს გულისხმობს.

სამხედრო პოლიციის ყოფილი „უმფროსი“ ვერ გიცნოს მიხეილ სააკაშვილმა, ვერ გიცნოს გიგი უგულავამ, ვერ გიცნოს გიგა ბოკერიამ, კაკო ბობოხიძემ, დავით ბაქრაძემ, თამარ ჩერგოლეიშვილმა, ეკა კვესიტაძემ, სალომე სამადაშვილმა, თინა ბოკუჩავამ, ნიკა გვარამიამ, ხათუნა გოგორიშვილმა, ეკა ხერხეულიძემ, მერაბ სეფაშვილმა (შენს ქორწილში რომ ღნაოდა, საგოზინაყე თაფლად რომ დნებოდა), მაშ რაღა კაცი ხარ, ვინ ხარ, საიდან მოხვედი, ვის დაეკარგე, ვის ტიკსა და ტომარას წარმოადგენ?!

მეტსაც გეტყვით!

დანამდვილებით ვიცი, ნამდვილმა მეგისმა, სანამ აქ იყო და მიხეილ სააკაშვილის ქვეშევრდომად მუშაობდა, წერა-კითხვა არ იცოდა, გარეთ მისი ხელობა იყო მხოლოდ რტყმა, ტ...ვნა, კვლა და ეგეთი რაღაცები, ხოლო სახლში – ლევა, წევა და მტვრევა.

გეუბნებით, არ შეიძლება, ნამდვილმა მეგის ქარდავამ ასეთი წერილი დაწეროს და თან „ფეისბუკში“ გამოჰფინოს:

„წინასაარჩევნოდ საქართველოში რუსული იდეოლოგიური დივერსიის საწარმოებლად განხორციელდა ჩემი ექსტრადირება და როგორც ჩემს წინა განცხადებაში აღვნიშნე, ყოველივეს საფუძვლად ედო უკრაინის პრეზიდენტის და პუტინის ოლიგარქის გარიგება: პოლიტიკური პატიმრობიდან ჩვენი ძმების, უკრაინელი მეზღვაურების გათავისუფლების სანაცვლოდ ჩემი ექსტრადირება არაფორმალური გაცვლის სახით. ამის ფონზე, ლამის „ეროვნული შეთანხმება“ შედგა პუტინის ოლიგარქის და ფსევდო-ოპოზიციის ბანაკიდან ჩემი დისკრედიტირებისთვის სინქრონულად გაკეთებული განცხადებების სახით და ყურადღება გადაიტანეს მიმდინარე კატასტროფული მოვლენებიდან (ექსტრადირების პიარ-კამპანიის ერთ-ერთი მიზანიც ეს იყო), რუსული ჰიბრიდული ომით ქართველების ჩუმი გენოციდისგან, გარუსების პოლიტიკისგან, სახელმწიფო ინსტიტუციების ჩამოშლისგან“.

ხედავთ, რას ამბობს ე. წ. მეგისი? ხედავთ, რისთვის ჩამოუყვანიათ? ესე იგი, პუტინის მონები გაურიგდნენ რუსებს და ამით გადაფარეს ქვეყანაში დატრიალებული არაერთი უბედურება. მეტიც, რუსმა ოლიგარქმა ე. წ. მეგისის ჩამოყვანით (ჩამოთრევით) ქართველ ხალხს თვალები აუხვია, დააბრმავა და ყურადღება გადაატანინა კატასტროფული მოვლენებიდან (ვახ, ზოგს რა დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე?!).

შემდეგ ე. წ. მეგისი ე. წ. ოპოზიციასაც ადანაშაულებს – ეგენი ფსევდოები არიან და ჩემს დისკრედიტაციას ახდენენო... ნაცვლად იმისა, რომ ოპოზიციონრები ერთიანობას ინარჩუნებდნენ და ოლიგარქისგან საქართველოს დეოკუპაციას ცდილობდნენ (ხოხ, დეოკუპაციასო!), მოსახლეობას არწმუნებენ, თითქოს ჩემთან მიმართებაში პუტინის ოლიგარქის სასამართლო დამოუკიდებელი აღმოჩნდაო. ე. წ. მეგისი ტყვიას ტყვიაში აჯენს: „დღეს საქართველოს მართავს მოღალატეებისგან, კორუმპირებული პოლიტიკური პროსტიტუტებისგან შემდგარი პოლიტიკური კლასი, რომელიც სხეულით გრძნობს და ებრძვის ყველას და ყველაფერს, რაც დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან. ეს პოლიტიკური კლასი გუშინ იგივე პათოსით, რუსული პუტჩით ამხობდა ზვიად გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებას, მონაწილეობა მიიღეს 2012-ის რუსული ჰიბრიდული კონტრ-რევოლუციით პუტინის ოლიგარქის ხელდასმაში“.

აი, ვიცოდი რააა, ვიცოდიმეთქი!

ამანაც ახსენა ზვიად გამსახურდია – ესენი იყვნენო, ამათ დაამხესო, 2012-შიც ამათ გადააგდეს ვარდების რევოლუციის მონაპოვარიო, ესენი ებრძვიან საქართველოს სახელმწიფოებრიობასო. ე. წ. მეგისი ყველას ემდურის, ე. წ. ოპოზიციასაც და პოზიციასაც, ეს პროსტიტუტებისგან შემდგარი კლასიაო.

და აჰა, მიადგა მეგისი გიგი უგულავას, მამუკა ხაზარაძეს და „მავნებს“:

„აქვე მინდა გამოვეხმაურო კორუმპირებული გიგი უგულავას, საბჭოთა ადამიან მამუკა ხაზარაძეს და მათი კოლეგების ჩემთან მიმართებაში გაკეთებულ მორალურად გახრწნილ და ცილისმწამებლურ ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს. პოლიტიკური დევნის პროცესში თქვენთვის წაყენებულ ბრალდებებს მოტივად გასდევს კორუფცია, ანგარება.

უბრალოდ სამარცხვინოა და ისტორიული ღალატია ჩემთვის და ჩემი თანამებრძოლების წინააღმდეგ წაყენებული პოლიტიკურად მოტივირებული ის ბრალდებები, რომლებიც რუსეთს წმენდს ნამუსს“.



თქვენი არ ვიცი, მეგობრებო და... მე ისეთი შეგრძნება მაქვს, მეგის ქარდავა კი არა, გიგლა პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი წამოდგა საფლავიდან და წერილების წერა დაიწყო. ქართული სახელმწიფოო... რუსეთიო... სახელმწიფოებრიობის მტრებიო... რაც ჩემს თავზე დაატრიალეს, ეს ისტორიული ღალატიაო, სამარცხვინო მოვლენააო... ხელოვნურად აგორებულიაო... პუტინის რუს ოლიგარქს სჭირდება ასე, თორემ მე სინამდვილეში პატიოსნებითა და სიკეთით გამსჭვალული ადამიანი გახლავართო.

იცით, რა მიკვირს?

იმ მეგის ქარდავამ, რომელიც მიხეილ სააკაშვილისა და ბაჩო ახალაიას ხელქვეითი იყო, სასვენი ნიშნების დასმა ასე კარგად არ უნდა იცოდეს. არადა, ფაქტია, წინადადების გამართვა-დალაგება კი უჭირს, მაგრამ სასვენ ნიშნებს ზუსტად იყენებს. ამ შემთხვევაში ორი ვერსია უნდა განვიხილოთ: პირველი – მეგისი შავად დაწერილ ქაღალდს მეუღლეს უგზავნის, ის ასწორებს (ან ვინმეს ასწორებინებს) და მეგისის „ფეისბუქგვერდზე“ დებს, ან შეიძლება მე მართალი ვიყო, ეს არ გახლავთ ნამდვილი მეგისი... ყოველ შემთხვევაში, თვითონ რომ უარყოს, ვერ დავუმტკიცებთ, საბუთი არ აქვს. როცა ადამიანს საბუთი არ აქვს, ამ დროს საჭიროა მოწმეთა ჩვენებები, მოწმეები უარს ამბობენ, არ ვიცნობთ, არ ვიცით, ეგ ვინ არი, ვის დაჰკარგვიაო.

ისე, ჩემეული მეორე ვერსია სიმართლე არ გეგონოთ, ვხუმრობ... იმედია, სასამართლო დაადგენს, ეს ჩემისა, ნამდვილია თუ ტყუილი. პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს? ნამდვილიც ციხეში უნდა იჯდეს, ტყუილიც და ისინიც ვირის აბანოში უნდა „მოღვაწეობდნენ“, ვინც მაგას უარჰყოფს. ფუჰ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# საქართველოს წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მზადდება

## ზოგადად ასე ხდება: როცა ქვეყანაში დესტაბილიზაცია მზადდება, პირველი დარტყმა სუს-ზე მიაქვთ



***გვესაუბრება იბერიულ-კავკასიური მოძრაობის დამფუძნებელი ბესო მიქავა:***

**— ბატონო ბესო, სანამ საუბარს დავიწყებდით, თქვენ თქვით, რომ საქართველოს უშიშროების სამსახურს (სუს-ი) საქართველოს გენერალური პროკურატურა უპირისპირდება. რით ამყარებთ თქვენს ამ მოსაზრებას?**

— დააკვირდით, სუს-ი ასაჯაროებს საიდუმლო ფაილებს სხვა თანამდებობის პირებთან და ინსტიტუციებთან ერთად, ვითომდა, კომპრომატებს ამჟამინდელი კულტურის მინისტრის თეა წულუკიანის წინააღმდეგ.

თავის დროზე პროკურატურა თეა წულუკიანზე და იუსტიციის სამინისტროზე იყო დამოკიდებული. მას შემდეგ, რაც პროკურა-



ტურამ იუსტიციის სამინისტროსგან „თავი გაითავისუფლა“, შეტევები დაიწყო ძალოვან სტრუქტურებზე.

თუ ამჩნევთ, პოლიტიკური პარტიები და მათ შორის, პროკურატურის „ნასედკა“ გვარამია არასდროს არ ებრძვის პროკურატურას, პირიქით, მას, როგორც „მოძღვარს“, აღსარებას აბარებს სუს-ის თანამშრომელი.

ახლა, როცა არჩევნები კარს მოგვადგა და ბიძინა ივანიშვილი ჩამოშორებულია პროცესებს, ჩამოშორებულია „ქართული ოცნების“ პარტიას, ვიღაცებმა გადაწყვიტეს სუს-ის „მიჩექმვა“, მისი დაქვემდებარება და არჩევნების წინ მასზე ზემოქმედების მოხდენა. სუს-ის უფროსი ძველი „ქართული ოცნების“ ერთგული კაცია. მასზე მიდის დარტყმები. სავარაუდოდ, შემდეგი იქნება ირაკლი ღარიბაშვილი.

**— რატომ უნდა ვირწმუნოთ თქვენი მოსაზრებების თუ ვარაუდების?**

— გასულ კვირას გვარამიამ გამოაქვეყნა მისი ნახევარსაათიანი საუბრის ჩანაწერი სუს-ის თანამშრომელთან. ეს იყო საძაგლობა, მაგრამ თავი დავანებოთ ამას. იძახიან, ყველას გვისმენენო. თუ ყველას უსმენენ, გვარამიას არ უსმენენ? თუ გვარამიასაც უსმენენ და ის ვიღაცა, ვისაც ესაუბრებოდა, რეალურად არის სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელი, ის უნდა ყოფილიყო იდენტიფიციებული. სუს-ს უბრალოდ შეუძლია იპოვოს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც რეკავს და რომელთანაც რეკავენ და დაადგინოს მათი ადგილსამყოფელიც.

ნახევარი საათის განმავლობაში თანამშრომელი აწვდის ინფორმციას ვიღაც გვარამიას და ვინც უნდა იყოს ის, ეს არის კატასტროფა. თანაც, ყველაფერ ამაზე არ იღძვრება სისხლის სამართლის საქმე, არ აპატიმრებენ არც ერთს და არც — მეორეს.

**— იქნებ, ყველაფერი დადგმული ჰქონდა, ვთქვათ, გვარამიას და ის, ვიღაცა, საერთოდ არ არის სუს-ის თანამშრომელი?**

— მაშინ გვარამია არის დასაჭერი, რადგან ის ავრცელებს ცრუ ინფორმაციას და ძალოვან სტრუქტურებს სახელს უტეხს.

მე სოციალურ ქსელშიც დავწერე და კიდევ ვიმეორებ: დღეს რეალური ძალაუფლება აქვს პროკურატურას და არა სუს-ს. სუს-ს არ აქვს უფლება, დამოუკიდებლად ვინმეს მოუსმინოს. მას ამის უფლება ეძლევა პროკურატურის და სასამართლოს თანხმობის შემდეგ.

თუ პროკურატურის და სასამართლოს თანხმობით იმ ინსტიტუციებზე და ადამიანებზე მოსმენის ნებართვა გაცემული იყო, რომლებსაც ასახელებს გვარამიას თანამოსაუბრე, რატომ არ აკავებენ ამ ორ ადამიანს და თუ ეს ყველაფერი არის მოგონილი, რატომ არ იღძვრება სისხლის სამართლის საქმე?!

**— თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?**

— გადავხედოთ ისტორიას, მაგალითად, სერბეთში, ე. წ. რევოლუციის წინ სუს-ზე შეტევები განხორციელდა. სერბეთი არ ყოფილა გამონაკლისი. შემიძლია, სხვა ქვეყნებიც დაგისახელოთ.

ზოგადად, ასე ხდება, როცა ქვეყანაში დესტაბილიზაციას ამზადებენ, პირველი დარტყმა უშიშროების სამსახურებზე მიაქვთ.

ამიტომ, ყველაფერი, რაც ხდება, ხდება მიზანმიმართულად, რაშიც ჩართულია მოღალატე ვიღაც გვარამიას და ნაცების კრიმინალურ-სექტანტური, ავადმყოფური ბანდა.

ამ პროკურატურამ სს საქმე აღუძრა ზვიად გამსახურდიას, სააკაშვილს და არც ბიძინა ივანიშვილს მოერიდებიან.

უკვე აღიძრა საქმე გახარიას წინააღმდეგ.

ხელისუფლებები იცვლება, პროკურატურა კი რჩება ხელშეუხებელი. დღემდე მუშაობს შევარდნაძის და სააკაშვილის დროინდელი პროკურატურა. არც ერთი რეფორმა პროკურატურას არ შეხებია.

სააკაშვილის დროინდელი პროკურატურა რომ არ გაიწმინდა 2012 წლის შემდეგ, ახლა მიუბრუნდებიან პარტიის დამფუძნებელს, რადგან მას უყურებენ, როგორც მეწველ ძროხას, რომელმაც „წველა“, ანუ ფულის გაცემა შეწყვიტა. ამიტომ ის უკვე არაფერში სჭირდებათ და უკვე საბოლოოდ უნდათ, რომ მოიშორონ.

დღევანდელი პროკურატურა ემსახურება ჩემს მიერ ადრე ნახსენებ ე. წ. „თბილისურ მაფიას“, რომლის უმრავლესობა არიან საბჭოთა ნომენკლატურის არმენები, დიახ, არმენები. ბიძინა ივანიშვილი მათთვის ყოველთვის იყო უცხო სხეული და ასეთად დარჩა ბოლომდე.

ყველა ვხედავთ, რა გამალებული წინააღმდეგობა მიდის ნაცებსა და „ოცნებას“ შორის. ეს არის ფარსი, რითაც ცდილობენ, ყურადღება მოადუნონ სხვა პარტიების მიმართ, რადგან, თუ რომელიმე სხვა კონკურენტმა პარტიამ უმრავლესი ხმა მოაგროვა, საჭირო და აუცილებელი იქნება სააკაშვილის ჩამოყვანა, ამიტომაც დაიწყეს ბჭობა საბჭოთა ნომენკლატურის ნაშიერმა „ნასედკებმა“ — სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლის უფლება უნდა მიეცესო.

მე არ მგონია, რომ სააკაშვილი ჩამოვიდეს, რადგან იგი ვისთანაცაა დღეს გარიგებული, ეს სხვა საუბრის თემაა.

**— ვისთანაა გარიგებული?**

— ვისთან და რუსეთთან და პუტინთან, მაგრამ ახლა სხვა რამეს მოგახსენებთ: სააკაშვილი არის ანტისემიტიზმის პროპაგანდისტი და მან ეს დაამტკიცა ბოლოდროინდელი ვიდეო-მიმართვით — ვიღაც ებრაელი ჩამოეთრია ისრაელიდანო. ეს შეგნებულად გააკეთა, რადგან არმენული ლობი, რომელიც, როგორც საქართველოში, ისევე არის რუსეთშიც და უფრო მძლავრადაც ლავროვის ხელმძღვანელობით. მათ შორის არის გავრილოვიც და ამ ხალხს ახლო ურთიერთობა აქვთ სააკაშვილთან. ესენი აპირებენ ომს კავკასიაში ებრაელების წინააღმდეგ. ჩემი აზრით, ეს ხალხი გაურიგდნენ ანგლო-საქსებს გარკვეული პროვილეგიებისთვის.

სააკაშვილი ბოლო დროს ანტიევროპული განცხადებებითაც გამოირჩევა. მან თქვა: ევროკავშირში მითხრეს, მოგვბეზრდა საქართველოზე ლაპარაკიო. ასე ვთქვათ, ჩაუშვა ამ ვითომ მედასავლეთე მიკირტუმა სააკიანმა ევროპა-ამერიკა.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში შექმნილ არეულობას ხელს უწყობს და სულს უდგამს საქართველოს კორუმპირებული პროკურატურა.

რატომ გვისმენს სუს-იო?

აბა, რა უნდა ჰქნას სუს-მა, თავისი საქმე არ აკეთოს? აქ საუბარია იმ პირებზე, რომლებიც პოლიტიკაში არიან ჩართული. მევენახეს არ უსმენს სუს-ი. სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად პასუხსაგებ თანამდებობის პირებს უნდა უთვალთვალოს და უსმინოს, ესაა მათი მოვალეობა.

წარმოიდგინეთ, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ფულის სანაცვლოდ რა ინფორმაციებს გაიტანენ აქედან.

მოღალატე, ქართველთმოძულე გვარამიას ხელში რომ აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინფორმაცია, კაცის, რომელმაც ზვიად გამსახურდიას ვაჟი ცოტნე გამსახურდია დაიჭირა სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით, ეს კაცი რას დამართებს ჩვენს ქვეყანას, ხომ ყველას წარმოგიდგენიათ?!

გაოგნებული ვარ, პირდაპირ: უშიშროების თანამშრომელი ამ არაკაცს უყვება ამბებს და ის თანამშრომელი დღემდე დაჭერილი არაა ისე, როგორც ეს „ნასედკა“ გვარამია.

ერთი ამბავი რომ აქვთ ატეხილი, „გავრილოვის ღამე“, „გავრილოვის ღამეო“, ღამე კი არა, დღისით აქვთ გადაღებული სურათები სამახსოვროდ გავრილოვთან და ამას არავინ არ იხსენებს. დიდი შეთქმულება მზადდება ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს წინააღმდეგ და მეტი სიფრთხილე მართებს სახელმწიფოს.






**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# დარწმუნებული ვარ, საქართველოს აზერბაიჯანელები საკადრის პასუხს გასცემენ პროვოკატორებს

## დმანისს ოქრიაშვილი და მისი ბანდა მართავს

***გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი:***

**— ალი აღა, როგორც გავიგეთ, კორონავირუსი გადაგიტანიათ. თავს როგორ გრძნობთ?**

— დიახ. ახლა უკეთ ვარ. საავადმყოფოდან რამდენიმე დღეა, რაც გამოვედი და თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა დიდი მადლობა გადავუხარო რესპუბლიკური საავადმყოფოს მედპერსონალს, ექიმებს, ექთნებს, ყველას, ვინც ზრუნავდა ჩვენს გამოჯანმრთელებაზე.

სხვაგან არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ რესპუბლიკურ საავადმყოფოში თავზე გვევლებოდნენ ავადმყოფებს. დღის განმავლობაში ექიმების 3-4 ჯგუფი მოდიოდა შესამოწმებლად. ფსიქოლოგიდან დაწყებული, ნევროპათოლოგით დამთავრებული, ყველა



ფეხზე იდგა და მზად იყო დასახმარებლად ყოველ დღე.

შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენმა ექიმებმა მე გადამარჩინეს.

ამის გამო არ ვარ აქტიურად ჩართული საარჩევნო პროცესებში, თორემ ჩემს გუნდს არ გამოვაკლდებოდი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თბილისელებს ვურჩიო: თუ უნდათ სტაბილური თბილისი, ევროპული თბილისი, თუ სურთ, თბილისის ყველა უბანი იყოს სიცოცხლით სავსე, ხმა მისცენ კახა კალაძეს და მის გუნდს.

**— თქვენ საქმის კურსში იქნებით, რაც მოხდა ქარელში და შემდეგ დმანისში. ამ ამბებში ისევ ოპოზიციის ხელი ურევია თუ მოსახლეობა არის უკმაყოფილო ხელისუფლების მმართველობით?**

— მოდით, ასე გეტყვით: „ნაცმოძრაობა“ ჩამოყალიბდა, როგორც კრიმინალური, ტერორისტული, დესტაბილიზაციის გამომწვევი დაჯგუფება.

მათ აქვთ თავიანთი ტელევიზიები. ამ ტელევიზიებიდან რა ცილისწამებები და სიბინძურე მოედინება, ყველა ვხედავთ. ჩემი აზრით, საქართველოში 90%-ს ეზიზღება ეს ტელევიზიები. იქ მომუშავე ადამიანები არიან პროვოკატორები. ღიად ვაცხადებ ამას.

ჟურნალისტები რომ სცემეს, მეც ვიყავი მაშინ რუსთაველზე და ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ ტენიდნენ პირში მოქალაქეებს მიკროფონებს.

რაც მოხდა ქარელში, ეს იყო ჟურნალისტების არაეთიკური ქმედებების შედეგი.

იგივე მოხდა დმანისშიც.

ვაცხადებ: სერიოზული დესტაბილიზაცია მზადდება საქართველოში — ზუგდიდში, ქვემო ქართლში.

ესენი ეძებენ სუსტ ადგილებს.

მაგალითად, ქვემო ქართლში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. ესეც ქმნის გარკვეულ გაუგებრობას და შედარებით ადვილია დესტაბილიზაციის მოწყობა.

რამდენიმე თვის წინაც იყო დაძაბულობა დმანისში, როცა კახა ოქრიაშვილის სააკაშვილთან ვიზიტის შემდეგ დაპირისპირება მოხდა. საქართველოს ხელისუფლების ჩარევით და ღმერთის მადლით, იქ მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

ახლა რაც მოხდა დმანისში, ეს იყო წმინდა წყლის პროვოკაცია.

იქ, სადაც „ქართული ოცნების“ აქტივისტები იკრიბებიან, პროვოცირება მოახდინა ოქრიაშვილის გუნდმა. ახალგაზრდები გამოიწვიეს ჩხუბში და ამ ჩხუბში ფსიქიკურად დაავადებული ბიჭი ჩაერია. მე მომაწოდეს ვიდეო-კადრები, სადაც კარგად ჩანს, როგორ უქნევენ ხელს გასაღიზიანებლად იმ ავადმყოფ ახალგაზრდას.

ოქრიაშვილის ჯგუფი გახლავთ ჩვეულებრივი ზონდერები, რომლებიც სულ თან ახლავს მას, როგორც, ვითომ, მისი ამომრჩევლები.

„ქართულ ოცნებას“ არ სჭირდება ძალადობა. მოსახლეობა კარგად ხედავს, რომ ისინი აკეთებენ საქმეს.

თავად კახა ოქრიაშვილი კი, რომელიც ჯერ გახლდათ „ნაცმოძრაობაში“, მერე, თავისი ბიზნესისთვის ხელსაყრელი ნიადაგი რომ შეექმნა, ვითომ გადავიდა „ქართულ ოცნებაში“, ახლა მერთან და მის მოადგილეებთან ერთად დესტაბილიზაციას ეწევა.

ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: დმანისის მერიაში დღეს „ქართული ოცნების“ 5% არაა დასაქმებული. მთელი მერია ოქრიაშვილის ბანდაა.

მერიამ „ქართული ოცნების“ მხარდაჭერით და ინიციატივით უამრავი პროექტი განახორციელა დმანისის მუნიციპალიტეტში, მაგრამ არც ერთ აზერბაიჯანულ სოფელში არ ჩაუტარებიათ არავითარი სამუშაო. მე შევხვდი იქ მოსახლეობას და ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი.

ირღანჩაიში გზა პირველად წინა მერის გოგიტა ბარბაქაძის პერიოდში გაკეთდა. მერე არაფერი გაკეთებულა.

დიახ, საარჩევნოდ სერიოზულ პროვოკაციებს ველოდები დმანისში და სხვა, არაქართველებით დასახლებულ რეგიონში, ამიტომაც მოვუწოდე სოციალურ ქსელში „ქართული ოცნების“ მომხრეებს: თავი შეიკავეთ და არ წამოეგოთ პროვოკაციებზე-მეთქი.

მე მწამს, რომ ჩემი აზერბაიჯანელები, ქართლში იქნებიან, ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთის ზონაში, თუ სხვაგან, თავს შეიკავებენ დესტრუქციულ ძალებთან კონფლიქტისგან და მშვიდად ჩაატარებენ არჩევნებს.

კვლავ უნდა მივცეთ ნდობის მანდატი „ქართული ოცნების“ კანდიდატებს, რომ კიდევ ოთხი წელიწადი გაგრძელდეს აღმშენებლობა, მჯერა, მეტი გაკეთდება ხალხის სასიკეთოდ.

**— ანუ, თქვენი აზრით, ოპოზიციამ თუ გაიმარჯვა, მშენებლობებს და განვითარებას შეაჩერებენ?**

— ოპოზიცია ამბობს: ყველას მისამართები ვიცით, ყველა უნდა დაისაჯოს, ყველას სამაგიერო უნდა გადავუხადოთო.

ამ ადამიანებს აღმშენებლობა კი არ უნდათ, არამედ ტერორი და შიში. მათი მთავარი მიზანი არის დესტრუქცია.

**— მიზეზი?**

— მიზეზი არის შური.

9 წელიწადია, ცდილობენ, რომ დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და ხალხი ყველა არჩევნებზე „ქართულ ოცნებას“ რომ ირჩევს, ამაზე იშლებიან ჭკუიდან. არადა, მოსახლეობა მშვენივრად ხვდება, რომ „ქართული ოცნება“ რეალურად მუშაობს. აშენებენ ახალ სკოლებს, ბაღებს, ყველაზე მიუვალ სოფლებშიც კი შეიყვანეს გაზი, მოასფალტებულია გზები. ამასწინათ ზუგდიდში ვიყავი, ერთ მთიან სოფელში მივედით სტუმრად, იქ ადრეც ვიყავი ნამყოფი, მანქანა ვერ ადიოდა, ისეთი საშინელი გზა იყო. ვერ ვიცანი იქაურობა, გზა, ინფრასტრუქტურა სრულიად შეცვლილი დამხვდა. უმაღლესი დონის გზები არის დაგებული შო-



რეულ სოფლებშიც კი. უდიდესი რეფორმებია განხორციელებული ჯანდაცვაში და სოფლის მეურნეობაში, ყველაფერ ამის შედეგებს უახლოეს წლებში უფრო თვალნათლივ დავინახავთ. ახლაც თვალსაჩინოა სიმსივნით დაავადებულთა უფასო მკურნალობის პროგრამები, ც ჰეპატიტის პროგრამა, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა გარდაუვალი დაღუპვისაგან. ვისაც მუშაობა არ ეზარება, სოფლად, ასევე, მრავალი პროექტი დაფინანსდა სოფლის მეურნეობის პროგრამების ეგიდით და ძალიან ბევრი გლეხი კმაყოფილია ამით...

ოპოზიციის მთავარი ლიდერი კი ხან უკრაინიდან გვემუქრება, ხან — ევროპიდან.

ამასწინათ ერთ ინგლისურენოვან საიტზე წავიკითხე, სააკაშვილი შეხვედრია ევროპარლამენტის დეპუტატებს. ამას დაუწყია ისევ საქართველოს „ჩაშვება“, მათ უარი უთქვამთ: ქართველმა ხალხმა თავად გადაწყვიტოს, ვინ უნდათ და ვინ — არა. აღარ გვინდა მეტად საქართველოზე ლაპარაკიო.

ეს მაინც არ ისვენებს. ხან ჯარს შეურაცხყოფს, ხან — პოლიციას.

ბარემ აქვე ვიტყვი, მადლობა უნდა ვუთხრათ ბიძინა ივანიშვილს, რომ თავის დროზე დაეხმარა ქართულ ჯარს და პოლიციას, რომლებსაც საკვები და ტანსაცმელი არ ჰქონდათ. მიეშველა უამრავ გაჭირვებულს ფინანსურად, სამედიცინო კუთხით, დაამშვენა გაპარტახებული აბასთუმანი, წყალტუბო, შეკვეთილი, რომელი ერთი ჩამოვთვალო... უამრავი სიკეთე გააკეთა ამ კაცმა ჩვენი ქვეყნისთვის და რატომ ვართ უმადურები და დაუნახავები?!.

სააკაშვილის კრიმინალური გუნდის წევრები, დღეს საქართველოდან გაქცეული რომ არიან და უზრუნველად ცხოვრობენ საზღვარგარეთ, რითი ცხოვრობენ, თუ არა ხალხისთვის წართმეული, წაღლეტილი და მოპარული ფულით.

ამ ფულით არის დაფინანსებული ის ტელევიზიებიც, საქართველოს მოსახლეობას სიცოცხლეს რომ უწამლავენ.

პარლამენტმა უნდა გამოიძიოს, 9 წლის განმავლობაში რითი ცხოვ-




რობენ ძველი მთავრობის ბობოლები საზღვარგარეთ.

დღეს საქართველო დამოკიდებულია საერთაშორისო სტრუქტურებზე და ისინი არ აძლევენ ჩვენს ქვეყანას დამოუკიდებლად არსებობის და გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

რატომ უნდა იცავდეს აშშ-ის ელჩი, მაგალითად, მელიას?

ირაკლი კობახიძეს რომ პროვოკაციულად დაესხა თავს მელია, რატომ იცავენ ასეთ ადამიანს. ეს ის კაცია, რომელსაც პარლამენტის შტურმით აღება უნდოდა.

ქართულ საზოგადოებას მობეზრდა ეს კატათაგვობანა.

თუ სამართლიანობას არ დაუჭერენ მხარს, ქართველი ხალხი და მათ შორის მეც, უნდობლობას გამოვუცხადებთ საერთაშორისო ინსტიტუტებს ჩვენს ქვეყანაში.

არ შეიძლება სახელმწიფო მმართველობის საქმეში უცხოელები ერეოდნენ.

ჩვენ ვერევით ამერიკის საქმეებში? ან ევროპის? თუ გვეხმარებიან, გვაწვდიან რეკომენდაციებს, კარგია, მადლობელი ვართ და ამას ჩვენ არ დავუკარგავთ, მაგრამ ჩვენს შინაურ საქმეებში ნუ ერევა ნურავინ.

რატომ არ უნდა იყოს ციხეში ნიკანორ მელია?

ან ე.წ ოპოზიციური ტელევიზიების ხელმძღვანელები, კრიმინალი პროვოკატორები.

ამნისტიას არ აძლევს პრეზიდენტი სამშვილიან მშობელს, რომელმაც აღიარა დანაშაული, კრიმინალები კი თავაშვებული პარპაშობენ.

სადაა აქ სამართალი?!

ადამიანმა ერთგულება რომ დაამტკიცოს, ამას დიდი დრო სჭირდება.

„ქართული ოცნება“ რომ დატოვეს პარტიის დამფუძნებლებმა, პოლიტსაბჭოს წევრებმა, მინისტრებმა და ბოლოს პრემიერ-მინისტრმაც, ეს ადამიანები, ჩემი აზრით, არიან გამყიდველები და მოღალატეები.

გახარიამ მელასავით რომ გაყიდა თავისი გუნდი და ქვეყანა ვიღაცა კრიმინალის გულისთვის, არ რცხვენია?

თუ გუნდში პრობლემა ქონდა, გუნდშივე უნდა გაერკვია, ბოლოს და ბოლოს თვითონ იყო პრემიერ-მინისტრი.

პირადად მე, რაც მიკეთებია „ქართულ ოცნებაში“, უნდა მომეთხოვა თანამდებობები, მაგრამ ხედავთ, არავის არაფერი შემოუთავაზებია, მაგრამ ამის გამო კრიჭაში არ ჩავდგომივარ არც პარტიას, არც არავის და ბოლო ჯარისკაცი თუ დარჩება „ქართულ ოცნებაში“, ის ჯარისკაცი მე ვიქნები.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# რაც უნდა წყენა და გულისტკივილი გვქონდეს „ქართული ოცნების“ მიმართ, მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში



*გვესაუბრება ტელეკომპანია „ალტ-ინფოს“ დამფუძნებელი კოკა მორგოშია:*

**— ჩვენი წინა ინტერვიუს შემდეგ კარგა ხანი გავიდა. მინდოდა თქვენთან საუბარი ჩამეწერა, მაგრამ დრო ვერ გამონახეთ, რა ხდება, რაიმე საინტერესო სიახლეები გაქვთ?**

— ჩვენს მკითხველებს მინდა სასიხარულო ამბავი ვაუწყო: „ალტ-ინფომ“ ეროვნული მაუწყებლის სტატუსი მიიღო. ის არის პირველი ტელევიზია კონსერვატიულ ფლანგზე, რომელიც მთელ საქართველოში იმაუწყებლებს.

ეს ერთი, მეორე ისაა, რომ პრინციპულად მოვითხოვეთ 26 სექტემბერს აქციაზე 5-6 ივლისს დაკავებული ჩვენი თანამებრძოლების გათავისუფლება და დიდი იმედი გვაქვს, რომ მათ გაათავისუფლებენ, ამერიკის ელჩის, ევროპარლამენტის და ლიბერალური ისტებლიშმენტის პერმანენტული წნეხის მიუხედავად.

თან ვმუშაობთ და არ ვაპირებთ, მხოლოდ ტელევიზიით შემოვიფარგლოთ.

**— იმედი გაქვთ, რომ დაკავებულებს გაათავისუფლებენ?**

— დიდი იმედი მაქვს ხელისუფლების კეთილგონიერების, რადგან დაკავებულთა უმეტესობა უსაფუძვლოდ არის დაპატიმრებული, ვიღაცების კაპრიზების გამო.

ჩვენ ხალხი გვიჭერს მხარს, ამას ყოველთვის ვგრძნობდით და ეს ძალიან სასიხარულოა.

რაც შეეხება ხელისუფლებას, არ დავმალავ: 5 ივლისის მერე ხელისუფლებამ გარკვეულწილად, შეცვალა რიტორიკა. კონკრეტულად ჩვენს მხარდამჭერებში ვერ მოვიაზრებთ მათ, მაგრამ ეროვნულ და ტრადიციულ მესიჯებს ხშირად აჟღერებენ. ეს წინასაარჩევნო ხრიკია თუ მერეც ასე გააგრძელებენ, ვნახოთ.

**— „ალტ-ინფო“ ისარივით ესობა გულზე ზოგიერთებს და არც მალავენ ამას, განსაკუთრებით, ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფები და სუბიექტები.**

— მათი შფოთვა და ჭიჭყინი იმის მიმანიშნებელია, რომ ჩვენ ყველაფერს სწორად ვაკეთებთ. დაბრკოლებებს შეჩვეული ვართ. არაერთხელ დაგვბლოკეს და შეაჩერეს „ალტ-ინფოს“ მუშაობა, თუმცა ახლა უკვე სრულყოფილი მედია-საშუალება ვართ, ჩვენს საქმეს ვაკეთებთ და ფინიში იქნება ის, რომ დავასრულებთ ლიბერალურ დიქტატურას და მოღალატე ჟურნალისტები და მტრული ენჯეო-სექტორი ამოიძირკვება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

**— არჩევნებზე არეულობებს თქვენც ელოდებით? ბევრი ამბობს, რომ ოპოზიცია დესტაბილიზაციას აუცილებლად მოაწყობს.**

— სავარაუდოდ, ალბათ, შექმნიან პრობლემებს, თუმცა ყველაფერი „ქართულ ოცნებაზეა“ დამოკიდებული, რამდენად მყარად იდგებიან თავიანთ პოზიციებზე, არ აჰყვებიან ოპოზიციის მავნებლურ ქმედებებს და უცხოელი ელჩების და კონგრესმენ-სენატორების ჭკუაზე არ ივლიან.

თუ „ქართულ ოცნებას“ საფრთხე დაემუქრება და ქართველი ხალხი დაინახავს, რომ „ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ ბნელი მხრიდან შექმნილ წინააღმდეგობას ვერ უმკლავდება, ხალხი ქუჩაში გამოვა და მოძალადეებს პოლიტიკურ სანაგვეზე მოისვრის, რადგან ხალხს მშვიდობა და განვითარება უნდა და არა ერთი და იგივე პროვოკაციის და დაძაბულობის ყურება წლების განმავლობაში.

**— ოპოზიციას ბნელი ძალა უწოდეთ, ისინი თქვენ გეძახიან ბნელებს.**

— „ნაცმოძრაობა“ და მისი ანასხლეტები ვის რას უწოდებენ, რა მნიშვნელობა აქვს. ესენი არიან მოღალატეები და მათი პოლიტიკური ჯგუფის დიდი ნაწილი ციხეში უნდა იჯდეს სამუდამო სასჯელით.

**— რატომ არ სჯიან მათ?**

— „ქართულ ოცნებას“ არ აქვს გავლენები ევროკავშირსა და ევროსტრუქტურებში, რომ დაითანხმოს ისინი, მიიღონ კანონიერი გადაწყვეტილებები, ის, რასაც ელოდება ქართველი ხალხი, უკვე თითქმის 10 წელია.

ქართველი ხალხი რომ აირჩევს ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც გამოხატავს მათი აბსოლუტური უმრავლესობის ნებას, მათ, ანუ იმ ხელისუფლებას ექნება ლეგიტიმაცია, რომ ეს ხალხი, ერთხელ და საბოლოოდ დასაჯოს ისე, როგორც იმსახურებენ.

**— ანუ 2 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ დაუჭერს მხარს ქართველი ხალხი?**

— რაც უნდა წყენა და გულისტკივილი გვქონდეს „ქართული ოცნების“ მიმართ, მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ უნდა დარჩეს ხელისუფლებაში.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოსახლეობამ დაკარგა, ზოგადად, არჩევნების მიმართ ნდობა. მათი 50% არჩევნებზე სერთოდ არ მიდის.

იმ 50%-ის ბარიერით, რომელსაც, ალბათ, ვიღაცა აღიარებს, ვიღაცა — არა, საბოლოოდ, მმართველ პარტიას, ალბათ, მაინც გაუჭირდება, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი გადაწყდება ისე, როგორც ქართველ ხალხს სურს და ეს 5-6-მა ივლისმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა.

ჩვენი მეგობარი ქვეყნების ელჩები და სხვა „მეგობრები“, მხარს, სავარაუდოდ, ოპოზიციას დაუჭერენ, როგორც ადრე ემხრობოდნენ ლგბტ საზოგადოებას, ეკლესიის და ქვეყნის მტრებს, მაგრამ, საქართველოში, საბედნიეროდ, ყველაფერს წყვეტს ქართველი ხალხი, დედა-ეკლესია და ღმერთი.

ჩვენი მეგობრები ვერ იქნებიან ისინი, რომლებიც ქვეყნის წინააღმდეგ გამოდიან, ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებენ და ერის დაცემას და გარყვნას უჭერენ მხარს.

**— არ გეჩვენებათ, რომ პროვოკაციულ განცხადებებს ახლა თქვენ აკეთებთ?**

— არავითარი პროვოკაცია აქ არ არის.

ჩემი განცხადებები აბსოლუტურად რელევანტური, სწორი და ჩვენი მოსახლეობის ხმაა. საინტერესოა ისიც, რომ ჩემნაირად ფიქრობს პარლამენტარების და მთავრობის დიდი ნაწილი.

თუ გვინდა გადავრჩეთ, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ისტორია, არ დავკარგოთ ღმერთი, რწმენა და გვახსოვდეს: თემურ-ლენგი გადავიტანეთ და გეი-პროპაგანდისტებსაც და ამ საშინელ ლიბერალურ წნეხსაც გავუმკლავდებით.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18





# ჩვენ შეგვიძლია, მიხეილ სააკაშვილს ძეგლის ნაცვლად „ფეჩი“ დავუდგათ!

არა, აქამდე ხომ იძახდა, დავით აღმაშენებელი გახლავართო? მერე ხომ იძახდა, გიორგი სააკაძე ვარ, თავის დროზე გაზულუქებულმა და მოღალატე თავადებმა რომ განდევნესო? ერთ ხანობას იმასაც ამტკიცებდა, სტალინი ჩემმა დიდმა ბებიამ გადაარჩინა, ის რომ არა, საბჭოთა კავშირიც არ იარსებებდაო. 2018-ში სააკაშვილმა ასეთი რაღაცა დაწერა: „მეგობრებთან ერთად ვიყავი კინოში ფილმზე „სტალინის სიკვდილი“. სუპერ მაგარი ფილმია. ჩემი დიდი ბებია თამარა მიყვებოდა, როგორ გადაარჩინა სტალინი მეფის ჟანდარმებისგან. როგორ გაყავდა ის ხელჩაკიდებული მამამისის, მდიდარი მეწარმის სახლიდან“.

მიხეილს არ აწყობს, ყოფილ დიქტატორს შეედაროს, თორემ იტყოდა, იოსებ ჯუღაშვილი გახლავართო. ისე, მაგარი ქართული იცის სააკაშვილმა — კინოში ვიყავი ფილმზეო... სუპერ მაგარი ფილმიაო... გადაარჩინა სტალინი მეფის ჟანდარმებისგანო... წესით ეს ქართულში ოროსანი უნდა ყოფილიყო, საიდან, როგორ და რანაირად მისცეს ოქროს მედალი? აშკარად ჩაწყობილი „პონტია“!

ჰოდა, იმას ვამბობდი... მიხეილმა პირდაპირ აღიარა, სტალინი ჩემ ოჯახთან ვალში იყო, ჩემმა დიდმა ბებიამ იხსნა ჟანდარმებისგანო.

თუ ამის საქციელს დაჰკვირვებიხართ, რომელიმე გმირად გადაკეთების სურვილი არჩევნების წინა დღეებში წამოუვლის ხოლმე. 2012 წლის შემდგომ არც ერთი არჩევნები არ ჩატარებულა, ჯერ ჩამოსვლა არ დაეანონსებინოს, შემდეგ კი ვინმედ არ გარდასახულიყოს.

ამჯერად ვისთან გვაქვს საქმე, ამ არჩევნების წინ ვინად წარმოგვიჩინდა მიხეილ სააკაშვილი? აგერ, თვითონ აცხადებს:

„ამერიკის კონგრესში ჯორჯ ვაშინგტონს მეძახიან, იმის მაგივრად, ძეგლი დამიდგან, დაჭერას მიპირებენ. არა, მე ძეგლს არ ვითხოვ“.

ვფიქრობ, ძეგლს ვერა, მაგრამ „ფეჩს“ აუცილებლად დავუდგამთ... გლდანის საპყრობილეში, თუკი დაგვდებს პატივს და ჩამოვა.

ჩემი აზრით, მიხეილი შეცდომას უშვებს, როცა მსოფლიოს გასაგონად აცხადებს, ამერიკის კონგრესში ჯორჯ ვაშინგტონს მეძახიანო. არა, ჩვენც ვიცით, რომ ის წელიწადში ერთი თვით ჯორჯ ვაშინგტონია, მაგრამ ამის აფიშირება სახიფათოა. რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ერთი, ინდიელების გადაკიდება არ ღირს, ეხლა ეგენი დაიწყებენ, ქართველების ყოფილმა „უმფროსმა“ მიწები წაგვართვა და იქ კორპუსები ააშენაო; მეორეც — ეგენი ცოტანი კი დარჩნენ, მაგრამ მაინც სკალპის აძრობა იციან, სიფრთხილეს თავი არ უნდა ასტკივდეს. თან ამ ინდიელებმა გულში



ჩადება იციან, 200 წელიწადი რომ გავიდეს, არაფერი ავიწყდებათ, ისეთ ადგილებში ჩაგისაფრდებიან, ისე დაგადგებიან თავზე, აზრზე რომ ვერ მოხვალ, ჯიბეზე ხელის გაკვრასაც ვერ მოასწრებ. „ლაგარტკები“ აქვთ, „ლაგარტკის“ უნახავი გახდებით, ერთი წუუუუო, გაიგონებ (შეიძლება ვერც გაიგონო) და „ვსიო“ აღარ ხარ.

ჩემი აზრით, ჯორჯ ვაშინგტონობა არ ღირს, მაგას სჯობს, კოჭლობდე და ჯორჯ ბაირონი იყო... თუმცა აქ ერთი პრობლემაა, სააკაშვილი ლექსებს ვერ იმახსოვრებს, ამ საქმეში სრული დუპლეტია. ისევ ნაპოლეონ ბონოპარტობა ურჩევნია.

* * *

ხუმრობა იქით იყოს და... ჩვენ მართლა შეგვიძლია, მას ძეგლის ნაცვლად „ფეჩი“ დავუდგათ, ოღონდ კამერაში!

იდეის ავტორი
**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# მიხეილ დალგამაშენებლის ნგრევაი საკვირველი

## აი, ეს კაცი, ქვეყნის გამპარტახებელ–დამაქცევარი, ამბობს ქართული სახელმწიფოს დამაარსებელი მე ვარო?!

კარგად გვახსოვს დღევანდელი „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა. თავდაპირველად „ახალგაზრდა რეფორმატორობა“ დაიბრალეს. ქვეყანაში 90-იან წლებში განუკითხაობით დაღლილი მოსახლეობის ნაწილმა იმედის თვალით დაუწყო ცქერა „რეფორმასტორებს“. რაში გამოიხატა მათი რეფორმატორობაო, იკითხავს მავანი. პასუხი მარტივი და მოკლეა — მათი ძალისხმევით პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან გაქრა ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა და პიროვნების მამის სახელი. საზოგადოებამ, სამწუხაროდ, წაუყრუა მომხდარ ფაქტს, მაგრამ სწორედ მაშინ დაიწყო ქვეყნის, სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა.

სწორედ იმ პერიოდს, 90-იანი წლებს უკავშირდება საქართველოს დედა-ეკლესიაზე შეტევების დაწყება, როდესაც აქ, ჩვენს მართლმადიდებელ ქვეყანაში ფართოდ გაუღეს კარი სხვადასხვა რელიგიურ სექტებს. მაგალი-





თისთვის „იეღოვას მოწმეების“ დასახელებაც კმარა. მფარველებიც გამოუჩნდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების სახით — იგივე გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, გია ნოდია, მიხეილ სააკაშვილი და სხვები. ამ საკითხზე დღესაც ბევრს საუბრობს მამა ბასილ მკალავიშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, საუბარი საუბრად რჩება, ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადაგვიდგამს. ისე, იცოცხლეთ, ახლა ვბრაზდებით და გვიკვირს, როგორ ბედავენ ვიღაც არარაობები ჩვენი სარწმუნოების და მღვდელმთავრების აუგად მოხსენიებას. სამწუხაროდ, დასაწყისშივე ვერ შევძელით ბინძური ნიაღვრის შეჩერება. თავისუფლების ინსტიტუტი თავდანვე (და დღესაც) ანტიქრისტიანულ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. ამ სკოლაგამოვილილი ახალგაზრდები ბედავდნენ (და ახლაც ბედავენ) პატრიარქის კრიტიკას ისე, რომ თეოლოგიის ანბანიც არ იციან! ასეთი უსამშობლო, ურწმუნო ახალგაზრდები სჭირდებოდა ახალ სატანისტურ პარტიას — „ნაცმოძრაობას“.

2003 წელს, სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როდესაც ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ სექტის წარმომადგენლები დამკვიდრდნენ, სულ აუშვეს აფრები!

სააკაშვილმა პრეზიდენტის რანგში თავისი „სახელოვანი“ მოღვაწეობა თავისუფალ პრესაზე, მედიაზე შეტევით დაიწყო. ახლა არ დავიწყებთ ჩამოთვლას, თუ რომელი გამოცემები დახურა, ყველას ყველაფერი კარგად გვახსოვს. თუმცა მედიის წინააღმდეგ ბრძოლა არც არასდროს შეუწყვეტია. მართალია, ტრაბახობდა, ქართულ პრესას არ ვკითხულობ და არც ვაქცევ დიდ ყურადღებასო, მაგრამ ჩუმად კითხულობდა კიდეც და ტელევიზიებსაც უმზერდა. ტელეკომპანიებში მხოლოდ მიხოს ერთგული ხალხი მუშაობდა. მედიაზე შეტევა 2007 წელს დააგვირგვინა, როდესაც გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოყარეს ქუჩაში ყველა იქ განთავსებული რედაქციები. რამდენი ღირებული საარქივო მასალა დაკარგეს რედაქციებმა, ვგონებ, დღესაც უცნობია. ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრა „სამშობლოზე“ შტურმის გაგრძელება იყო. ამასთან, ცდილობდა, ჟურნალისტების დაშინებას — ყველაფერს მე ვწყვეტ, რომელი გაზეთი უნდა გამოდიოდეს და რომელი არაო. რეპრესიების მიუხედავად, ყველა გაზეთის და ჟურნალისტის დამორჩილება მაინც ვერ შეძლო მიხუამ.

მერე დავით აღმაშენებლის ძეგლს მიადგნენ, ქალაქიდან გაიტანეს და იქითკენ უქნეს პირი, საიდანაც მოვიდა.

„ნაცმოძრაობის“ ლიდერები ქვეყნის აღმშენებლობასაც იბრალებენ, რაც ძნელი დასაჯერებელია. ჯერ კიდევ 2004 წელს დაიწყეს აეროპორტში მისასვლელი გზის დაგება. განაახლეს მხოლოდ ტრასის ცენტრალური ნაწილი, რომელზეც მიხო და მთავრობის, ოფიციალური დელეგაციების ავტომობილები მოძრაობდნენ. დარჩენილი გზის ორი ზოლი და ტროტუარები ისევ ისე დატოვეს. ახლადდაგებული ასფალტი მალევე დასკდა, ზოგგან ამოიბურცა... მოკლედ, ხელახლა გახდა დასაგები. ამას ეძახიან აღმშენებლობას? ძველი, ავარიული შენობების რეკონსტრუქცია-რემონტის ნაცვლად შეღებეს, როგორც მეტრო „ავლაბრის“ მოპირდაპირე მხარეს გააკეთეს. საღებავმა რომ ვერ უშველა, მერე აფიცრეს. ასეთი ვითარება იყო მთელ თბილისში — ქალაქი მყვირალა ფერებში შეღებეს.

სამედიცინო სფერო რიგითი მოქალაქეებისთვის ნაცბანდის ზეობისას მიუწვდომელი გახდა. ყველა კლინიკა-საავადმყოფო ბითუმად გაყიდეს. მათი უმრავლესობა ისეთმა ხალხმა შეიძინა, მედიცინასთან სათოფე მანძილზეც რომ არ არიან ახლოს. ამის გარდა, ყველანაირი სამედიცინო მომსახურება ფასიანი გახდა. გვახსოვს, სასწრაფო დახმარების გამოძახებისას დისპეტჩერი მისამართის ნაცვლად კითხულობდა, გადასახდელი თანხდა თუ ჰქონდა პაციენტს. ადამიანი ექიმთან მისასალმებლადაც რომ შესულიყო, ჯერ 20–25 ლარი უნდა გადაეხადა.

არც ბუნებას სწყალობდა ნაცბანდა. ბაღებში, სკვერებში, მწვანე ნარგავების გაჩეხვის ხარჯზე აშენეს საცხოვრებელი სახლები, პოლიციის შენობები. მაგალითები? კი, ბატონო. ყოფილი კიკვიძის პარკში წამოჭიმეს პოლიციის შენობა, ასევე მეტრო „წერეთელთან“, მოსკოვის გამზირზე პოლიციის ორი შენობა. პოლიციას რომ სჭირდება ღირსეული სამუშაო ადგილი, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ არა 60-წლიანი ნარგავების გაჩეხვის ხარჯზე. აღარაფერს ვამბობთ ვაკის პარკსა და სხვა ადგილებზე. რუსთაველის, აღმაშენებლის გამზირებზე, კოლმეურნეობის მოედანზე ჭადრები გაჩეხეს. თავსაც იწონებდნენ, საქმეს ვაკეთებთო.

გემახსოვრებათ ნიდერლანდებიდან შემოყვანილი ავტობუსები, რომლებსაც ხალხმა „სანდრაბუსები“ შეარქვა. უკვე ამორტიზებული ტრანსპორტი ნაცბანდამ ახლების ფასად შეიძინაო, ამბობდნენ მძღოლები. მალე ნიდერლანდური მანქანები უკრაინული ყვითელი ავტობუსებით ჩაანაცვლეს. მცირე ზომის ავტობუსები ყველა მსურველს ვერ იტევდა, რის გამოც საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობა გაუსაძლისი იყო. სამარშრუტო ტაქსებიც შემოიყვანა ნაცბანდამ. თურქეთში გაარემონტეს, შეღებეს და ახლებად შემოგვასაღესო, ამასაც მძღოლები ამბობდნენ.

სპორტული ბაზებითაც ამაყობდა ნაცბანდა, რომლებიც ვითომდა მათი აშენებული იყო. ახლა არ შევუდგებით დაწვრილებით საუბარს, რომელი ობიექტი ვინ და სად ააშენა. ვნახოთ, რა დაკარგა ქართულმა სპორტმა. იპოდრომი თბილისში ისე გაანადგურეს, სამაგიერო ობიექტის დაგეგმვა აზრად არავის მოსვლია. დაზარალდა საცხენოსნო სპორტი, რისი გამოსწორებაც ახლა ხელისუფლებას უხდება. მოსახლეობამ დაკარგა სუფთა ჰაერით სუნთქვის საშუალება. პრობლემა ყველასთვის კარგად არის ცნობილი, ახლა, უბრალოდ, შეგახსენებ თ. გავიხსენოთ, რა ბედი ეწია სანაპიროზე მდებარე ჩოგბურთის კორტებს, ველოტრეკს. ჩუბინაშვილისა და ნინოშვილის ქუჩებს შორის სპორტული კომპლექსი მრავალფუნქციური გახლდათ. მართალია, მოძველებული იყო, რემონტსაც საჭიროებდა, მაგრამ ნაცბანდამ პრობლემა კომპლექსის გაყიდვით მოაგვარა, სადაც ჯერ ბაზრობის გაკეთება მოიწადინეს, ახლა იქ ავტომობილების მართვას ასწავლიან. ნაცბანდა თავს იმართლებს, სამაგიერო ხომ ავაშენეთო. მათ მიერ გაკეთებული მარტივი ტიპის მოედნები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვისაც კი პატარაა.

სპორტის აკადემიასთან, შეიძლება თამამად ვთქვათ, მთელი სპორტული ქალაქი იყო. ყველა სახეობას თავისი დარბაზი ჰქონდა... ახლა გული ეტკინება ადამიანს განადგურებული ბაზების დანახვისას.



ნაცბანდის ერთ-ერთი, ვიტყოდი, მთავარი დანაშაული „ლაღიძის წყლების“ მაღაზიის გაუქმებაა რუსთაველის პროსპექტზე. შეგახსენებთ, მიტროფანე ლაღიძემ უშუალოდ აკაკი წერეთლის თხოვნის შემდეგ გახსნა მაღაზია თბილისში. იდეის განხორციელებაში მას დაეხმარნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე... ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ქართველი ადამიანი გაასხვისებდა „ლაღიძის წყლებს“ და იქ ტანსაცმლის მაღაზიას გახსნიდნენ. თუმცა ნაცბანდის წევრები, სულით არ არიან ქართველები, უბრალოდ, გვარ-სახელები აქვთ ქართული.

შეიძლება გულუბრყვილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ მინდა ვკითხო იმ ამომრჩეველს, ვინც ნაცბანდის და მისი სატელიტებისთვის აპირებს მხარდაჭერას — რატომ გინდათ ქვეყნის დამაქცევრების ხელისუფლებაში დაბრუნება? იქნებ, ფიქრობთ, რომ სააკაშვილი და მისი ხროვა აღარ გაასხვისებებნ ისტორიულ, სტრატეგიულ ობიექტებს? იქნებ, ხალხის კეთილდღეობაზე აპირებენ ზრუნვას? თუ ასე ფიქრობთ, გეტყვით, თქვენ ძალიან, ძალიან ცდებით! ისინი შავბნელი საქმეების კეთებას არ მოიშლიან და რაც გვაქვს შემორჩენილი, იმასაც დაგვაკარგვინებენ. წინასწარმეტყველობაზე პრეტენზია არ გვაქვს, არც ვინმეს ვაშინებთ, მხოლოდ მათი ბუნებიდან გამომდინარე ვაკეთებთ დასკვნებს. საერთოდაც, ნამუსიანი პოლიტიკური პარტია, ფაქტობრივად, ჩადენილი დანაშაულების შემდეგ უკანმოუხედავად წავიდოდა ასპარეზიდან. თუმცა ამათ სინდის-ნამუსი არც არასოდეს ჰქონიათ, თუ რაიმე გააჩნდათ, ისიც გაყიდეს. ქვეყანა და, მით უფრო, ხალხი, არც ადრე ანაღვლებდათ, არც ახლა შეიწუხებენ ჩვენზე ზრუნვით თავს.

გია ბურდული
551 71 27 07

# „ნაცმოძრაობავ“, შენ „ქართული ოცნება“ რომ არ გიცავდეს, ჩვენგან, შენს მიერ მოკლულებისგან, სულ სხვა განაჩენი გელის და გაფრთხილდი!“

ცხრა წელიწადია პროვოკაციების, შანტაჟის, ბინძური ცილისწამების, ფონზე უწევს „ქართულ ოცნებას“ ქვეყნის მართვა. მიხეილ დაუბრუნებელი დღემდე აანონსებს, რომ თეთრ რაშზე ამხედრებული გადმოლახავს საზღვარს და ქვეყანას „ნაცსამოთხეში“ დააბრუნებს. თვრამეტი წლის წინანდელი „ტრიუმფით“ დაიპყრობს საქართველოს და რაც გასანადგურებელი დარჩა იმასაც გაანადგურებს და ორი გვამის ნაცვლად ათიათასობით გვამს მოითხოვს.

მართალია, მიხეილ ცრუ და მისი ბანდის ყველა წევრი მატერიალურად საშვილიშვილოდ უზრუნველყოფილები არიან, მაგრამ მეტი მოთხოვნილების და ძალაუფლების დაბრუნების დიდმა სურვილმა უკურნებელ გიჟებს დაამსგავსა. ყველაფერს კადრულობენ, ყველაფერზე მიდიან და ბრჭყალების გამოჩენასაც დიდი ხანია არ ერიდებიან. ყველაფერ უბედურებასთან ერთად ამნეზიაც დამართნიათ და უჭირთ „თანამებრძოლების“ გახსენება. ბანდის ერთეულ წევრებს გვიან გაუნათდათ გონება და მეგის ქარდავა „დამნაშავედ ცნეს“...

გუბაზ სანიკიძის განცხადებით,“ ერთადერთი პოლიტიკური ფიგურა, ვისაც შეუძლია ხალხის მასები მოძრაობაში მოიყვანოს, ეს არის მიხეილ სააკაშვილი“. ვფიქრობ, ეს სიტყვები გუბაზმა მელიას გასაბითურებლად წარმოთქვა. თუმცა, სააკაშვილის და მელიას ეკრანზე გამოჩენას მართლაც მოყავს ხალხი მოძრაობაში. რადგან, ხელების ფეხების, თავის ქნევით აგინებენ და ლანძღავენ უშვერი სიტყვებით მათ და შიგადაშიგ „ოცნებასაც“ მიაყოლებენ ამ ორი გარეწრის დაუსჯელობის გამო...

მელია გააფრთებული, წესების გარეშე იბრძვის მერობის სავარძლისთვის. რადგან ზუსტად იცის, რომ მიშა მას სხვა „ბარტყით“ ჩაანაცვლებს და უპრობლემოდ გაწირავს. ისიც იცის, რომ თბილისელებს ყველაფერი ზედმიწევნით ახსოვთ და არ დაუშვებენ იმ ჯოჯოხეთში დაბრუნებას რომელშიც თავად „ლივლივებდა“. ამომრჩევლების დასაბოლებლად და სამი ოქტობრიდან სლოგანის, „გაგვიყალბეს“ გასამაგრებლად ხშირად ამბობს, რომ ოპოზიცია არჩევნებს აუცილებლად მოიგებს.“

ხალხნო, ჩვენ გვაქვს შანსი, რომ 2 ოქტომბერს უბრალოდ რიგით კენჭისყრაში, არჩევნებში, ან რეფერენდუმში კი არ უნდა მოვიგოთ და აუცილებლად მოვიგებთ – ისტორია უნდა დავწეროთ 2 ოქტობერს. ამ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე. ზუსტად ვიცი, მთაწმინდის რაიონში, შუაგულ ვაკეში, საბურთალოზე, ვისაც არ ეზარება დადის იარაღით. ნახევარზე მეტი არის გადმობირებული სუსის, ან მჭიდროდ დაკავშირებული. ნამდვილად არ მინდა იმ ქალაქში ვიცხოვრო, სადაც უკვე ამ ასაკში უნდა მეშინოდეს ჩემი 6 წლის ბავშვის უსაფრთხოების. ვიცი, რომ ბევრი მამა და დედა ახლა მისმენს და ესმით ჩემი, რადგან მე ციდან ჩამოფრენილი არა ვარ.






ჭირს წაუღია ყველა პოლიტიკური პარტია, 2 ოქტომბერს ან ქართველი ხალხი იმარჯვებს და ვწერთ ისტორიას, ან გომელაურები, კალაძეები, ღარიბაშვილები და კობახიძეები გვეტყვიან, რომ ჩვენ არ ვყოფილვართ ბრძოლისუნარიანი ხალხი“.

რა სამწუხაროა, ზონდერად ცნობილ თავხედ მელიას შვილის უსაფრთხოება აწუხებს. არც კი ახსოვს რამდენი უდანაშაულო, საჯიშე ბიჭები ჩახოცეს მისმა „თანამებრძოლებმა“. რამდენ ბიზნესმენს „აახიეს“ ქონება და რამდენ ადამიანს გაუმწარეს ცხოვრება. იარაღიანი ხალხი ან პოლიციელები იქნებიან და ან მოჩვენებები დაეწყო ნიკანორს...

23 სექტემბერს, ნიკა მელიას „საჩვენებელი ბრძოლა“ ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფისთან სამი ოქტომბრის ომის მოთელვა გახლდათ. აღნიშნულ ხულიგნობასთან დაკავშირებით კახი კალაძემ განაცხადა-„ეს არის ჩვეულებრივი კრიმინალი, სულით კრიმინალია და სამწუხაროა ის, რომ კონკრეტული ელჩების ჩართულობით კრიმინალი დღეს გარეთ არის“. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღშფოთებას არ მალავდნენ სოციალური ქსელის მომხმარებლები. განიხილებოდა სცენარები რომელსაც სამი ოქტომბრის შემდგომ ვიხილავთ. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ოპოზიციას დაქვემდებარებული ეგრედ წოდებული ჟურნალისტებიც...



აი რას წერდა ერთ-ერთი სოციალური ქსელის მომხმარებელი „ამ ოპოზიციის და ოპოზიციას დაქვემდებარებული ჟურნალისტების გამკვირვებია, არიქა მთავრობა გვდევნის, გვირტყავს და დედას გვაგინებსო!ახლა სიმართლე! სუ; რომ ქართველი ხალხის სახელით მელაპარაკებით, ეს ის ქართველი ხალხია, რომლებიც ველარ იტანენ თქვენს უმსგავსობას და გძუყნიან! ერთ ადგილზე აკოცეთ მთავრობას და ოცნებას! ეგენი რომ არა, აზრზე ხართ რას გადაგჯეგავდა ხალხი? აზრზე ხართ რატომაა ხალხი განაწყენებული ოცნებაზე? 2012-შივე რომ არ დაგძუყნეს ისე, როგორც ამას თქვენ აკეთებდით და დღესაც რომ კიდევ უწმინდური სული გიდგათ დამპალ სხეულებში! სიმართლე თუ გინდათ ესაა! პატივცემულ ევროკავშირის ელჩს! – ნიკანორ მელია ის გვამია, ვისი ციხიდან განთავისუფლებაც თქვენ მოითხოვეთ კატეგორიულად! ახლა კი თქვენი თვალით დაინახეთ, თქვენს თვალწინ რაც ჩაიდინა! თქვენი აღშფოთება კი არ მინახავს! ეს რომ ვინმეს ქართული ოცნებიდან ჩაედინა, უკვე ამომხტრები იქნებოდით საცვლებიდან! ახლა კითხვა მაქვს! ესაა თქვენი მხარდაჭერა და მეგობრობა? ხალხი ამას ყველაფერს უზუსტესად აღიქვავს და იმიტომაცაა ამდენი ნეგატივი თქვენზე!ისიც მინდა გითხრათ რომ ახლა ზვიადის დრო არაა, რომელიც თქვენ დაამხეთ და იქიდან დავდივართ ამ წრეზე და ძლივს ვცდილობთ გარღვევას!დღეს ხალხი უფრო გამოცდილი და სასწაულად ჭკვიანია! ისწავლა თავის და თქვენს შეცდომებზე! რატომ აკეთებთ ამას და რატომ დგახართ სიცრუის მხარეს? რატომ თამაშობთ რუსების თამაშს?“



კომენტარებში ნახსენები იყო დიიიიიდი პოლიტიკოსი, მკვლელი, ჟორიკა რურუაც რომელიც სწორედ „დასავლელი პარტნიორების“ ზედემოკრატიული პოლიტიკოსების წყალობით გათავისუფლდა. თუმცა, სავარაუდოდ ჭკვიანი მრჩევლის წყალობით პოლიტიკას „მოარიდეს“. ეჰ, არადა როგორ ჭირდება ნაცგამარჯვებას მისი „მჭერმეტყველება“, უფრო ზუსტად ორ ოქტომბერს, ღამე მის მიერ მძიმე არტილერიით განათებული ქალაქიაი, მათი გამარჯვების უცვლელი, უტყუარი ფორმულა...

მელია „მოიკითხა“ თამთა მერელიშვილმა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერად კურთხეული მინი მიშა ნიკანორ მელია, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს პირდაპირ ევროკავშირის წარმომადგენლობასთან დაესხა თავს. ის, ირაკლი კობახიძეს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და მის ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აპირებდა, მაგრამ ხელი ჟურნალისტებმა შეუშალეს. კიდევ ერთხელ ვნახეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური თამაშის წესი ფიზიკურ დაპირისპირებასა და გვამებზე გადის. საარჩევნოდ საუკეთესო იქნება რეალური მსხვერპლიც, რათა 2 ოქტომბრის წაგებული არჩევნები 3 ოქტომბრის ბართლომეს ღამედ აქციონ... ნიკანორ მელია, ეს პოლიტიკურად ტლუ ზონდერი მეგის ქარდავას გაგრძელებაა უკვე 2021 წლის საქართველოში!“.

სოციალურ ქსელში, „გაბლატავებულ“ ნაცებს მერაბ შათირიშვილმა „შეახსენა“ – „შენ მე 7 ნოემბერს გაზით მომწამლე, ჩემს თვალწინ მოკალი გია მაისაშვილი და კობა დავითაშვილი, 26 მაისის ღამეს დუბინკები მირტყი თავში და მაღაზიის თავზე შემომაგდე, აპრილის აქციების დროს კარვიდან გიენას მეთოდით მიპარავდი და სიბნელეში ცემით მისწორდებოდი, მომკალი კორტებთან, დიდუბის პანთეონთან სიცოცხლეს გამომასალმე, მერე მომკალი რუსთველის მეტროს მიმდებარედ და სასტიკად გამისწორდი კოჯრის ტყეში, სისხლის ტბორში მაცურავე სამგორში და რამდენი ერთი მკვლელობა და ავაზაკობა შეგახსენო, და შენ ჩამოირეცხე ჩემი სისხლი?.. მოლაშვილსა და თეთრაძეს წამებით ამოხადე სული და შენ ბედავ ხელისუფლებაში დაბრუნებას?.. და შენ გსურს დაგვცინო და ყოველგვარ კანონზომიერებას მიაფურთხო?. არა, ეს არ გამოვა, შენ, „ქართული ოცნება“ რომ არ გიცავდეს, ჩვენგან, „მოკლულებისგან“ სულ სხვა განაჩენი გელის და გაფრთხილდი!..“

ნაცების სულისკვეთება“ ცნობილია, მაგრამ შეფარულ, გადაცმულ, გადასხვაფერებულ ნაცმადიდებელი გახარიას განცხადებამ, რომ ბიძინა ივანიშვილმა მისი ნდობა ვერ თუ არ გაამართლა სოციალური ქსელი წალეკა. მეტის ღირსი არაა „თვალპაჭუნა“ და ამიტომ ერთ კომენტარს შემოგთავაზებთ „კაცმა, ჩამოიყვანა, ქვეყნის ნომერ პირველ პირად აქცია – ცამოწმენდილზე გადადგა და აცხადებს ივანიშვილმა არ გამიმართლა ნდობაო; ისეთს ვისმენ ხანდახან რომ ყურს ვისინჯავ ხოლმე – ხომ არ მიმაჭკნა თქო ...ისე კი ბიძინას- პრემიერობაზე ერთი ორი მილიარდიც რომ დაედო ზემოდან – გაამართლებდა ნეტავ?! ვერ მოიფიქრა თორემ გახარიას ნდობას ცოცხალი თავით არ დაკარგავდა სირცხვილია... კაცები რას ფიქრობენ ნეტავ, აი კაცურში რომ ფეხზეწამომდგრები „კოჩანიერი კოჩის“ სადღეგრძელოს სვამენ – ის კაცები“.

დიახ, ბრძოლამ ძალაუფლების სადავეების ხელში ჩასაგებად მასხარებად აქცია „პოლიტიკოსები“. მათი „მასხრობა“ ერთმა მაგარმა კაცმა ასე შეაფასა „შალიკო ლექსს ამბობს, ხაზარაძე მღერის, გახარია ალბათ იცეკვებს, მელია როგორც ყოველთვის „ვოვაჩკაა“... ამათ საარჩევნო კამპანიაა აქვთ გაჩაღებული თუ საახალწლო ზეიმისთვის მზადება?“ კარგი კითხვაა ჩემმა მზემ. არადა, დედაქალაქის მერობის ღირსეული კანდიდატი სოციალურ ქსელში გამოკითხვით, პრივატული საუბრებით, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის, ნაცნობ-უცნობების აზრით მხოლოდ კახი კალაძეა და შესაბამისად გაიმარჯვებს კიდეც.

მელია, გახარია და მათი „თანამებრძოლები“ სხვა სერიებშიც მუდამ ოპოზიციაში იქნებიან...

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# ჩაგუნა

## ჩაგუ მურცუ, მოსოფუნც

— ჩაგუ მურსუ ამუსერი,
სასინჯოთ ერჩქინელი,
ლიდაშ საქომონჯოთ მაფ,
ფორილი დო მერჩქინელი.

— იმუ დღაქ სი დუგაჭვი,
ჩაგუ რდას ჩქიმი ტოლი,
თაში მუქ რე გაგაშერუ,
მუქი დაგიცვერუ თოლი?!

— მეჯინელო ტარიელი,
არამხუტუშ ხე დო ტანი,
ჩხეშა ფართო, წელი ჭიფე,
ერთი-მორთუ სკვერიცალი.

— სქანიანემს გაურიგი,
ჩაგუ რენი სქანიცალი,
სით ოხერი, თით ოხერი,
ჟირიხოლო გაძიცალი.

— ე, ბოშეფი, ჩაგუ მურსუ,
ჩაგუ მურს, მოსოფუნს,
იშა-აშო ქიდინწყით,
მხიარულო შეფხადათ,
ლიდას უხარენსი გურს.

ჩაგუ მურცუ, მოსოფუნც,
ჩაგუ, ჩაგუ, ჩაგუ, ჩაგუ,
ჩაგუნია ჩაგუნა,
ვო სარაიდა, ვოსარაიდა,
ჩაგუნია, ჩაგუნა, ნა.









— ჩაგუ მოდის ამ ღამეს,
სასიძოდ არის დაბადებული,
ლიდას საქმროდ მყავს
მოძიებული და დანიშნული.

— ის დღე დაიწვას.
ჩაგუ იყოს ჩემი ტოლი.
ასე რამ გამოგაშტერა,
და რამ დაგიბრმავა თვალი?

— შესახედად ტარიელი,
არამხუტუს ხელ-ფეხი და ტანი აქვს.
მხრები ფართო, წელი წვრილი,
შველივით სხარტი და მოქნილია.

— შენიანებს გაურიგე,
ჩაგუ შენნაირია.
შენც ოხერი, ისიც ოხერი,
ორივე დასაცინი ხართ.

— ე, ბიჭებო, ჩაგუ მოდის,
ჩაგუ მოდის, მოანგრევს ყველაფერს.
აქეთ-იქით დაეწყვეთ,
მხიარულად შევხვდეთ,
ლიდას უხარებს გულს.

ჩაგუ მოდის, მოანგრევს ყველაფერს,
ჩაგუ, ჩაგუ, ჩაგუ, ჩაგუ.
ჩაგუნია ჩაგუნა,
ვო სარაიდა, ვო სარაიდა,
ჩაგუნია, ჩაგუნია, ნა...





„ნაცმოძრაობის" და სააკაშვილის მხარდამჭერთა მიმართ, შეიძლება, ზოგჯერ, სიბრალულის გრძნობამ შეგიპყროს, რაც არ უნდა იყოს, მაინც ქართველები არიან და გული გეტკინება, ეს პოლიტაფერისტი, ეს პოლიტიკური თვალთმაქცი, ეს მართლა „ჩაგუნა" მიხეილ საკაშვილი რომ ჰქვია, ადამიანებს ასე ურცხვად და უტიფრად რომ დასცინის, ასე რომ ამასხარავებს, ასე რომ აშაყირებს და აღადავებს...

ორშაბათს, საღამოს, მიშა-„ჩაგუნამ" ახალი სატყუარა გადმოუგდო თავის ფანებს — 2 ოქტომბერს, ღამის 11 საათზე, ჩამოვფრინდები საქართველოში კიევი-თბილისის რეისით. აგერ, ბატონო, თვითმფრინავის ბილეთი და თუ არ გჯერათ, თქვენი თვალით ნახეთო.

რა თქმა უნდა, „ჩაგუნა" არც თვითმფრინავით ჩამოვა, არც — მატარებლით და არც — ფაეტონით. ეს ბილეთის ფანდი კი იმისთვის სჭირდებამ რომ თავის მხარდამჭერებს მოტივაცია გაუჩინოს და ცხვრის ფარასავით საარჩევნო უბნებთან მირეკოს — ჩვენი „ჩაგუნა" ჩამოდის და არიქა, არ შევრცხვეთ, რაც შეიძლება მეტი ხმა დავახვედროთო.

„ჩამოსვლის" დრო, 11 საათი, სპეციალურად არის შერჩეული — 11 საათზე, ფაქტობრივად, უკვე ცნობილი იქნება, რა შედეგებით დამთავრდა არჩევნები და ეს ვირეშმაკა „ჩაგუნიაც" ამის მიხედვით მოქმედებს.

მოდი და ამის შემდეგ მართლაც არ შეგეცოდოს სააკაშვილის მიერ დაზომბირებული ეს უბედური ადამიანები, გონდაკარგულ ბრბოდ რომ აქცია მათმა ბელადმა.

რომ დაფიქრდე, დიდი ეროვნული ტრაგედიაა, ერის ნაწილი სიგიჟის და შეშლილობის ზღვარს რომ უახლოვდება და არავინ იცის, როგორ გადაუბრუნდება ტვინი და რა საშინებებს დაატრიალებს.

წყეულიმც იყავ, სააკაშვილო, შე სატანავ, ეს ქვეყანა საგიჟედ რომ გადააქციე, სადაც ნორმალური ადამიანებისთვის ცხოვრება სახიფათო და საშიში გახდა.

— სააკაშვილი ვერ ჩამოვა, მაგრამ რომც ჩამოვიდეს, იმ წამსვე ციხეში მივაბრძნებთო, — აცხადებს ხელისუფლება.

ცდებით, თქვენ, პატივცემულო ხელისუფლებავ, ციხეში რა უნდა სააკაშვილს, მისი ადგილი საგიჟეთშია, თქვენ კი ციხეში მიგყავთ?









# ჭიები ნიღბებში და ჩიპები ვაქცინაში – ვინ ავრცელებს კორონავირუსზე ყალბ ინფორმაციას და რატომ დაუპირისპირდა ბაიდენი „ფეისბუქს“



ჩინეთის პატარა პროვინციაში აღმოჩენილმა ვირუსმა მსოფლიო დღის წესრიგი მთლიანად შეცვალა და ადამიანების ცხოვრების წესი თავდაყირა დააყენა. ვირუსის ფართომასშტაბიან გავრცელებას მის შესახებ სხვადასხვა კონსპირაციული თეორიებისა და ყალბი ამბების უზარმაზარი ნაკადი მოჰყვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ადამიანები ყალბი და ნამდვილი ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევას ვეღარ ახერხებენ.

გვჩიპავს თუ არა ბილ გეიტსი, ბუდობენ თუ არა პირბადეში წვრილი ჭიები, დაიღუპებიან თუ არა ორი წლის შემდეგ ვაქცინირებული ადამიანები? – როგორ გავარჩიოთ ყალბი სამედიცინო ინფორმაცია ნამდვილისგან და რა გავაკეთოთ მისი გავრცელების შესაჩერებლად?

ხშირად კორონავირუსის შესახებ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული სკანდალური სიახლეები მოსახლეობაში პანიკას იწვევს.

მაგალითად, მარტის შუა რიცხვებში ჩეჩნეთსა და დაღესტანში **WhatsApp**-ის ჯგუფებში გავრცელდა აუდიოჩანაწერი, რომელშიც მამაკაცი მოსახლეობას პროდუქტების მომარაგებისკენ მოუწოდებდა. უცნობ მამაკაცში ვიღაცამ ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ამოიცნო და პანიკში ჩავარდნილი ხალხი ბაზრებს და მაღაზიებს მიაწყდა.

ალბათ, როგორც ბევრი სხვა, თქვენც ცდილობთ ოჯახის წევრებს და მეგობრებს ეპიდემიის შესახებ უახლესი ინფორმაცია მიაწოდოთ, ამიტომ, როგორც კი სოციალურ ქსელებში სკანდალურ ინფორმაციას წააწყდებით, ახლობელ ადამიანებს უზიარებთ. სოციალური მედიის ექსპერტები გვირჩევენ, რომ სანამ ამას გავაკეთებთ, შევჩერდეთ და დავფიქრდეთ – ნამდვილად სანდოა თუ არა ინფორმაცია, რომელსაც გვთავაზობენ?

**WhatsApp**-ზე საინფორმაციო თავდასხმები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ხდება. ავსტრიაში გავრცელდა აუდიოჩანაწერი, რომელშიც ვინმე პაულინა აღელვებული ყვებოდა, რომ საავადმყოფოშია და ხედავს, რომ კორონავირუსის მძიმე სიმპტომების მქონე პაციენტები იბუპროფენს იღებენ. ძალიან მალე გაირკვა, რომ ეს ყალბი ინფორმაცია იყო, მაგრამ მანამდე ჩანაწერი ასიათასობით ადამიანმა გაიზიარა და გადააგზავნა. სოციალური ქსელის ექსპერტები გვირჩევენ კარგად დავფიქრდეთ, სანამ კორონავირუსთან დაკავშირებულ ინფორმაციას ვენდობით, რადგან ამ ტიპის ყალბი ინფორმაცია განსაკუთრებული საფრთხის შემცველია.

სანამ „სკანდალურ სიახლეს“ ახლობელ ადამიანს გადაუგზავნით, საკუთარ თავს ჰკითხეთ – საიდან მოდის ეს ინფორმაცია?

ზემოთ აღწერილ ორივე შემთხვევაში ინფორმაციის წყარო დაუდგენელია, რაც ყალბი ინფორმაციისთვის დამახასიათებელია. დაიმახსოვრეთ, რომ ინფორმაცია, რომლის წყარო „მეგობრის მეგობარი“ ან „კოლეგის მეზობელია“, თითქმის ყოველთვის გამოგონილია.

მარტის დასაწყისში ფეისბუქზე განსაკუთრებით პოპულარული იყო პოსტი, რომელიც პირველად 84 წლის ინგლისელის გვერდზე გამოჩნდა და კოვიდთან ბრძოლის „ხალხურ მეთოდებზე“ გვიამბობდა. მოგვიანებით, ეს პოსტი ინსტაგრამზე განელმა ტელეწამყვანმა გააზიარა, იქიდან კი ჯერ ინდოეთის კათოლიკურ ჯგუფებში და შემდეგ **WhatsApp** და თწიტტერ-ში გავრცელდა. იგივე მოხდა რამდენიმე თვის წინ შეერთებულ შტატებში – ამერიკელებმა მიიღეს პანიკური შეტყობინებები და ინფორმაციის წყარო აქაც „**FBI** ან გაეროში მომუშავე მეგობრის მეგობარია“.

გახსოვდეთ, ექსპერტები შეიძლება ცდებოდნენ, მაგრამ მათი ინფორმაცია ბევრად უფრო საიმედოა, ვიდრე ანონიმური მეგობრის ან მეზობლის.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, ინფოდემია ონლაინ და ოფლაინ ინფორმაციის მოზღვავებაა, რომელიც ცრუ ცნობების განზრახ გავრცელების მცდელობებს მოიცავს და მიზნად საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეაგირების შესუსტებას და ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდების



ალტერნატიული დღის წესრიგის ხელშეწყობას ისახავს. მცდარი ინფორმაცია და დეზინფორმაცია შესაძლოა ადამიანების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისთვის საზიანო აღმოჩნდეს: გააღრმავოს სტიგმატიზება, ხელი შეუშალოს გამოჯანმრთელების პროცესს, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზომების უგულებელყოფას და ამით შეასუსტოს მათი ქმედითობა და ქვეყნის უნარი, გაუმკლავდეს პანდემიას.

ჯანმო აღნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორიაში პირველად, პანდემიის დროს სოციალური ქსელები ადამიანების ინფორმირებისა და ამავე დროს, დეზინფორმირებისთვის გამოიყენება.

რუსეთის ხალხური მეურნეობისა და საჯარო მმართველობის აკადემიის ანთროპოლოგებმა სოციალურ ქსელებში 2020 წლის დასაწყისიდან 2021 წლის მაისამდე გავრცელებული244 ყალბი ინფორმაციის სია შეადგინეს და დაადგინეს მათი გავრცელების დინამიკა.

კვლევის დროს შეისწავლეს სხვადასხვა სოციალური ქსელის (**Facebook, VKontakte, Twitter, Odnoklassniki**) 6 მილიონზე მეტი პოსტი და აღმოჩნდა, რომ ინფოდემია წინ უსწრებს ეპიდემიას: „ყალბი პოსტების უმეტესობა თებერვლის შუა რიცხვებში გამოჩნდა, როდესაც ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო,“ – განაცხადეს მკვლევარებმა.

2020–2021 წლების ზამთრის სეზონზე ყველაზე გავრცელებული ყალბი ინფორმაციები ვაქცინაციის საფრთხეებს უკავშირდებოდა. სპეციალისტების აზრით, ამის მიზეზი ჭორებისთვის ნაყოფიერი ნიადაგის არსებობა გახდა – ვაქცინაციის საფრთხეებზე ადამიანები კორონავირუსის გამოჩენამდეც საუბრობდნენ, კორონავირუსის კონტექსტში ეს ჭორები უბრალოდ განახლდა და ოდნავ შეიცვალა.

### კორონავირუსთან დაკავშირებული ყალბი ამბები

კვლევებიდან ირკვევა, რომ ახალი კორონავირუსის გამოჩენის შემდეგ ადამიანები პირველ რიგში, თვითმკურნალობით დაინტერესდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ცნობით, ჯერ არ არსებობს კორონავირუსის სამკურნალო-საპრევენციო პირდაპირი მოქმედების პრეპარატი ან ვაქცინა, კორონავირუსის პანდემიის გავრ-



ცელებიდან დღემდე სხვადასხვა მედიასაშუალებებში, სოციალურ ქსელში, ონლაინ გამოცემებსა თუ კლიქბაიტ საიტებზე ვირუსულად ვრცელდება კოვიდ-19-ის სამკურნალო და საპრევენციო მედიკამენტების დასახელებები.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ექიმთან კონტაქტის დროს, კითხვების უმეტესობა არბიდოლსა და აზითრომიცინს ეხება“ – აღნიშნეს მკვლევარებმა.

მოსახლეობას განსაკუთრებით მოეწონა სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კორონავირუსის დამარცხება არაყის ორთქლის შესუნთქვით და ჯანჯაფილის დალევით შეიძლება.

საკმაოდ პოპულარულია მითი იმასთან დაკავშირებით, რომ ბილ გეითსი, რომელიც მსოფლიოს დაპყრობას გეგმავს თურმე, ვაქცინაციის დახმარებით ადამიანების „დაჩიპვა“ გადაწყვიტა, რომ ნიღბებში შავი ჭიები ცხოვრობენ და სასუნთქი გზების გავლით, ტვინამდე აღწევენ.

ივლისის თვეში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სოციალური ქსელი **Facebook**-ი მკაცრად გააკრიტიკა იმის გამო, რომ არაფერს აკეთებს კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაციის დასაძლევად. ჟურნალისტებმა ამერიკის პრეზიდენტს ჰკითხეს, რას ფიქრობს პანდემიის მიმდინარეობისას ცრუ ინფორმაციის გავრცელებასა და ამ თვალსაზრისით **Facebook**-ის როლზე. „ისინი ადამიანებს კლავენ“ უპასუხა ბაიდენმა. მიმდინარე წლის ივლისის მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში კორონავირუსის 33,000-ზე მეტი ახალი შემთხვევა გამოვლინდა, ხოლო შვიდდღიანი საშუალო მაჩვენებელი წინა კვირებთან შედარებით 70%-ით



გაიზარდა. ამასთან საავადმყოფოებში პაციენტების რიცხვი 36%-ით, ხოლო სიკვდილიანობა – 26%-ით გაიზარდა.

კორონავირუსთან ბრძოლის კოორდინატორი თეთრ სახლში, ჯეფ ზიენტესი ამბობს, რომ ინფიცირებისა და სიკვდილიანობის ზრდა ვაქცინაციაზე უარის თქმითაა გამოწვეული. „**Covid-19**-თან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილის პრაქტიკულად ყველა შემთხვევა აუცრელ ამერიკელებზე მოდის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არავაქცინირებულების პანდემიად იქცა" – განაცხადა ზიენტისმა.

ზემოთქმულის მიუხედავად, ამერიკელი ვაქცინაციის მოწინააღმდეგეები დღემდე სოციალურ ქსელებში გავრცელებული ინფორმაციით ხელმძღვანელობენ და ვაქცინის გაკეთებას არ აპირებენ. ამას რესპუბლიკური პარტიის ზოგი წევრის განცხადებებიც ემატება, რომ ხელისუფლება ცდილობს აშშ-ის მოსახლეობა ვაქცინაციის გზით გააკონტროლოს.

### რას პასუხობენ ბრალდებებზე სოციალური ქსელები?

ფეისბუქის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კევინ მაკალისტერმა განაცხადა, რომ თავის სამართლებელი არაფერი აქვთ და კომპანიას „დაუსაბუთებელ ბრალდებები არ აღელვებს“. „ჩვენ წაშალეთ კოვიდდეზინფორმაციის შემცველი 18 მილიონზე მეტი პოსტი წავშალეთ და დავბლოკეთ ანგარიშები, რომლებიც მუდმივად წესებს არღვევდნენ“ – ვკითხულობთ სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ფეისბუქის აღმასრულებელ დირექტორს, მარკ ცუკერბერგს, **Google**-ისა და **Twitter**-ის აღმასრულებელ დირექტორებს სუნდარ პიჩაისა და ჯეკ დორსის ონლაინ დეზინფორმაციის შესახებ ამერიკელი კონგრესმენების შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოუწიათ. შეხვედრის შემდეგ თეთრი სახლის პრესმდივანმა, ჯენ ფსაკიმ აღიარა, რომ სოციალური მედია ცდილობს დეზინფორმაციასთან ბრძოლას, მაგრამ მათი მცდელობა არასაკმარისია.

როგორც ჩანს, ფეისბუქი ამერიკის სხვადასხვა ადმინისტრაციის კრიტიკამ ძალიან დაღალა: ტრამპი და რესპუბლიკელები ამტკიცებენ, რომ სოციალური ქსელი თავისუფალ სიტყვას ზღუდავს, ბაიდენი და მისი გუნდი კი ამტკიცებს, რომ ფეისბუქი აქტიურად არ ებრძვის ვაქცინაციასთან დაკავშირებულ შეთქმულების თეორიებს. რამდენიმე თვის წინ ბაიდენმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომელიც მსხვილი ტექნოლოგიური ფირმების გაერთიანებებს ზღუდავს. ითვლება, რომ პრეზიდენტი ამით ისეთი კომპანიების უფლებამოსილების შეზღუდვას ცდილობს, როგორიც ფეისბუქია.

2020 წლის იანვარში ბაიდენმა **The New York Times**-თან ინტერვიუში განაცხადა: „მე არასოდეს ვყოფილვარ ცუკერბერგის დიდი გულშემატკივარი. ვფიქრობ, რომ ის ქვეყანას სერიოზულ პრობლემას უქმნის.“

ასე რომ, ცუკერბერგის გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად, შეუძლებელია არ აღელვებდეს, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინგფორმაციის ფონზე ამერიკის პრეზიდენტის დამოკიდებულება სულ უფრო უარესდება.

მოამზადა
**ნელი თორდიამ**
571 35 36 88

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი** მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69

* * *

**— რა შემთხვევაში შეიძლება შეჩერდეს სოციალური დახმარება?**

— სოციალური დახმარების გაცემა შეიძლება შეჩერდეს იმ შემთხვევაში, თუ:

ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობს მონაცემთა ბაზაში მითითებულ მისამართზე;

ოჯახი ხელოვნურად არის გაყოფილი;

ოჯახი ხელოვნურად არის გაერთიანებული;

შეიცვალა ოჯახის შემადგენლობა;

ოჯახს დაემატა სრულწლოვანი წევრი;

ოჯახში ბავშვის დაბადებიდან (შვილად აყვანიდან) და ბოლო შეფასებიდან გასულია 2 წელზე მეტი;

ოჯახი უარს აცხადებს საარსებო შემწეობის დანიშვნაზე;

ოჯახი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჭიროებს დამატებით შესწავლა-შემოწმებას.

საარსებო შემწეობის მიღება, შეჩერება ან შეცვლა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ოჯახის წევრთა რაოდენობის ცვლილება (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება და სხვ. );

ოჯახის წევრისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის მინიჭება ან დაკარგვა;

დასაქმება, ლეგალური შემოსავალი;

ასევე, კანონით დადგენილი სხვა შემთხვევები.

დევნილები, რომლებიც იღებენ დევნილის ყოველთვიურ შემწეობას, იმავდროულად ვერ მიიღებენ საარსებო შემწეობასაც, მათ უნდა აირჩიონ ერთ-ერთი შემწეობის მიღება

საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახს შეუძლია:

მიიღოს საარსებო შემწეობა;

მოითხოვოს საარსებო შემწეობის ადგილზე მიტანა, თუ ოჯახის ყველა წევრს შეზღუდული აქვს გადაადგილების უნარი;

საარსებო შემწეობასთან ერთად მიიღოს სოციალური პაკეტი, სახელმწიფო პენსია/კომპენსაცია, სხვა ინდივიდუალური სოციალური დახმარება ან/და სხვა სახელმწიფო გასაცემელი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

გაეცნოს მონაცემთა ბაზაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას;

მოითხოვოს მის შესახებ არსებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

მოითხოვოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

ისარგებლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახი ვალდებულია:

აცნობოს მომსახურების სააგენტოს ოჯახის წევრთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებების (წევრის გარდაცვალება, დაბადება, ქორწინება, საზღვარგარეთ 3 თვეზე მეტი ვადით წასვლა და სხვ. ) და/ან ოჯახის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;

აცნობოს აღნიშნული სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს არაუგვიანეს 1 თვისა.

ოჯახს, რომელიც მინიჭებულ ქულას არ ეთანხმება, შეუძლია განმეორებით მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მოითხოვოს ოჯახის ხელახალი გადამოწმება. ოჯახმა ხელახალი გადამოწმება შემწეობის მისაღებად შეიძლება მოითხოვოს ბოლო შემოწმებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

ხელახალი გადამოწმების დროს გამოიყენება პირველადი შემოწმების წესები, პროცედურები და ვადები.

ოჯახის ხელახლა გადამოწმებაზე უარის ან ხელახლა გადამოწმების დროს მინიჭებულ ქულაზე კვლავ არ დათანხმების შემთხვევაში, ოჯახს შეუძლია ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სოციალური მომსახურების სააგენტოში (ცენტრალურ ოფისში). ადმინისტრაციული ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში.



* * *

**— ყველაფერი მაინტერესებს განქორწინების რეგისტრაციის შესახებ.**

— განქორწინების რეგისტრაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობას;

მეუღლეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციისთვის, უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტებია:

განსაქორწინებელ პირთა ერთობლივი წერილობითი განცხადება;

განსაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ქორწინების მოწმობა;

ერთ-ერთი მეუღლის მიერ განქორწინების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილ განცხადებას, საფუძვლის გათვალისწინებით, ასევე უნდა დაერთოს ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დოკუმენტი:

განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

მეორე მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

მეორე მეუღლის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (თუ აღნიშნული პირი 2015 წლის 1 აპრილამდე ცნობილია ქმედუუნარო პირად);

მეორე მეუღლისათვის არანაკლებ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი;

შენიშვნა: თუ განცხადებას წარადგენს განქორწინების მსურველი პირის წარმომადგენელი, აღნიშნულ დოკუმენტებს ასევე უნდა დაერთოს წარმომადგენლის პირადობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი:

ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარმოდგენა აუცილებელი არ არის, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

ასევე აუცილებელია, სხვა სახელმწიფოში გაცემული (დამოწმებული) დოკუმენტები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა) წარდგენილი იქნას სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

განქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს წარმომადგენლის საშუალებით, შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა;

მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის გასვლისთანავე.

განქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემისათვის მომსახურების საფასური წარმოადგენს 45 ლარს.

განქორწინების რეგისტრაციისთვის დადგენილი საფასურის გადახდისგან თავისუფლდებიან:

იძულებით გადაადგილებული, დევნილად ცნობილი პირები – სრულად;

სტუდენტები, რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშვნით „სტუდენტი“ – 10%-იანი შეღავათით.

* * *

**— რა არის ბე?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 421-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ბედ მიიჩნევა ფულადი თანხა, რომელსაც ხელშეკრულების ერთი მხარე აძლევს მეორე მხარეს და ამით დასტურდება ხელშეკრულების დადების ფაქტი.

ამავე კოდექსის 422-ე მუხლის მიხედვით, ბე ჩაითვლება ვალდებულებით გათვალისწინებული გადასახდელის ანგარიშში, ხოლო, თუ არ ჩაითვლება, – ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.

ამავე მუხლის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ ბეს მიმცემი ბრალეულად დაარღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ბე რჩება მის მიმღებს. ამასთან, ბე ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში, ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე უკან უნდა დააბრუნოს ორმაგად. ამასთან, ბეს მიმცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

* * *

**— ჩემი შვილის მიმართ სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. შეუძლია თუ არა მას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?**

— რა თქმა უნდა, თქვენს შვილს შეუძლია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამართალმწამოებელთა მხრიდან უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური/ იგულისხმება ხარჯები, მათ შორის, ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები, გზის ხარჯები, პატიმრის შენახვის ხარჯები და ა. შ. დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით/, ფიზიკური/ იგულისხმება ჯანმრთელობის შერყევასთან დაკავშირებული ხარჯები, დადასტურებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტებით და სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით/ და მორალური ზიანის ანაზღაურება.

* * *

**— რას ნიშნავს სოლიდარული ვალდებულება?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის მიხედვით, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

* * *

**— ჯილდოს საჯაროდ დაპირება წარმოშობს თუ არა შესრულების ვალდებულებას?**

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 755-ე მუხლის მიხედვით, ის, ვინც საჯარო დაპირებით აწესებს ჯილდოს გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის, კერძოდ, ამა თუ იმ შედეგის მიღწევისათვის, ვალდებულია გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც მოქმედება შეასრულა. პირს ჯილდოს მიღების უფლება აქვს მაშინაც, როცა იგი არ მოქმედებდა ჯილდოს საჯაროდ დაპირების გამო.

# არასერიოზული პარტიები, რომლებმაც სერიოზული როლი ითამაშეს პოლიტიკაში

ბევრ ადამიანს პოლიტიკა ძალიან მოსაწყენ საქმედ მიაჩნია — პოლიტიკოსებისა და პარტიების პროგრამები ხომ სიტყვასიტყვით მეორდება, მხოლოდ ხანდახან თუ გამოჩნდება ხოლმე ამ ერთფეროვნებაში ექსცენტრიკულ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რაღაც საშუალებებით პარლამენტშიც აღწევს, თავისი წვლილიც შეაქვს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში და ქვეყნის ისტორიაშიც ტოვებს კვალს.

ამჯერად სწორედ ასეთი პარტიების შესახებ გიამბობთ.

**ლუდის მოყვარულთა პარტია** (1990, **პოლონეთი**). პარტიის წევრთა აზრით, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეკრებები სწორედ კათხა ლუდის თანხლებით უნდა იმართებოდეს.

პოლონელ ლუდის მოყვარულთა პარტია იმისთვის იბრძოდა, რომ პოლიტიკური საკითხები ბარში



კათხა ლუდის დალევისას გადაჭრილიყო. ყველაფერი, როგორც ხუმრობა, ისე დაიწყო და სერიოზულ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გადაიზარდა. თუმცა, პარტიის წევრები კვლავ განაგრძობდნენ ბარში შეკრებას, რითიც ამტკიცებდნენ, რომ საკუთარი ჩვევების მიმდევრები იყვნენ და გამოხატვის, ცხოვრებისა და მუშაობის კომფორტული პირობების უფლება ჰქონდათ. 1991 წელს პარტიის წარმომადგენლებმა პოლონეთის პარლამენტის ქვედა პალატაში 16 ადგილი მოიპოვეს. მათ წარმატებას ხელი შეუწყო სახელწოდებამ, რითიც იმ ადამიანების ყურადღება მიიპყრო, პოლონეთის პოლიტიკურმა სისტემამ იმედები რომ გაუცრუა. 1992 წელს პარტია გაიყო. ერთი ნაწილი სერიოზული პოლიტიკური ორგანიზაცია გახდა და „პოლონეთის ეკონომიკური პროგრამა" დაირქვა.

**შვედეთის პირატების პარტია** (**შვედეთი**, 2006). ამ ორგანიზაციას ბევრმა ბრძოლამ მოუწია, სერიოზულად რომ აღექვათ. პოლიტიკური პროგრამას გაცნობამდე მათ უსაფუძვლოდ აკრიტიკებდნენ ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისა და კანონის საწინააღმდეგო განწყობის გამო. პარტიამ დიდი პოპულარობა მოიპოვა მას შემდეგ, რაც განსახილველად გამოიტანა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა საავტორო უფლება და პერსონალური მონაცემების დაცვა. მანამდე არც ერთი პოლიტიკური პარტია არ დაინტერესებულა ინტერნეტის მომხმარებლების პრობლემებით. 2009 წელს პირატებმა ევროპარლამენტში თავიანთი პირველი ადგილი მოიპოვეს, ხოლო ლისაბონის მოლაპარაკების შემდეგ, რომელსაც შვედეთის დეპუტატთა რიცხვის გაზრდა მოჰყვა — მეორეც.

**გადარეულების ოფიციალური პარტია** (**დიდი ბრიტანეთი**, 1983). პარტიის დამფუძნებელი მუსიკოსი დევიდ სატჩია, ორგანიზაციის დევიზი — „ხმა მიეცით სიგიჟეს, ხომ იცით, რომ ეს გონივრულია". არსებობის წლებში პარტიამ ბევრი უცნაური პროექტი შეიმუშავა, მაგალითად, „გადაექციათ ბრიტანეთი გადასახადებისგან თავის დაღწევის თავშესაფრად — გაეყვანათ გვირაბი ნორმანდიის კუნძულების გავლით". პარტიის წევრები ცდილობდნენ, ეჩვენებინათ საზოგადოებისთვის გარშემო მომხდარის აბსურდულობა. მათი ზოგიერთი პროექტი, მაგალითად, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება 18 წლიდან და პასპორტების გაცემა შინაური ცხოველებისთვის, განხორციელდა. პარტიის წევრები რამდენიმე ქალაქის თვითმმართველობაში აირჩიეს, ზოგიერთი მათგანი მერიც კი გახდა.

**უსაქმურთა კავშირი** (**დანია**, 1979). ეს კავშირი მსახიობმა, მუსიკოსმა და იუმორისტმა იაკობ ჰაუგაარდმა დააარსა. პარტიის წევრთა მტკიცებით, ყველა მოქალაქეს ყოველდღიურად უნდა ჰქონდეს სიზარმაცის, რვასაათიანი დასვენების, ძილისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება. კავშირის აქტივისტების მთავარი შეკითხვა იყო: „თუ მუშაობა ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, მთელი სამუშაოს შესრულება ავადმყოფებისთვის ხომ არ მიგვენდო?" პარტია მხარს უჭერდა კარგ საშობაო საჩუქრებსა და სუპერმარკეტებში მოკლე რიგებს. შესაძლოა, ის იმიტომ იყო პოპულარული, რომ კავშირის წევრად ითვლებოდა ყველა, ვინც საპირისპიროს არ ამტკიცებდა. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, იაკობ ჰაუგაარდმა 1994 წელს 23 ათასი ხმა მიიღო და პარლამენტის მანდატი მოიპოვა.

**დამოუკიდებელი როიალისტები** (**ესტონეთი**, 1992). ეს როიალისტური პარტია პროტესტს იუმორის საშუალებით გამოხატავდა. მისმა წარმომადგენლებმა 1992 წელს პარლამენტში 8 ადგილი მოიპოვეს, მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანიაზე მხოლოდ ერთი კრონა დაიხარჯა. პროგრამის მთავარი პუნქტი ესტონეთში აბსოლუტური მონარქიის დამყარება იყო. 1994 წელს როიალისტებმა დიდი ბრიტანეთის პრინც ედვარდს მისწერეს წერილი თხოვნით, მათი მეფე გამხდარიყო. პრინცმა ედვარდმა უპასუხოდ დატოვა მათი თხოვნა. 1995 წლის არჩევნებზე როიალისტების პარტიამ ხმების ერთი პროცენტიც ვერ მოიპოვა და პოლიტიკური არენიდან გაქრა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე სამინისტროს დოკუმენტების შესწავლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პარტიამ დიდი გავლენა მოახდინა ორი ათეული წლის განმავლობაში მთავრობის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

**DIE PARTEI** (**გერმანია**, 2004). „პარტია" პოლიტიკური სატირიკოსების კავშირი იყო, რომლის სათავეშიც გერმანული იუმორისტული ჟურნალის „ტიტანიკის" გამომცემელი მარტინ ზოონებორნი იდგა. პარტიამ სახელი გაითქვა




იმით, რომ ბაძავდა ნაცისტებისა და კომუნისტების პათოსს, ჩამოაყალიბა ახალგაზრდული მოძრაობა და თავისი გენმდივნის ტომას გინტერის პატივსაცემად „ჰაი, გინტერ!" დაარქვა. ამას ხელი არ შეუძლია ორგანიზაციისთვის, 2014 წელს ევროპარლამენტში თავისი წარმომადგენელი გაეყვანა.

**რეუსის დამოუკიდებელი საკოორდინაციო კავშირი** (**ესპანეთი**, 2003). ეს კატალონიური პარტიაა, რომელიც ქალაქ რეუსში დაფუძნდა. მისი დამაარსებელი არიელ სანტამარია საბჭოს სხდომაზე ელვის პრესლივით ჩაცმული დადიოდა. არჩევის შემდეგ საკოორდინაციო საბჭომ საოცარი პროექტები გაახმიანა, მაგალითად, ქალაქში უზარმაზარი სექსოდრომის აშენება ბარით, დისკოთეკითა და წყვილების განცალკევებისთვის მოწყობილი სპეციალური შენობები თ. პარტიის წევრების მტკიცებით, ამის წყალობით მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნებოდა და ბევრი ტურისტი ჩამოვიდოდა, რაც ეკონომიკაზე დადებითად აისახებოდა. წინადადებაზე უარი ითქვა, რადგან პარტიამ ამ დაწესებულების ასაშენებლად საჭირო თანხა ვერ დაასახელა.



**ნაძირალების პოლიტიკური პარტია** (**ნიდერლანდები**, 1921). ამ პარტიის მთავარი ამოცანა არსებული პოლიტიკური სისტემის დაცინვა გახლდათ. პარტიის სახე ნელის დე გელდერი გახდა, მათხოვარი და ალკოჰოლიკი, რომელიც ხაჯიმიმარის სახელით მართავდა წარმოდგენებს. პარტიის პროექტში შედიოდა ვონდელას პარკში ნადირობისა და თევზაობის უფლების გაცემა, ფასის დაკლება ბრენდზე, პურსა და ცხიმზე. პარტიის დამფუძნებლები, უმეტესწილად ანარქისტები და ანტიკაპიტალისტები, კარგად იყენებდნენ პროპაგანდის სხვადასხვა საშუალებებს, მათ შორის პოსტერებსა და სარეკლამო ფურცლებს. ხაჯიმიმარი საქალაქო საბჭოში აირჩიეს. ამსტერდამის მაგისტრატმა პარლამენტს მიმართა თხოვნით, მოემზადებინათ კანონი, რომელიც ხაჯიმიმარს საქალაქო საბჭოს შემადგენლობიდან გაიყვანდა. მათი შიში ამაო გამოდგა, რადგან არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მამაკაცმა სმა დაიწყო და მოვალეობების შესრულება ვერ შეძლო, რაც საქალაქო საბჭოდან მისი გარიცხვის მიზეზი გახდა.

ყველა ჩამოთვლილმა პარტიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ქარიზმა და იუმორის გრძნობა პოლიტიკოსისთვის აუცილებელი თვისებებია, მაგრამ თუ ამის გარდა კანდიდატს სხვა არაფერი გააჩნია, მისი წარმატება დიდხანს ვერ გაგრძელდება. სამწუხაროდ, ცხოველების პასპორტების არქონა და ზოოპარკში თეთრი დათვების არყოლა ყველაზე სერიოზული საკითხები როდია, ჩვენ ჯერ კიდევ გვჭირდება ადამიანები, რომლებიც უფრო სერიოზულად უყურებენ ჩვენს გარშემო არსებულ პრობლემებს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი"
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99